ქრისტინა ბენიგჰაუსი
ასმათ დიასამიძე

თანამონაწილეობიდან სამოქალაქო საზოგადოებამდე

თბილისი, 2009

Christina Benighaus, Asmat Diasamidze

„Von Bürgerbeteiligung zu Bürgerkultur"

Das vorliegende Buch wurde im Rahmen des GTZ-Projekts "Förderung der Kommunalentwicklung" in Georgien entworfen und herausgegeben.

ქრისტინა ბენიგჰაუსი, ასმათ დიასამიძე

"თანამონაწილეობიდან სამოქალაქო საზოგადოებამდე"

წინამდებარე წიგნი მომზადდა და გამოიცა GTZ-ის (გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) პროექტის: "ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობა საქართველოში", ფარგლებში.

GTZ, 2009

ყველა უფლება დაცულია
პირველი გამოცემა

ISBN 978-9941-9063-2-9

წიგნი დაიბეჭდა და აიკინძა გამომცემლობა "პეტიტში"

ამიხსნი, დამავიწყდება.

მაჩვენებ, გავიხსენებ.

მიმაღებინებ მონაწილეობას, გავიგებ.

ჩინური სიბრძნე

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

1. მოქალაქეთა თანამონაწილეობა - "მოქალაქეებზე ორიენტირებული თვითმმართველობის" განუყოფელი ნაწილი 9
2. ცნებების განმარტება, მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფორმები 12
   2.1 მოქალაქეთა ფორმალური (კანონით განსაზღვრული) თანამონაწილეობა ევროპის ქვეყნებში 12
   2.2 მოქალაქეთა ფორმალური (კანონით გათვალისწინებული) თანამონაწილეობა საქართველოში 14
   2.3 მოქალაქეთა არაფორმალური (ნებაყოფილობითი) თანამონაწილეობა 17
3. მოქალაქეთა თანამონაწილეობის ძირითადი წინაპირობები 19
4. თანამონაწილეობის პროცედურაში ჩართული მხარეების (აქტიორების) როლების განსაზღვრა 20
5. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესის საფეხურები 23
6. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების კატეგორიები და მათი მიზნები 25
7. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებისა და ინსტრუმენტების შერჩევა 28
   7.1. მიზნისა და ინტერესის ანალიზი (კონტექსტის ანალიზი) 28
   7.2 მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის განსაზღვრა 29
8. მოქალაქეების თანამონაწილეობის საყოველთაოდ აპრობირებული პროცედურები 31
   8.1 ვორკშოპები დიალოგის ღია ინსტრუმენტებით 33
      8.1.1 "Open Space"- პროცედურის ტექნოლოგია 34
      8.1.2 "World Café" – გარემო კრეატიული საუბრებისთვის 42
   8.2 "მომავლის სახელოსნო" 47
   8.3 დაგეგმვის დიალოგები 52
      8.3.1 „მგეგმავი უჯრედი" და „მოქალაქეთა ფორუმი" 52
      8.3.2 „დაგეგმვის სახელოსნო" / „მოქალაქეების სახელოსნო" 56

9. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარების პრინციპები 59
9.1 თანამონაწილეობის პროცესის დაგეგმვა 59
9.2 მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევის, დაგეგმვის, ჩატარებისა და პროექტის შეფასება-რეალიზაციის პრინციპები 60

დანართები

დანართი 1.
მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა სოფელ საზანოში (თერჯოლა) –"მომავლის სახელოსნო" 73

დანართი 2.
მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა სოფელ ჰერეთისკარში (ლაგოდეხი) – "მოქალაქის გეგმა" 89

დანართი 3.
მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა ქალაქ სიღნაღში – "დაგეგმვის უჯრედი" 101

წინასიტყვაობა

მოქალაქეების ჩართვა, თანამონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში თვითმმართველობის ქვაკუთხედს წარმოადგენს და საზოგადოდ დადებითად ზემოქმედებს მუნიციპალურ განვითარებაზე. მოქალაქეთა თანამონაწილეობა სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურებისა და ჩამოყალიბების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტიცაა, ამიტომ მნიშვნელოვანია მოსახლეობის შეგულიანება და მხარდაჭერა საკუთარი პროექტების განხორციელებისას.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის უზრუნველსაყოფად არსებობს მრავალი აპრობირებული და გამოცდილი **პროცედურა**, რომელთა კომბინირება-მოდიფიკაცია და მისადაგება სამიზნე ჯგუფთან და კონკრეტულ სიტუაციასთან ყოველთვის არის შესაძლებელი.

წინამდებარე წიგნი სწორედ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებს ეძღვნება.

წიგნში მიმოხილულია მოქალაქეთა თანამონაწილეობის, როგორც ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების გზის არსი, ნაჩვენებია მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესის მრავალი წახნაგი, განმარტებულია ფორმალური (კანონით გათვალისწინებული) და არაფორმალური (ნებაყოფილობითი) თანამონაწილეობის შინაარსი, ახსნილია თანამონაწილეობის საფეხურების მნიშვნელობა; განმარტებულია, თუ რა თემებს თანამონაწილეობის რა პროცედურები შეესაბამება, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სამიზნე ჯგუფი, როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული მუნიციპალიტეტში და ქვეყანაში არსებული ჩარჩო-პირობები, ნაჩვენებია პროცედურების მოდიფიცირების შესაძლებლობები, ვინაიდან ყოველთვის ვერ ხერხდება უკვე აპრობირებული პროცედურების კლასიკური ფორმით გამოყენება; ნაჩვენებია, თუ რისი გათვალისწინებაა საჭირო მოქალაქეების თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევისას და დაგეგმვისას და როგორ შეიძლება მათი პრაქტიკაში მარტივად და დიდი დანახარჯების გარეშე გამოყენება; თვალსაჩინოდ არის მიმოხილული თანამონაწილეობის რამდენიმე საყოველთაოდ აპრობირებული პროცედურა და საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში (თერჯოლა, სიღნაღი, ლაგოდეხი) სანიმუშო პროცედურების ჩატარების დროს შეძენილი გამოცდილება (იხ. დანართები).

წინამდებარე მცირე მოცულობის წიგნში, ბუნებრივია, ვერ მოხერხდებოდა მოქალაქეთა თანამონაწილეობის ყველა პროცედურის ჩვენება; სწორედ ამის გამო შეირჩა მხოლოდ ის საყოველთაოდ აღიარებული პროცედურები, რომლებიც, სავარაუდოდ, ყველაზე უკეთ მიესადაგება საქართველოს რეალობას.

ვიმედოვნებთ, რომ წიგნი ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს და ხელს შეუწყობს საქართველოში ჭეშმარიტი თვითმმართველობის განვითარებას. მისი მიზანია, დაეხმაროს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების ინიცირებაში, მომზადებასა და ჩატარებაში და საქართველოში მათ გავრცელებადანერგვაში.

წიგნი გამოადგება როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს და აქტიურ მოქალაქეებს, ასევე სტუდენტებს და ამ თემით ზოგადად დაინტერესებულ პირებსა და ექსპერტებს.

გულითად მადლობს ვუხდით სოფელ საზანოს, ჰერეთისკარისა და ქალაქ სიღნაღის მოქალაქეებს, ბავშვებს, საკრებულოებისა და გამგეობების წარმომადგენლებს, ინჟინრებს, თანამონაწილეობის პროცესის კოორდინატორებს, ასევე GTZ-ის პროექტის ხელმძღვანელს აიკე ფატერს, პროექტის თანამშრომლებს თამარ მოწონელიძეს, რუსუდან აბულაშვილს, აკაკი რუხაძეს, ქეთევან ვარდიაშვილს, დავით ლაბარტყავას, რომელთა პირადი ინიციატივით და მონდომებით მოხერხდა ზემოთ ნახსენები თანამონაწილეობის პროცედურების წარმატებით ჩატარება და წინამდებარე წიგნის შექმნა. სასარგებლო იყო ბ-ნ ორტვინ რენისა (შტუტგარტის უნივერსიტეტი) და ბ-ნ მიხაელ მ. პანევიცის წვლილი "Open space"-პროცედურის დამუშავებისას და ასევე ქ-ნ ლელა ხომერიკის მიერ მომზადებული მიმოხილვა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებს შეეხება.

1. მოქალაქეთა თანამონაწილეობა - "მოქალაქეებზე ორიენტირებული თვითმმართველობის" განუყოფელი ნაწილი

მოქალაქეები თვითმმართველობის განხორციელების თანამონაწილეების როლში

მუნიციპალური თუ რეგიონული პროექტების დაგეგმვის და განვითარების თანამედროვე პროცესი შეუძლებელია მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების კაბინეტებში მიმდინარეობდეს. იდეალურ შემთხვევაში ეს უნდა იყოს პოლიტიკოსების, მუნიციპალური ადმინისტრაციის, მეწარმეებისა და მოქალაქეების კოოპერაციული თანამშრომლობის პროცესი. მთავარი და სასურველია, რომ ეს პროცესი შეძლებისდაგვარად ადრეულად დაიწყოს და **მუნიციპალური დაგეგმვის** ყველა ფაზას შეეხოს. მოქალაქეების ჩართვა თანამონაწილეობის ამ პროცესში არის ის გზა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტ გამჭვირვალობას, გახსნილობას, ღიაობას და მოქალაქეების მხრიდან აღიარებას (სამოქალაქო თანხმობას), მოქალაქეების, ადრესატების იდეებისა და სურვილების გათვალისწინებას და ამით, საერთო ჯამში, ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერებას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებულნი არიან, უწ.ყ. საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობის ამაღლებაზე იზრუნონ და თავიანთი საქმიანობაც შესაბამისად დაგეგმონ. ადგილობრივი თვითმმართველობის უპირველესი ამოცანა და როლი იმაში მდგომარეობს, რომ ის მოქალაქეებისთვის ადმინისტრაციული და კომუნალური მომსახურების მიმწოდებელი იყოს, მოქალაქეები კი - მის მიერ შეთავაზებული ან გაწეული მომსახურების კლიენტები ანუ მოსარგებლენი და მომხმარებლები. თანამედროვე პირობებში ვერც ერთი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული ვერ შეძლებს შეიმუშაოს **მუნიციპალური გეგმები** იზოლირებულად, მოქალაქეებთან გამართული დიალოგის გარეშე და მხოლოდ ამის შემდეგ მოიზიდოს შემუშავებული იდეებისა და პროექტების დამფინანსებლები თუ მომხმარებლები. ადგილობრივმა თვითმმართველობამ თავისი განვითარების გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯით უნდა წაიწიოს წინ, ანუ უნდა შექმნას და პრაქტიკაში დაამკვიდროს კოოპერაციის ისეთი ახალი სისტემა, რომელშიც თანაბრად იქნება ჩართული **ადგილობრივი თვითმმართველობაც** (მუნიციპალიტეტი, ქალაქი, სოფელი: ადმინისტრაცია და პოლიტიკა სხვადასხვა დონეზე), **წარმოებაც** (ეკონომიკა: ადგილობრივი საწარმოები, მეწარმეთა გაერთიანებები და ასოციაციები, გარე ინვესტორები), **მოქალაქეებიც** (სამოქალაქო საზოგადოება: როგორც ინდივიდუალური მოქალაქეები, ასევე საზოგადოებრივი გაერთიანებები და ორგანიზაციები, სამოქალაქო ინიციატივები და ა.შ.) და **ექსპერტებიც**.



როგორც ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების, ასევე რიგითი მოქალაქეების მუნიციპალური გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესებში და საერთოდ მუნიციპალური განვითარების პროცესში ჩართვა იმთავითვე წარმოადგენს მათი თვითმმართველობის საიმედო პარტნიორებად გადაქცევის საწინდარს, რადგანაც ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ თავიანთი უბნის, სოფლის, ქალაქის პრობლემებსა და საჭიროებებს. მეორე მხრივ, მათი ჩართვა, მათთან კოოპერაცია და პარტიციპაცია იმავდროულად საერთო-საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებასაც უწყობს ხელს: იზრდება როგორც მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ტრანსპარენტულობის და ადგილობრივი პოლიტიკისადმი ნდობის ხარისხი ანუ, საერთო ჯამში ადგილობრივი თვითმმართველობის ავტორიტეტი და იმიჯი, ასევე მოქალაქეების პასუხისმგებლობა და ზრუნვა საკუთარ გარემოზე; ეს ყველაფერი ერთად კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილზე **სამოქალაქო საზოგადოების** ჩამოყალიბებას, სამოქალაქო ცნობიერებისა და ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას, ჰუმანური რესურსების მობილიზებას და მოქალაქეების გააქტიურებას.

როცა მოქალაქეების თანამონაწილეობის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ, იმთავითვე ჩნდება რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი კითხვა, რომლებზე გაცემულ სწორ პასუხზეც დიდად არის დამოკიდებული თანამონაწილეობის პროცესის მართებული წარმართვა:

- **რამდენად შეუძლიათ მოქალაქეებს თავიანთი საცხოვრებელი გარემოს შეცვლაში მონაწილეობის მიღება?**
- **გააჩნიათ კი მათ საამისო კომპეტენციები?**
- **რამდენად არის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაცია ვალდებული, ჩართოს თავის საქმიანობაში მოქალაქეები (იგულისხმე-**

ბა უწ.ყ. მუნიციპალური გეგმების, პროექტების, ბიუჯეტის შედგენა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი)?

- **როგორ უნდა იყოს ორგანიზებული ასეთი სახის თანამონაწილეობა ან კონკრეტული თანამონაწილეობის პროცედურა?**
- **და ა.შ.**

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურები პროფესიონალების (ინჟინრების, არქიტექტორების და ა.შ.) მიერ დამუშავებულ მუნიციპალურ პროექტებსა და გეგმებს, ბუნებრივია, ვერ ჩაანაცვლებს, მაგრამ სამაგიეროდ ამ პროცედურების ჩატარებისას თვალსაჩინო ხდება გეგმებისა და პროექტების ის ხარვეზები და შესაძლებლობები, რომელთა გათვალისწინებასაც მოქალაქეები ისურვებდნენ. ეს კი აუცილებელია მუნიციპალური დაგეგმვის პროცესის სრულყოფისთვის. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოცდილება აჩვენებს, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების შედეგები დიდ დახმარებას უწევს მუნიციპალიტეტის საპროექტო, კომუნალურ, ახალგაზრდების საქმეთა, მშენებლობის და სხვა სამსახურებს ჭეშმარიტად სიცოცხლისუნარიანი განვითარების კონცეფციებისა და პროექტების შემუშავებაში.

2. ცნებების განმარტება, მოქალაქეთა თანამონაწილეობის ფორმები

"მოქალაქეთა თანამონაწილეობა", "პარტიციპაცია" ან "საზოგადოებრიობის ჩართვა" ამ ტერმინების ფართო გაგებით, მოიცავს ადგილობრივ თვითმმართველობაში ანუ **მუნიციპალური დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში** ცალკეული პიროვნებების ან ჯგუფების მონაწილეობის ყველა იმ შესაძლებელ ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქის მიერ საკუთარი ნების დაფიქსირებას და ზემოქმედების მოხდენას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გადაწყვეტილებების მიღების და მათი განხორციელების პროცესზე.

ეს ცნებები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება და პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის ტოლფასი მნიშვნელობით იხმარება. ძირითადად იყენებენ ცნებას "მოქალაქეთა თანამონაწილეობა", ამიტომ ჩვენც წინამდებარე წიგნში სწორედ ამ ცნებას დავეყრდნობით. ამოსავალი ცნება „თანამონაწილეობა" ხშირად გამოიყენება **კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების** სინონიმად. ამ თვალსაზრისით „მოქალაქეთა თანამონაწილეობა" მხოლოდ მოქალაქეთა თანამონაწილეობას არ ნიშნავს: მას განეკუთვნება სხვადასხვა ფორმების, პროცედურებისა და მეთოდების მთელი რიგი, რომლებიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მიზნებს ისახავენ და ასევე განსხვავებულ შედეგებზე არიან ორიენტირებული. მოქალაქეებთან ოპტიმალური კომუნიკაციისა და დიალოგის ("თანამონაწილეობის") უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ის, თუ თანამონაწილეობის რა ტიპის **პროცედურას** შევარჩევთ და მისგან გამომდინარე რა **შედეგს დავისახავთ მიზნად**. მხოლოდ პროცედურის ფორმის ან სახეობის და მიზნის სწორი შერჩევა-განსაზღვრით ავიცილებთ თავიდან მოქალაქეთა იმედგაცრუებასა და გაუგებრობას, რაც ხშირად თან ახლავს ხოლმე ამგვარ პროცესებს.

ძირითადად მოქალაქეთა თანამონაწილეობის ორ ფორმას განასხვავებენ:

I. თანამონაწილეობის ფორმალური, კანონით განსაზღვრული პროცედურები.

II. თანამონაწილეობის არაფორმალური, ნებაყოფილობითი პროცედურები.

2.1 მოქალაქეთა ფორმალური (კანონით განსაზღვრული) თანამონაწილეობა ევროპის ქვეყნებში

გერმანიაში ფედერაციისა და ფედერალური მიწების დონეებზე მოქალაქეებს თვითმმართველობის გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების მოხდენა მხოლოდ ისეთი სამართლებრივი გზით შეუძლიათ, როგორიცაა სასამართლო ან **არჩევნები**, რომელიც განსაზღვრულია კონსტიტუციით (კანონით) და მოიაზრება ფორმალური თანამონაწილეობის პროცედურად წარმომადგენლობითი დემოკრატიის ფარგლებში.

ფედერალურ დონეზე მოქალაქეთა ან საზოგადოებრიობის ფორმალური თანამონაწილეობა 1976 წლიდან დარეგულირებულია ასევე გერმანიის სამშენებლო კოდექსით (§3). 2004 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად ამ კოდექსის შესაბამისი დებულება ასე ულერს:

„§3 საზოგადოებრიობის თანამონაწილეობა

(1) საზოგადოებრიობა შეძლებისდაგვარად წინასწარ (*ადრეულად*) საჯაროდ უნდა იქნეს ინფორმირებული დაგეგმვის საზოგადო განზრახულობისა და მიზნების შესახებ, ახალმშენებლობებისა და განვითარების პროექტების თაობაზე მისაღები იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებზეც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, და ასევე დაგეგმვის სავარაუდო შედეგების (*ანუ მის მიერ გამოწვეული ცვლილებების*) შესახებ, ... ; მას უნდა მიეცეს აზრის დაფიქსირებისა და საკითხის განხილვის შესაძლებლობა."

ეს ფორმალური დებულება გერმანიაში სივრცითი გეგმარების, ქალაქმშენებლობისა და ურბანული განვითარების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს და წარმატებით გამოიყენება მუნიციპალურ დონეზე. ის ითვალისწინებს თანამონაწილეობის ორსაფეხურიან პროცედურას, რომელიც მოიცავს 1) **საინფორმაციო** და 2) **საჯარო განხილვის** ღონისძიებებს და ძირითადად გამოიყენება

- რეგიონული განვითარების გეგმების შედგენისას,
- დაპროექტების პროცედურებისას,
- სივრცის გეგმარების, მინათსარგებლობის და ასევე განაშენიანების გეგმების შედგენისას.

მოქალაქეების, საზოგადოებრიობის წინასწარ საჯარო ინფორმირება და მოსმენა ხშირად გეგმის პროექტის პირველი მონახაზის შედგენისთანავე ხდება და შესაბამისი დარგობრივი უწყებების ან მუნიციპალური სამსახურების მონაწილეობით ტარდება. **გეგმის საჯარო განხილვა** კი უმეტესწილად ადგილობრივი პარლამენტის (საკრებულოს) სხდომაზე მისი განხილვისა და დამტკიცების წინ იმართება და თანამონაწილეობის პროცესის ბოლო ნაბიჯს წარმოადგენს.

ფორმალური თანამონაწილეობის პროცედურებს ასევე მიეკუთვნება მუნიციპალიტეტების დებულებებით ან წესდებებით გათვალისწინებული თანამონაწილეობის პროცედურები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ეს არის პარტიციპაციის ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა **„მოქალაქეთა მოთხოვნა"** (Bürgerbegehren) და **„მოქალაქეთა გადაწყვეტილება"** (Bürgerentscheid) (ანუ: მოქალაქეებს უფლება აქვთ, განცხადება შეიტანონ მოთხოვნით იმის შესახებ, რომ გარკვეულ საკითხზე საკრებულოს ნაცვლად თავად სურთ გადაწყვეტილების მიღება). „მოქალაქეთა გადაწყვეტილება" წარმოადგენს მოქალაქეების მიერ განხორციელებულ კენჭისყრას ადგილობრივი პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან საკითხზე. ამ პროცედურის კერძო შემთხვევას წარმოადგენს **„საკრე-**

ბულოს მოთხოვნა" (Ratsbegehren), როცა პირიქით, საკრებულო ფიქრობს, რომ საჭიროა გარკვეულ საკითხზე მოქალაქეების კენჭისყრა გაიმართოს და გადაწყვეტილება ისე იქნეს მიღებული.

ამასთან, საკრებულოს საკმაოდ დიდი ტვირთი და პასუხისმგებლობაც ეკისრება, ვინაიდან ის ვალდებულია აღასრულოს ის, რასაც მოქალაქეები გადაწყვეტენ. გერმანიის ფედერალური მიწების მუნიციპალური და რაიონული წესდებები და დებულებები ზუსტად განსაზღვრავს, თუ რა წინაპირობები უნდა არსებობდეს იმისთვის, რომ ჩატარდეს „მოქალაქეთა გადაწყვეტილების" პროცედურა, რადგანაც არსებობს რიგი საკითხებისა, რომელთა შესახებაც ამ პროცედურის გამართვა არ შეიძლება (შესაბამისად დამტკიცებულია კიდეც საკითხთა ე.წ. "ნეგატივ-კატალოგი"); ასევე დადგენილია „მოქალაქეთა მოთხოვნის" შეტანის ვადები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა; ყურადღება ექცევა პროცედურის ჩატარების ფორმალურ წესებს და თანამონაწილეობის ქვოტებს.[1]

გერმანიაში **„მოქალაქეთა მოთხოვნის"** და **„მოქალაქეთა გადაწყვეტილების"** პროცედურას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხების შემთხვევაში იყენებენ:

- საჯარო დაწესებულებების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (მაგ., სკოლა, თეატრი, გასართობი დაწესებულებები),
- საჯარო შენობა-ნაგებობების გამოყენება,
- საჯარო დაწესებულებების განთავსების საკითხი (ადგილმდებარეობა),
- სატრანსპორტო გზების დაგეგმვა, ქუჩების ქსელი, ქუჩების განტვირთვა ტრანსპორტისგან,
- სკვერების, პარკების მოწყობა,
- ქალაქის (საჯარო) საკუთრების გაყიდვა.

ევროპის სხვა ქვეყნებში (მაგ., შვეიცარიაში) კანონი ითვალისწინებს პირდაპირ-დემოკრატიული თანამონაწილეობის ფორმებს როგორც კანტონების, ასევე ფედერალურ დონეზე. შვეიცარიაში წელიწადში რამდენჯერმე სავალდებულო წესით ან საჭიროებისამებრ იმართება სახალხო კენჭისყრები ან რეფერენდუმები საკანონმდებლო ან არსებით საკითხებთან დაკავშირებით.

2.2 მოქალაქეთა ფორმალური (კანონით გათვალისწინებული) თანამონაწილეობა საქართველოში

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის მდგარადი მექანიზმები ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად ჩამოყალიბებული; ასევე ჯერ კიდევ არ ქცეულა საზოგადოების თანამონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისა და მართვის პროცესებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული კულტურის თვისობრივ ნაწილად. სწორედ ამის გამო ენიჭება დიდი მნიშვნელობა **კანონმდებლობასა და ნორმატიულ დოკუმენტებში** მოქალაქეთა მონაწილეობის საკითხების **დეტალურად და კვალიფიციურად** გაწერას.

[1] Andreas Paust 2005: Arbeitshilfe Bürgerbegehren und Bürgerentscheid. Ein Praxisleitfaden. Stiftung Mitarbeit. Bonn

ეს თავი მოიცავს მოკლე მიმოხილვას იმის შესახებ, თუ რა მოთხოვნებს უყენებს საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს საზოგადოების თანამონაწილეობის თვალსაზრისით და, შესაბამისად, რა ფორმალური პროცედურების გამოყენების შესაძლებლობა აქვთ საქართველოს მოქალაქეებს ადგილობრივ დონეზე მართვის პროცესში მონაწილეობისთვის.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საკმაოდ ზედაპირულად ეხება საზოგადოების თანამონაწილეობის საკითხებს (მუხლი 2: მოქალაქის უფლებები; მუხლი 5: საჯაროობა; მუხლი 25: სხდომის ღიაობა, მუხლი 28, პუნქტი 2: კომისიისა და დროებითი ჯგუფის წევრობა). ასევე ზოგადად არის წარმოდგენილი მოქალაქეთა თანამონაწილეობის საკითხები კანონში „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ"

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის პრინციპების განსაზღვრისას ორივე კანონი თვითმმართველობის განხორციელების ერთ-ერთ პრინციპად თვითმმართველობის ორგანოების **საჯაროობას** მიიჩნევს.

მუნიციპალიტეტების საკრებულოს დებულებებში საჯაროობასთან ერთად შემდეგი პრინციპებიც არის დასახელებული:

- მუნიციპალიტეტის (თვითმმართველი ქალაქის) მოსახლეობის აზრის გათვალისწინება;
- თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართვის უზრუნველყოფა;
- ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე.

საჯარო ინფორმაციის მიღება

საქართველოს კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" აღნიშნულია, მოქალაქის უფლებაა **მიიღოს საჯარო ინფორმაცია** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსა და თანამდებობის პირისგან. კანონში ხაზგასმულია, რომ მოქალაქის ეს უფლება ეხება არა მხოლოდ **მიღებულ დოკუმენტებს**, არამედ **გადაწყვეტილებების პროექტებსაც**. კერძოდ, კანონის თანახმად, მოქალაქეებს უფლება აქვთ **„მოითხოვონ გადაწყვეტილებების პროექტების გამოქვეყნება და საჯარო განხილვა"** (მუხლი 2. უნქტი 2 „დ"). მოქალაქეებს ეს უფლება საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის III თავის მიხედვითაც აქვთ გარანტირებული.

საკრებულოს სხდომების ღიაობა

საქართველოს კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" აღნიშნავს, რომ საკრებულოს სხდომა ღიაა, მაგრამ არ აკონკრეტებს მოთხოვნებს საკრებულოს სხდომის ღიაობის უზრუნველსაყოფად. საკრებულოს დებულებების მიხედვით, საჯაროა აგრეთვე საკრებულოს ბიუროს სხდომებიც.

მუნიციპალიტეტების დებულებები საკრებულოს სხდომის სხვადასხვა ფორმას ითვალისწინებს: მორიგი სხდომა, რიგითი სხდომა, გამსვლელი სხდომა, „ღია კარის" სხდომა (თბილისის შესახებ კანონის მიხედვით რიგგარეშე

სხდომის მოწვევის უფლება მოქალაქეებსაც აქვთ არანაკლებ 10.000 ამომრჩევლის მოთხოვნით).

მოქალაქეთა მონაწილეობა საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით (მუხლი 28.) „. . . კომისიაში სამუშაოდ, დროებით ან კომისიის უფლებამოსილების ვადით, შეიძლება მოწვეული იყვნენ სხვა პირებიც...". მაგრამ ამ მუხლით განსაზღვრული არ არის მოწვეული პირის სტატუსი.

ზოგიერთი საკრებულო დებულების მიხედვით კომისიას უფლება აქვს მის მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად გამგეობის (მერიის) შესაბამისი სამსახურების, სამეცნიერო დაწესებულებების, **საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისგან** კონკრეტულ საკითხთა განსახილველად და მოსამზადებლად შექმნას **კომისიის სამუშაო ჯგუფები.**

ასევე, კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას **საკონსულტაციო საბჭოები.**

საჯარო შეხვედრები, სახალხო განხილვები

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითნმმართველობის შესახებ"საჯარო შეხვედრის ვალდებულება ნახსენებია 42-ე მუხლში, რომელიც გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს შეეხება. კანონის თანახმად, რწმუნებული სხვა ფუნქციების შესრულებასთან ერთად უზრუნველყოფს ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მოსახლეობისთვის გაცნობას და ორგანიზებას უწევს **მოსახლეობის გამოკითხვისა და სახალხო განხილვების ჩატარებას**. მაგალითად, საკრებულოების დებულებათა უმრავლესობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საჯარო განხილვას. გამგეობების დებულებათა 70%-ის მიხედვით ბიუჯეტის საჯარო განხილვების ორგანიზება გამგებელსაც ევალება. ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების მიხედვით გამგეობის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მოვალეობებში შედის „მონაწილეობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის საჯარო განხილვებში". მაგრამ, არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს საჯარო განხილვის ორგანიზების წესი.

მოქალაქეთა მიერ საკანონმდებლო ინიციატივების განხორციელების შესაძლებლობა

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" კანონის თანახმად სამართლებრიცი აქტების ინიცირების უფლება აქვს თბილისის არანაკლებ 3.000 ამომრჩეველს შესაბამის პეტიციაზე ხელმოწერით. ასეთი უფლება მოქალაქეებს ბევრი მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების თანახმადაც აქვთ.

2.3 მოქალაქეთა არაფორმალური (ნებაყოფილობითი) თანამონაწილეობა

ფორმალური თანამონაწილეობის გარდა ადგილობრივ ადმინისტრაციას საშუალება აქვს მოქალაქეები თავის საქმიანობაში ჩართოს ასევე არაფორმალური ანუ ნებაყოფილობითი თანამონაწილეობის პროცედურებითაც.

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ არაფორმალური ანუ ნებაყოფილობითი თანამონაწილეობის პროცედურების *შედეგები* მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციისა და საკრებულოსთვის მხოლოდ *სარეკომენდაციო* ხასიათს ატარებს. გადაწყვეტილებას (დადებითს ან უარყოფითს) დადგენილი ლეგიტიმური ფორმით მათზე მხოლოდ საკრებულო იღებს.

მოქალაქეთა არაფორმალური თანამონაწილეობის პროცედურები ფორმალურისგან განსხვავებით უფრო მეტად არის ორიენტირებული **მოქალაქეებთან დიალოგის** ფორმებზე. ეს არის ნებაყოფილობითი პროცედურები, რომლებიც უმეტესწილად დაფიქსირებული არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (გამგეობების, საკრებულოების) დებულებებში და წესდებებში, მაგრამ იმავდროულად გამოირჩევა ჩატარების ზედმიწევნით "ფორმალიზებული" ხასიათით. მათი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია პროცედურის ფორმისა და გამოყენების სფეროს თავისუფლად შერჩევა და სამიზნე ჯგუფსა და თემის ირგვლივ შექმნილ სიტუაციასთან მათი მისადაგება.

მოქალაქეები განსაკუთრებით აქტიურად ერთვებიან ისეთი სახის ნებაყოფილობითი თანამონაწილეობის პროცედურებში, სადაც მათ გადაწყვეტილებების მიგნებაში "ჩართვა" შეუძლიათ თუნდაც უკვე იმის გამო, რომ განსახილველ თემას იცნობენ და მასში კარგად ერკვევიან. საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე კარგი იქნებოდა ასეთი ნებაყოფილობითი თანამონაწილეობის პროცედურების გამოყენება, რადგანაც ძალზე ადვილია მათი მისადაგება არსებულ რეალობასთან და ამ გზით მოქალაქეების მოზიდვა და ჩართვა საერთო-საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც ადგილებზე უწ.ყ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს.

მოქალაქეთა ნებაყოფილობითი თანამონაწილეობის სფეროში აპრობირებულია მრავალი ტიპის პროცედურა, რომლებსაც ყოველი კონკრეტული მიზნის შესაბამისად უცვლიან ან შეურჩევენ ფორმას და ხანგრძლივობას: არსებობს პროცედურები, რომლებიც რამდენიმე საათს გრძელდება; არსებობს ისეთი პროცედურები, რომლებიც ვორკშოპების სახით ერთი ან რამდენიმე დღე მიმდინარეობს ან რამდენიმე ღონისძიებისგან შედგება (მაგ., "ფოკუს-ჯგუფი", "მგეგმავი უჯრედი", "კონსენს-კონფერენცია" ან "მომავლის სახელოსნო") და არსებობს ისეთი პროცედურებიც, რომლებიც რამდენიმე კვირა ან სულაც რამდენიმე წელიწადს გრძელდება (მაგ., მედიაციის პროცედურა ან ინტერნეტში მიმდინარე დაცული პროცედურები).

იმის გამო, რომ პროცედურების შერჩევა, წესისამებრ, ნებაყოფილობით ხდება, შესაძლებელია პარტიციპატული ელემენტების სხვადასხვა სახით კომბინირება და ურთიერთშეხამება. თემების შერჩევაც არ არის შეზღუდული (არ არსებობს ე.წ. "ნეგატივ-კატალოგი" როგორც მაგ., "მოქალაქეთა მოხოვნის" წარდგენისას): შესაძლებელია დამუშავდეს ნებისმიერი საკითხი, რაც კი შეიძლება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე წამოიჭრას:

- მუნიციპალური სამშენებლო პროექტები ქალაქში, სოფელში და ა.შ. (საჯარო დანესებულებების, სატრანსპორტო გზების, ბინების, პარკებისა და სკვერების და ა.შ. მშენებლობა),
- ქალაქის, სოფლის განვითარების გეგმების შემუშავება, განვითარების დირექტივების შემუშავება,
- სოციალური თემები (ახალგაზრდული და გასართობი ცენტრებისა და დაწესებულებების მშენებლობა, საბავშვო ბაღებისა და სკოლების რეაბილიტაცია-მოდერნიზება, ახალგაზრდებთან მუშაობა და ა.შ.),
- უბნის, საცხოვრებელი გარემოს შეცვლა-გაუმჯობესება, ქუჩების კეთილმოწყობა,
- გარემოსდაცვითი საკითხები,
- ინფრასტრუქტურა,
- კულტურა და თავისუფალი დრო, ტურიზმი,
- მუნიციპალური პროექტები ან წარმოებისა და დასაქმების თემატიკა,
- მუნიციპალური ბიუჯეტი (ე.წ. „მოქალაქის ბიუჯეტი"),
- განათლება, მეცნიერება და კვლევები (მაგ., ეთიკის საკითხები მეცნიერების სფეროში და ახალგაზრდების მიმართ გატარებულ პოლიტიკაში),
- ინვესტორების შერჩევა,
- ადგილმდებარეობის შერჩევა სხვადასხვა მშენებლობებისთვის (მაგ., ნაგავსაყრელისთვის, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოსთვის და ა.შ.),
- და მრავალი სხვა.

3. მოქალაქეთა თანამონაწილეობის ძირითადი წინაპირობები

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის წარმატებით ჩასატარებლად საჭიროა რამდენიმე კრიტერიუმის დაცვა, რომლებსაც **თანამონაწილეობის პროცესის ორგანიზატორმა** ან **თანამონაწილეობის პროცედურის მოდერატორმა** პროცედურის ჩატარებამდე და მისი მსვლელობის დროს უნდა მიაქციოს ყურადღება[2]:

მოქალაქეთა თანამონაწილეობის წარმატებით ჩატარების წინაპირობები

სამართლიანობა, კორექტულობა: თანამონაწილეობის ერთნაირი შანსები მათთვის, ვისაც ეს ეხება (***ადრესატი***) და თანაბარი უფლება-მოვალეობები მათთვის, ვინც თანამონაწილეობის პროცედურაში მონაწილეობს (***მონაწილე***).

- **კომპეტენტურობა:** მონაწილეთა მიერ ერთმანეთთან შეთანხმებული პროცედურული წესები იმის გადასამოწმებლად, თუ რამდენად სწორი, არგუმენტირებული და სარწმუნოა ის ფაქტები, რაც განსახილველ თემას ეხება.
- **ლეგიტიმურობა:** მონაწილეთა დასაბუთებული შერჩევა დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად და თანამონაწილეობის პროცედურის ინტეგრირება გადაწყვეტილების მიღების კანონით განსაზღვრულ პროცესში.
- **ეფექტურობა:** დროისა და სახსრების მომჭირნედ გამოყენება.

[2] Renn, O. Webler, Th. und P. Wiedemann: Fairness and Competence in Citizen Participation. Evaluating Models for Environmental Discourse. 1995 Dodrecht.

4. თანამონაწილეობის პროცედურაში ჩართული მხარეების (აქტიორების) როლების განსაზღვრა

მუნიციპალური დაგეგმვის თანამონაწილეობით პროცედურაში ჩართულია ერთმანეთისაგან განსხვავებული როლებისა და ფუნქციების მქონე მრავალი მხარე (აქტიორი, მოთამაშე). აქტიორები კარგად უნდა იცნობდნენ თავიანთ როლებს, ვინაიდან როცა ისინი საკუთარი როლების შესაბამისად არ იქცევიან, მაშინ თავს იჩენს ხოლმე კონფლიქტი, კომუნიკაციის პროცესი ფერხდება და თანამონაწილეობის პროცედურას საბოლოო ჯამში ჩაშლა ემუქრება. ამიტომ, როლები თანამონაწილეობის პროცედურის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს და ეცნობოს აქტიორებს. ზოგადად გამოყოფენ თანამონაწილეობის პროცედურის ხუთ უმნიშვნელოვანეს აქტიორს (მოთამაშეს): "ქალაქის საკრებულო", "ადმინისტრაცია (გამგეობა)", "ექსპერტები", "მოქალაქეები" და "მოდერატორი"[3], რომელთა მონაწილეობა პროცედურის სახეობაზეა დამოკიდებული. ქვემოთ დასახელებულია ის როლები, რომლებიც მათ თანამონაწილეობის პროცესში შეიძლება ჰქონდეთ:

მუნიციპალიტეტის, ქალაქის საკრებულო

- **მონაწილეობს მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესში დამკვირვებლის როლში,**
- **სერიოზულად განიხილავს თანამონაწილეობის პროცედურის შედეგებს,**
- **ასაბუთებს და ღებულობს გადაწყვეტილებას თანამონაწილეობის პროცედურის შედეგად დაგეგმილი ღონისძიების განხორციელების შესახებ.**

ექსპერტები

- **ჩართულნი არიან პროცესში მეთოდიკისა და საქმის (თემის) ცოდნით,**
- **აჩვენებენ ურბანული დაგეგმარების ახალ შესაძლებლობებსა და ტენდენციებს,**
- **აჩვენებენ წარმატებულ მაგალითებს სხვა ქალაქების, სოფლების პრაქტიკიდან,**
- **მოდერირებას უკეთებენ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესებს ნეიტრალიტეტის დაცვით.**

[3] Ammermann, Ursula et al.: Bürgerbeteiligung in Regensburg. Dokumentation des Werkstattprozesses. Empfehlungen zur Beteiligungskultur April 2007

მუნიციპალიტეტის, ქალაქის ადმინისტრაცია (გამგეობა)

- აქვს ექსპერტის როლი მოქალაქეთა თანამონაწილობის პროცესში, იძლევა ინფორმაციას დაუფარავად, პოლიტიკურად ნეიტრალურია, თავს არ არიდებს შეკითხვებს,
- წარმოადგენს მოქალაქეების მუდმივ პარტნიორს,
- აძლევს მოქალაქეებს მუნიციპალიტეტის გეგმების, პროცედურებისა და ალტერნატივების გაცნობის საშუალებას,
- შეარჩევს თანამონაწილეობის მიზნებსა და ფორმებს, (მუნიციპალიტეტის, ქალაქის ადმინისტრაციაში ინტეგრირებული "თანამონაწილეობის კოორდინატორის" ან "თანამონაწილეობის ჯგუფის" მეშვეობით),
- კომუნიკაციას უკეთებს ღონისძიების განხორციელებას.

მოქალაქეები

- იღებენ ინფორმაციას და შეიმუშავებენ აზრს განსახილველი საკითხის შესახებ,
- ერთვებიან დაგეგმვის პროცესში დადგენილი წესით (თავისი ცოდნით საკითხის ირგვლივ),
- მონაწილეობენ პროცედურაში სავალდებულო წესით,
- ღებულობენ ინფორმაციას პროცედურის შედეგების რეალიზაციის შესახებ (Feed-back, უკუკავშირი).

მოდერატორები

- მხოლოდ დროებით არიან ჩართულნი პროცესში (პასუხისმგებელნი არიან პროცესის წარმართვაზე),
- შეიმუშავებენ თანამონაწილეობის პროცესის ფორმატს,
- არიან პროცედურის განსახილველი საკითხის შინაარსის მიმართ ნეიტრალურნი და მიუკერძოებლები,
- აკონტროლებენ შეთანხმებულ თამაშის წესებს და სტრუქტურებს,
- ეხმარებიან უკუკავშირის დროს.

თანამონაწილეობის პროცესის მოდერატორი

მოდერატორად უნდა შეირჩეს ნეიტრალური და მიუკერძოებელი პირი, რომელიც დაგეგმავს, წარმართავს და მოდერირებას გაუკეთებს მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურას ან თანამონაწილეობის პროცესს. ის პროცედურები, რომლებშიც ბევრი მონაწილეა ჩართული (მაგ., კონფლიქტის მოგვარების ან კონფლიქტის განმუხტვის პროცედურა), როგორც წესი, ყოველთვის ნეიტრალური მოდერატორის ან **მედიატორის** მიერ ტარდება. ამ დროს შესაძლებელი და მისაღებია მოდერაციის, მოლაპარაკებებისა და მორიგების სხვადასხვა ხერხების გამოყენება, რომელთაც მოდერატორი შესაბამისად კარგად უნდა ფლობდეს და წარმატებით იყენებდეს[4]. ფრიად მნიშვნელოვანია მოდერატორის ქცევა, თავდაჭერა და მის მიერ თანამონაწილეობის პროცედურის მთავარი აქტიორების (მონაწილეების) მიმართ გამჟღავნებული ნდობა. მოდერატორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

მოდერატორის მთავარი თვისებები

- უპარტიობა (ნეიტრალიტეტი)
- მისაღები უნდა იყოს ყველა მონაწილისთვის
- საკმარისი კომპეტენცია ("საქმის არსის ცოდნა")
- კონფლიქტის ამოცნობისა და მისი განმუხტვის უნარი.

4 თანამონაწილეობის მეთოდებს და ხერხებს, წესისამებრ, მონაწილეთა შემადგენლობისა და პროცედურის მიზნის მიხედვით ირჩევენ.

5. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცესის საფეხურები

მოქალაქეების როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური თანამონაწილეობის პროცედურები მათი მიზანდანიშნულების მიხედვით სხვადასხვა საფეხურებად (ეტაპებად) შეიძლება ტარდებოდეს. საგულისხმოა, რომ ყველა საფეხურს გარკვეული ტიპის პროცედურა ან პროცედურები შეესაბამება. ქვემოთ მოყვანილი სქემა თვალსაჩინოდ გვიჩვენებს მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ საფეხურებს და მათი შესატყვისი პროცედურების სახეობებს (ფორმებს):[5]

ცხრილი 1: თანამონაწილეობის საფეხურები და შესაბამისი პროცედურები

საფეხური	თანამონაწილეობის პროცედურის სახეობა (ტიპი, ფორმა)
საფეხური: გამოკითხვა	
ინტერესებისა და მოსაზრებების დადგენა	**წერილობითი გამოკითხვა** • "მოქალაქეთა გამოკითხვა" • "ონლაინ-გამოკითხვა" • "Dalphy"-მეთოდი* **ინტერვიუ** • ჯგუფისგან, ფოკუს-ჯგუფისგან და ცალკეული პიროვნებებისგან ინტერვიუს აღება • "გამააქტიურებელი გამოკითხვა"
საფეხური: ინფორმირება	
ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება (ცალმხრივი და ორმხრივი კომუნიკაცია)	**ცალმხრივი კომუნიკაცია** • საინფორმაციო ფურცლების ჩაგდება მოქალაქეების საფოსტო ყუთებში, პლაკატები, განცხადების განთავსება • ადგილობრივი მედია-საშუალებების, პრესის, ადგილობრივი რადიოს გამოყენება • გამოფენა, საინფორმაციო კამპანია • ინტერნეტი, -ინფორმაცია • მონაწილეების პერსონალური მოწვევა, განცხადების გამოკვრა და ა.შ. • **ორმხრივი კომუნიკაცია** • ადგილზე გასვლა (ექსკურსია) და ადგილის მონახულება • მოხსენების გაკეთება და დისკუსიის ორგანიზება (შესაბამისი ღონისძიებები) • მოქალაქეთა კრება • „ღია კარის დღე" (კითხვა-პასუხის საღამო)

5 Bischoff, Ariane; Selle, Klaus; Sinning, Heidi (2005): Informieren, Beteiligen, Kooperieren. Kommunikation in Planungsprozessen. Eine Übersicht zu Formen, Verfahren, Methoden. Kommunikation in Planungsprozessen, Bd. 1, Dortmund.

საფეხური: (თანა-)მონაწილეობა	
ორიენტაცია კონკრეტულ მიზანსა და შედეგზე	**მოქალაქეთა ფორმალური თანამონაწილეობა** • "მოქალაქეთა მოთხოვნა" და "მოქალაქეთა გადაწყვეტილება" • მრჩეველთა საბჭო, კომისია • პეტიცია, მოქალაქეთა განცხადება • საკრებულოს სხდომაზე მოსმენა, განხილვა • საჯაროდ გამოცხადება, გამოქვეყნება • მილების საათები მოქალაქეებისთვის (ან „ღია კარის დღე“) **მოქალაქეთა არაფორმალური თანამონაწილეობა** • "მოქალაქეთა ფორუმი"/"მგეგმავი უჯრედი" • "მომავლის სახელოსნო" • "მომავლის კონფერენცია" • სამიზნე ჯგუფების თანამონაწილეობა • ონლაინ-თანამონაწილეობა
საფეხური: კოოპერაცია	
	• „მოქალაქეთა ფორუმი“/"მგეგმავი უჯრედი“ • მედიაცია (დაინტერესებულ ჯგუფებს შორის დავის არსებობისას) • "მრგვალი მაგიდა" • კოოპერაციული ვორკშოპი "Open Space"-ის ან "World Café"-ს გამოყენებით • „დაგეგმვა ადვოკატთან ერთად“ • ადგილობრივი მნიშვნელობის პარტნიორული ურთიერთობები (ღონისძიებები)

• Dalphy-მეთოდი არის მოქალაქეთა სისტემური, მრავალსაფეხურიანი გამოკითხვის პროცედურა, რომელიც განვითარების სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებაზე დამყარებულ შეფასებას ედება საფუძვლად.

6. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების კატეგორიები და მათი მიზნები

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებს 4 **ძირითად კატეგორიად**[6] აჯგუფებენ; **მათი მიზნებიც** ყველა ცალკეულ შემთხვევაში ერთმანეთისგან განსხვავდება. თანამონაწილეობის პროცედურის მიზნის განსაზღვრა სწორედ ამ 4 ჯგუფის მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება. ქვემოთ მოყვანილია ოთხივე კატეგორიის მოკლე დახასიათება (იხ. ასევე შესაბამისი ცხრილი 2., რომელიც პროცედურის შერჩევაში დაგეხმარებათ):

1) *თანამონაწილეობის კოგნიტიური პროცედურა ("ცოდნის დისკურსი")*

თანამონაწილეობის კოგნიტიური პროცედურა ("ცოდნის დისკურსი") მოიცავს კომუნიკაციის პროცესებს, როცა ექსპერტები განსახილველი საკითხის ირგვლივ შექმნილი ვითარების დადგენა-გარკვევას ცდილობენ. არ არის აუცილებელი, რომ ეს „ექსპერტები" ამ დარგის სპეციალისტები ან მეცნიერები იყვნენ. ცოდნის დისკურსის მიზანია სიტუაციის ან არსებული ვითარების იმგვარად ახსნა-განმარტება, რომ ის მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ჭეშმარიტ სურათს; ამ დროს გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც გულისხმობს არსებული ვითარების განხილვაში ექსპერტებისა და სპეციალისტების ჩართვას. „ექსპერტების" როლში თავად ის პირებიც შეიძლება იყვნენ, ვისაც შექმნილი ვითარება უშუალოდ შეეხება (პროცედურის აქტიორები, ადრესატები, რომელთაც, წესისამებრ, გამოკითხვის საფეხურზე ჩატარებული ინტერვიუების დროს სხვები ასახელებენ ხოლმე). თანამონაწილეობის კოგნიტიურ პროცედურებს განეკუთვნება შემდეგი ფორმით ჩატარებული განხილვები:

• მოქალაქეთა კომიტეტი • ექსპერტების გაერთიანება • ექსპერტების შეხვედრები • ჯგუფური დელფი	**ცოდნის დისკურსი ნიშნავს:** **არსებული ვითარების გარკვევას**

2) მოქალაქეთა თანამონაწილეობის რეფლექსიის პროცედურა („რეფლექსიის დისკურსი")

მოქალაქეთა თანამონაწილეობის რეფლექსიის პროცედურა მოიცავს კომუნიკაციის პროცესებს, რომელთა დროსაც საქმე ეხება არსებული ვითარების ინტერპრეტაციას, ტენდენციებისა და ღირებულებების გარკვევას, არსებული პრობლემებისა და შემოთავაზებული წინადადებების სამართლებრივ

[6] Renn, O.: Diskursive Verfahren der Technikfolgenabschätzung. In: Th. Petermann and R. Coenen (Hrsg.): Technikfolgenabschätzung in Deutschland. Bilanz und Perspektive. Frankfurt am Main 1999, S. 115-130

Renn, O. und C. Benighaus (2003): Diskurs: Vorgehen, Bedingungen, Klassifikation und Chancen. In: Ley, A. und L. Weitz (Hrsg.): Handbuch Bürgerbeteiligung. Ein Methodenhandbuch. Arbeitshilfen für Selbsthilfe- und Bürgerinitiativen Nr. 30. Bonn, S. 108-114.

შეფასებას. რეფლექსიის დისკურსი უწ.ყ. გამოიყენება იმისთვის, რომ მიღებულ იქნეს ინფორმაცია აქტუალური, დაფიქსირებული ტენდენციებისა და განვითარების კონტექსტში მოსალოდნელი ახალი ტენდენციების შესახებ; ის წარმოადგენს დამხმარე ინსტრუმენტს უწ.ყ. ისეთი პროცედურებისთვის, რომელთა მიზანია გადაწყვეტილებების მიგნება ან კონფლიქტების განმუხტვა. ამ სახის პროცედურების მონაწილეთა შერჩევა უფრო „პრაგმატული" მოსაზრებით ხდება (მაგ., შეარჩევენ ისეთ მოქალაქეებს, რომელთაგანაც პრაქტიკული წინადადებების წამოყენებას მოელიან). თანამონაწილეობის რეფლექსიის პროცედურებს განეკუთვნება განხილვები შემდეგი ფორმით:

• „მრგვალი მაგიდა" • „მოქალაქეთა ფორუმი" • „მომავლის სახელოსნო" • „ონლაინ-სახელოსნო" • „ფოკუს-ჯგუფი" • საუბრები დაინტერესებულთა წრეში	**რეფლექსიის დისკურსი ნიშნავს:** **• არსებული ვითარების ინტერპრეტაციას** **• ტენდენციებისა და ღირებულებების გარკვევას**

3) და 4) მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურები, რომლებიც გადაწყვეტილების შეფასებასა და ქმედების დაგეგმვაზე ან შეთანხმებაზეა ორიენტირებული („დაგეგმვისა და შეთანხმების დისკურსი")

გადაწყვეტილების შეფასებასა და დაგეგმვაზე ან შეთანხმებაზე ორიენტირებული თანამონაწილეობის პროცედურები („დაგეგმვისა და შეთანხმების დისკურსი") მოიცავს კომუნიკაციის პროცესებს, რომელთა მიზანია შესაძლო ქმედებების შეფასება და/ან კონკრეტული პრობლემების გადასაწყვეტად სამოქმედო გეგმების შეჯერება-შემუშავება. ამ დროს გამოიყენება როგორც კონფლიქტის განმუხტვისა და მედიაციის პროცედურები, ასევე მოქალაქეთა პირდაპირი თანამონაწილეობაც, რომლებიც პრინციპულად თანამონაწილეობის პროცედურების იმავე კატეგორიას განეკუთვნება, რასაც „მომავლის სახელოსნო" (მაგ., საკუთარი საცხოვრებელი გარემოს დაგეგმვა-მოწყობა ანდაც პოლიტიკური ან ეკონომიკური კონსულტაციების გაწევის მიზნით შექმნილი ორგანოები, რომლებიც კონკრეტულ პოლიტიკურ რჩევებს იძლევიან ან მათ ევალუირებას ახდენენ). დაგეგმვაზე და შეთანხმებაზე ორიენტირებული თანამონაწილეობის პროცედურებს განეკუთვნება განხილვები შემდეგი ფორმით:

• „მომავლის სახელოსნო" • „მრგვალი მაგიდა" • „მედიაციის პროცედურა" • „მოქალაქეთა ფორუმი"/ „მგეგმავი უჯრედი" • "Open space" • "World Café"	**დაგეგმვისა და შეთანხმების დისკურსი ნიშნავს:** **• შესაძლო ქმედებების (ღონისძიებების) შეფასება-პრიორიზებასა და დაგეგმვას** **• კონკრეტული პრობლემებისა და კონფლიქტების განმუხტვას ან გადაჭრას**

ცხრილი 2: მოქალაქეთა თანამონაწილეობის არაფორმალური პროცედურების კატეგორიები და მათი მიზნები

თანამონაწილეობის პროცედურების კატეგორიები	მიზანი	მახასიათებლები	პროცედურა
• ცოდნის დისკურსი	• ვითარების გარკვევა, ვითარების ახსნა	• იმ მოქალაქეების ჩართვა უბნიდან, სოფლიდან, ქალაქიდან, რომლებსაც შესაბამისი ცოდნა გააჩნიათ	• „დელფი“ • „ექსპერტების ჯგუფი“ • „ექსპერტების გაერთიანება“ • „მოქალაქეთა კომიტეტი“
• რეფლექსიის დისკურსი	• ვითარების ინტერპრეტაცია ტენდენციებისა და ღირებულებების გარკვევის მიზნით • პროცედურის სიდიდის შესაბამისად შესაძლებელია კოლექტიური ტენდენციების ჩვენებაც (მაგ., ონლაინ-პროცედურის მეშვეობით)	• კონკრეტული ტენდენციების ჩვენება (კონკრეტული ადამიანების მიერ) • ტენდენციები უნდა აისახოს გადაწყვეტილებებში	• ფოკუს-ჯგუფი • ონლაინ-პროცედურა • "მრგვალი მაგიდა" • "მომავლის სახელოსნო" • "მოქალაქეთა ფორუმი" • საუბრები დაინტერესებულთა წრეში
• დაგეგმვის დისკურსი: „გადაწყვეტილების შეფასებასა და ქმედების დაგეგმვაზე ორიენტირებული“	• არგუმენტების მოყვანა და შეჯერება • თითოეული მოსაზრების ცალკ-ცალკე ჩვენება (პლურალიზმის დაცვა) • შესაძლო ქმედებების შეფასება (პრიორიზება) და დაგეგმვა	• ორიენტაცია საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე • ცალკეული არგუმენტების დაფიქსირებისას ორიენტაცია შეთანხმებაზე • არგუმენტების შეჯიბრი • არ ეძებენ „მზამზარეულ“ გადაწყვეტილებებს	• "მოქალაქეთა ფორუმი"/"მგეგმავი უჯრედი" • ვორკშოპი "World Café"-ს გამოყენებით • „მომავლის სახელოსნო“
• შეთანხმების დისკურსი: „გადაწყვეტასა და ქმედებაზე ორიენტირებული“	• პრობლემის დაგეგმვა და გადაჭრა კონკრეტული ვითარების შესატყვისად	• ორიენტაცია საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ან ინდივიდუალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე • პიროვნული არგუმენტების დაფიქსირებისას ორიენტაცია შეთანხმებაზე • ყველა არგუმენტის შეფასება, გადაწყვეტის გზების ძიება • მონაწილეები იქცევიან აქტიორებად (Open space)	• მედიაცია • "მრგვალი მაგიდა" • "მოქალაქეთა ფორუმი"/"მგეგმავი უჯრედი" • ვორკშოპი "Open space"- ის გამოყენებით

თანამონაწილეობის პროცედურების ოთხივე წარმოდგენილი კატეგორია პარტიციპაციის ის ფორმებია, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების არსებობის პირობებში დემოკრატიულად ლეგიტიმირებული და ფუნქციონალურად საჭირო თანამონაწილეობის პროცესის ხერხემალს წარმოადგენს.

7. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებისა და ინსტრუმენტების შერჩევა

7.1. მიზნისა და ინტერესის ანალიზი (კონტექსტის ანალიზი)

თანამონაწილეობის პროცედურის დაგეგმვის მთელი პროცესისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს სწორი სამიზნე ჯგუფისა და კონტექსტის შესაბამისი თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევა. იმ პირებმა, რომლებიც თანამონაწილეობის პროცედურას გეგმავენ ან მის კონცეფციას ადგენენ, წინასწარ უნდა ჩაატარონ პროცედურის **მიზნისა და ინტერესის ანალიზი** (კონტექსტის ანალიზი), რომელიც უწ.ყ. **აქტუალური ჩარჩო-პირობების** (აქტიორები, მანდატი, კონტექსტი და ა. შ.) გარკვევას გულისხმობს. ანალიზის დროს პასუხი უნდა გაეცეს კლასიკურ W/რ-კითხვებს: რა? -შინაარსი; რატომ? და რისთვის? – განზრახულობა და მიზნები; ვინ? -სამიზნე ჯგუფი; **პროცედურის შერჩევა** ხდება ამ კითხვებზე გაცემული პასუხების მიხედვით (ანუ პასუხი კითხვაზე: „როგორ?"). დასასრულს კიდევ ორ შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი: ეს არის კითხვები **პროცედურის ჩატარების ხანგრძლივობისა და ადგილის** შესახებ („რამდენ ხანს?" და „სად?").

I. მიზნისა და ინტერესის ანალიზის *დაწყებისას* ისმება კითხვები:

- პროცედურის მიზნისა და კონტექსტის შესახებ (რა? რატომ? რისთვის?)
- მონაწილეთა შერჩევის შესახებ (ვინ?).

ანალიზის ჩატარებისის პროცესში ამ შეკითხვებზე პასუხის მიღება ყველაზე უკეთ პროცედურის შესაძლო მონაწილეებთან, მუნიციპალური პროექტის ადრესატებთან (ვისაც ეს შეეხება), მუნიციპალური ორგანოების, სოფლის ან პროექტის წარმომადგენლებთან და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ან ორგანოებთან გასაუბრებისას ხერხდება. ანუ, თავდაპირველი კონტაქტი უნდა შედგეს იმ პირებთან, რომლებსაც მოცემული თემა აინტერესებთ ან რომელთაც ეს თემა უშუალოდ შეეხება, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობენ, გეგმავენ ან კომუნიკაციას უკეთებენ თანამონაწილეობის პროცედურას ან მის შედეგებს. კომპლექსური თემების შემთხვევაში რეკომენდებულია თანამონაწილეობის პროცედურა წინასწარ ჩატარებული პატარა ვორკშოპის ფარგლებში დაიგეგმოს.

II. მიზნისა და ინტერესის ანალიზის *დროს* უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები:

- **თემა, შინაარსი**: რა არის თანამონაწილეობის პროცედურის თემა, შინაარსი?
- **მიზანი, განზრახულობა**: რატომ, რისთვის უნდა ჩატარდეს თანამონაწილეობის პროცედურა? რა არის პროცედურის მიზანი? (მაგ., შექმნილი ან ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის გარკვევა, საკითხთან დაკავშირებით არსებული ტენდენციებისა და მიმართებების დადგენა, შესაძლო ვარიანტების გამოკითხვა, სცენარების დამუშავება ან რეკომენდაციების შემუშავება და ა.შ.)
- **მონაწილეები, სამიზნე ჯგუფი**: ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა და ვინ უნდა "გამოირიცხოს"?

ვინ უნდა მიიღოს მონაწილეობა?

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მონაწილეთა შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ იმ ადამიანებსა და ჯგუფებს (სამიზნე ჯგუფი), რომელთაც ეს პროექტი ეხება. პრინციპულად მიღებულია, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურაში ჩართული უნდა იქნეს ყველა, ვისაც კი პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეხება ნებისმიერი მუნიციპალური დაგეგმვის შედეგები და, ამდენად შესაძლოა, ამან დადებითად ან უარყოფითად იმოქმედოს მათ ინტერესებსა თუ ღირებულებებზე.

7.2 მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის განსაზღვრა

თანამონაწილეობის პროცედურის მიზნისა და ინტერესის გარკვევის შემდეგ გადაწყდება, თუ მოქალაქეთა თანამონანილეობის რომელი კატეგორიის პროცედურა (და რა წესებით) უნდა შეირჩეს. პროცედურის შერჩევის შემდეგ განისაზღვრება მისი ხანგრძლივობა, ჩატარების ადგილი და პროცედურის მიმდინარეობისას გადაწყვეტილების მიგნების წესები და ხერხები. მას შემდეგ, რაც ზოგადად დადგინდება პროცედურის კატეგორია (ცოდნის, რეფლექსიის, დაგეგმვის ან შეთანხმების დისკურსი), დაიწყება მისი დაგეგმვა (სამიზნე ჯგუფი: დიდი თუ პატარა ჯგუფი? თანამონაწილეობის საფეხურები: გამოკითხვა, ინფორმირება, მონაწილეობა თუ კოოპერაცია, ან მათი როგორი კომბინაცია?):

III. მიზნისა და ინტერესის ანალიზის *შემდეგ* უნდა გაირკვეს შემდეგი საკითხები: „როგორ", „სად", „რამდენ ხანს" და „როდის":

- **პროცედურის სახე:** რა მიზანს ისახავს პროცედურა? – შექმნილი ვითარება უნდა გაირკვეს (ცოდნის დისკურსი), ვითარების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს და ტენდენციები განისაზღვროს (რეფლექსიის დისკურსი), არგუმენტები უნდა მოიძებნოს (ინფორმირების დისკურსი), თუ შესაძლო ქმედებების ფორმულირება და შეფასება უნდა მოხდეს (დაგეგმვის დისკურსი)?

- **თანამონაწილეობის საფეხური:** რომელი საფეხურია განმსაზღვრელი შერჩეული პროცედურისთვის: ინფორმირების, მონაწილეობის თუ კოოპერაციის საფეხური?

- **ადგილი, სივრცე:** რომელ დონეზე ხდება პროექტის მართვა: ვერტიკალურად (ქვეყნის დონეზე) თუ ჰორიზონტალურად (რეგიონის, ადგილობრივ დონეზე), თუ ორივე დონე უნდა იყოს ინტეგრირებული? სად ხორციელდება პროექტი?

- **დრო:** როდის უნდა ჩატარდეს პროცედურა და როგორი უნდა იყოს მისი ხანგრძლივობა?

- **არგუმენტების წარდგენის წესები პროცედურის მიმდინარეობისას:** თვალსაჩინოების რა წესები უნდა იქნეს გამოყენებული? როდის არის არგუმენტი ჯგუფისთვის დამაჯერებელი? როგორ უნდა გადამოწმდეს მოყვანილი ფაქტები? კანონისა და ეთიკის რა ნორმები გამოიყენება ჭეშმარიტების განსჯისთვის?

- **გადაწყვეტილების შერჩევის პროცედურა:** როგორ ხდება გადაწყვეტილების მიგნება, გადაწყვეტილების შერჩევის რომელი პროცედურა გამოდგება ამისთვის? საჭირო არის თუ არა კონსენსუსის მიღწევა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით? იკმარებს თუ არა მხოლოდ გადაწყვეტილების შერჩევის პროცედურა? როგორ ხდება კენჭისყრა მაშინ, როცა კონსენსუსის მიღწევა ვერ ხერხდება?

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ხშირად მხოლოდ თანამონაწილეობის პროცედურის კლასიკური ფორმის შერჩევა არ კმარა; არცთუ იშვიათად საჭირო ხდება კონკრეტულ სიტუაციასთან მისი მისადაგება.

ქვემოთ განხილული იქნება სხვადასხვა კატეგორიისა და ტიპის ისეთი პროცედურები (ცოდნის, რეფლექსიის, დაგეგმვის და ინფორმაციის დისკურსი), რომელთა გამოყენების შემთხვევაშიც მისადაგება, მოდიფიცირება, კომბინირება შედარებით მარტივია (იხ. ცხრილი 3.).

8. მოქალაქეების თანამონაწილეობის საყოველთაოდ აპრობირებული პროცედურები

უკანასკნელ წლებში მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების იმდენად მრავალფეროვანი ახალი ფორმები დამუშავდა და გამოიყენება (მაგ., „მოქალაქეთა ფორუმი", „მოქალაქეთა ჟიური", „Planning for Real" ან „Open Space"[7]), რომ ხშირად საჭირო პროცედურის შერჩევა მაშინაც კი ჭირს, როცა კონტექსტი, სამიზნე ჯგუფი და თვით პროცედურის მიზანიც კი გარკვეულია. მაგრამ, თუკი პრაქტიკაში გამოყენებულ პროცედურებს უფრო დაკვირვებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მათ ყველას მეტნაკლებად საერთო მეთოდიკა უდევს საფუძვლად და ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მხოლოდ მათი მისადაგება, მოდიფიცირება ან კომბინირება ხდება.

ეს განსაკუთრებით ეხება თანამონაწილეობის პროცედურების ახალ სახეობებს, რომლებიც ამ ბოლო წლებში სწორედ ისეთი აპრობირებული პროცედურების საფუძველზე შეიქმნა, როგორიცაა მაგ., „მომავლის სახელოსნო", „მგეგმავი უჯრედი", „Search Conference" და ა.შ. დღეისთვის საუბარია უფრო პროცედურების მრავალფეროვან ვარიანტებზე, ვიდრე მრავალფეროვან პროცედურებზე ან მეთოდებზე.[8] გამონაკლისს წარმოადგენს ისეთი პროცედურები, როგორიცაა "Open space", "World Café", რომლებიც გასული საუკუნის 80-იან წლებში „Open Source"-ის სახით შეიქმნა და განვითარდა.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის თანამედროვე პრაქტიკაში ყველა ცალკეულ შემთხვევაში ადამიანები ცდილობენ თავისი საკუთარი „პროცედურის" გამოყენებას, რაც სხვადასხვა პროცედურების ელემენტების კომბინირებას გულისხმობს.

საქართველოს შემთხვევაშიც სწორედ ამგვარი მიდგომა იქნებოდა რეკომენდებული: ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე ფართოდ გავრცელებული პროცედურა, რომლებიც საქართველოში შექმნილ რეალობას ყველაზე უკეთ მიესადაგება: ეს იმ ტიპის პროცედურებია, რომლებიც ორიენტირებულია საზოგადოებრიობის ინფორმირებასა და გადაწყვეტილების მიგნებაზე ან გადაწყვეტილების მიღებაზე (იხ.: "დაგეგმვისა და ინფორმირების დისკურსი").

ამასთან, პროცედურის მოდერატორმა (ან თანამონაწილეობის კოორდინატორმა) დაგეგმვისას იმთავითვე უნდა გააცნობიეროს, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის კლასიკური პროცედურების შეცვლა ან შემცირება უეჭველად გამოიწვევს პროცედურის სახეობის შეცვლას და ეს გარკვეულწილად უარყოფითად აისახება მის ეფექტურობაზე.

---

[7] მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ და მსგავსი პროცედურების დასახელებები ქართულად არ ვთარგმნეთ, რადგანაც საერთაშორისო პრაქტიკაში ისინი იმთავითვე ინგლისური დასახელებით არის დამკვიდრებული.

[8] Baumann, Frank/Detlefsen, Malte u.a.: Neue Tendenzen der Bürgerbeteiligungsprozesse in Deutschland. Veränderte Rahmenbedingungen, Praktiken und deren Auswirkungen. Büro Blau, Berlin 2004. Online im Internet, URL: http://www.bueroblau.de/pdf/TendenzenBuerger.pdf 10.10.2008

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურები, რომლებიც რეკომენდებულია საქართველოში გამოსაყენებლად:

1. **ვორკშოპები დიალოგის ღია ინსტრუმენტებით:**
   - **"Open space"**
   - **"World Café"**
2. **"მომავლის სახელოსნო"**
3. **დაგეგმვის დიალოგები:**
   - **„მგეგმავი უჯრედი", „მოქალაქეთა ფორუმი"**
   - **„დაგეგმვის სახელოსნო", „მოქალაქის გეგმა"/"მოქალაქის რეკომენდაცია"**

ქვემოთ მოცემული ცხრილი თვალსაჩინოდ აჩვენებს ძირითად განსხვავებებს ზემოთ დასახელებულ პროცედურებს შორის, რაც იმავდროულად პრაქტიკულად მათი შერჩევის კრიტერიუმებსაც ნარმოადგენს:

ცხრილი 3: მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების მიმოხილვა

პროცედურა	სამიზნე ჯგუფი	ჯგუფის სიდიდე	ხარჯები	მიზნები	დაგეგმვის დრო	ხანგრძლივობა
ვორკშოპი "Open space"	მოქალაქეები, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები	20-200 ან უფრო მეტი მონაწილე	დიდი ჯგუფის შემთხვევაში დიდი ხარჯები სამუშაო მასალისა და კვებისთვის (დაახლ. 1-2 დღე)	კომპლექსური ვითარების სტრუქტურირება, ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმვა (ხანგრძლივი პროცედურის დროს), სამოქმედო გეგმის შემუშავება	დაგეგმვა ნინასნარ და შემდეგ, სამოქმედო გეგმის შემუშავება	1-3 დღე
ვორკშოპი "World Café"	მოქალაქეები, სხვადასხვა ინტერეს-ჯგუფები	20-200 ან უფრო მეტი მონაწილე	დიდი ჯგუფის შემთხვევაში საშუალო ხარჯები სამუშაო მასალისა და კვებისთვის	იდეების გენერირება, არგუმენტების დაფიქსირება, შესაძლო ქმედებების შეფასება	დაგეგმვა ნინასნარ და შემდეგ	3 სთ-დან 1 დღემდე
„მომავლის სახელოსნო"	ბავშვები, ახალგაზრდები, ისინი, ვისაც შეეხება (ადრესატები)	15-25 მონაწილე (ოპტიმალურია), შესაძლებელია 100-მდეც	მცირე ხარჯები	ტენდენციებისა და ღირებულებების გარკვევა	დაგეგმვა ნინასნარ, ასევე სამოქმედო გეგმის შედგენა	3 სთ-დან 3 დღემდე

„მგეგმავი უჯრედი“ /“მოქალაქეთა ფორუმი“	მოქალაქეები (შემთხვევითი შერჩევა)	15-20 მონაწილე თითო უჯრედში	დიდი ხარჯები, როცა რამდენიმე დღე გრძელდება და ბევრი მონაწილე პყავს	კონკრეტული ვითარების დაგეგმვა და გადაწყვეტის გზის მიგნება	დაგეგმვა, რეკომენდაციების შემუშავება კონკრეტული პროექტისთვის	1-7 დღე, დამოკიდებულია ვითარების კომპლექსურობაზე
„დაგეგმვის სახელოსნო“, „მოქალაქის გეგმა“	მოქალაქეები; ისინი, ვისაც შეეხება (ადრესატები)	15-20 მონაწილე	მცირე ხარჯები (ხანგრძლივობა 1 დღე)	კონკრეტული ვითარების დაგეგმვა და გადაწყვეტის გზის მიგნება (მარტივი დაგეგმვა)	კონკრეტული დაგეგმვა, რეკომენდაციების შემუშავება	1 დღე

8.1 ვორკშოპები დიალოგის ღია ინსტრუმენტებით (Open space ან World Café)

საქართველოში რეკომენდებული იქნებოდა მოდერირებული ვორკშოპების გამოყენება, რომელიც მოქალაქეთა თანამონაწილეობის ისეთ ღია ინსტრუმენტებს მოიცავს, როგორიცაა "Open Space" ან "World Café". ამ პროცედურებში მონაწილეები ერთმანეთთან თავისუფლად ურთიერთობენ და თავიანთ იდეებს აფიქსირებენ. ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი მონაწილის შემომატება და ჯგუფის, მონაწილეთა წრის გაფართოება. პროცედურების თემა შეიძლება იყოს იდეების გენერირება, მუნიციპალური პროექტის დაგეგმვა, ორგანიზაციის, სოფლის ან დასახლების განვითარება ანდაც ცალკეული ღონისძიებების განხორციელების ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმვა. პროცედურების ხანგრძლივობა დამოკიდებულია განსახილველ თემაზე და იმაზე, თუ რა შედეგის მიღწევაა დასახული მიზნად. თუ საქმე შექმნილი ვითარების მხოლოდ განხილვასა და შეფასებას შეეხება, მაშინ რეკომენდებულია "World Café"-ს გამოყენება; როცა თემა ძალზე კომპლექსურია, როცა ახალი პროექტების კონცეფციების შემუშავება ან სულაც პროექტის მდგრადი განხორციელების გეგმის შედგენაა საჭირო, მაშინ უკეთესი იქნება "Open Space"-ის პროცედურა.

ვორკშოპს მოდერირებას უკეთებს და თანამონაწილეობის პროცესის შემდგომ მსვლელობასაც თვალყურს მიადევნებს კონკრეტული პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი ან დამოუკიდებელი პირი (მოდერატორი). ზემოთ ნახსენები ორივე პროცედურის მონაწილეთა რაოდენობა შეიძლება იყოს 20-დან 200-მდე; "Open Space"-ც და "World Café"-ც მოქალაქეთა თანამონაწილეობის ძალზე მოსახერხებელ და ადვილად გამოსაყენებელ პროცედურებს წარმოადგენს.

8.1.1 "Open Space"-პროცედურის ტექნოლოგია

"Open Space"-პროცედურა

"Open Space"- პროცედურის მეთოდიკა შეიმუშავა ამერიკელმა მეცნიერმა ჰარისონ ოუენმა გასული საუკუნის 80-იან წლებში.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურების ჩატარებისას მას თვალში მოხვდა, რომ მიუხედავად ინტენსიურად დაგეგმილი და მომზადებული ვორკშოპებისა, მონაწილეები ყველაზე საინტერესო და დაძაბულ დისკუსიებს სწორედ შესვენებებზე ჩაის ან ყავის სმისას მართავდნენ. "Open Space"-ის მეთოდში სწორედ შესვენებების ღია და ძალდაუტანებელი ატმოსფერო იქნა გათვალისწინებული, ვინაიდან მონაწილეები ამ დროს ერთმანეთს თავისუფლად ესაუბრებიან და დისკუსიის წარმმართველი ან მოდერატორი არ სჭირდებათ. ეს მეთოდი ხელს უწყობს ადამიანების **თვითორგანიზებას,** რაც დადებითად აისახება, ერთი მხრივ, მათ მიერ საკითხის ინტენსიურ განხილვაზე და, მეორე მხრივ, მოცემული თემისადმი საკუთარი **პასუხისმგებლობის** გაძლიერებაზე. პროცედურის მეთოდიკაც სწორედ ამას ეფუძნება: მონაწილეები შესვენებებზე ხშირად შეუჩერებლად ლაპარაკობენ თემებზე, რომლებიც მათ აღელვებთ და ამისთვის, როგორც წესი, შესვენებისთვის გამოყოფილი დრო არც კი ჰყოფნით ხოლმე; ჩვეულებრივ ვორკშოპებზე ან კონფერენციებზე კი მონაწილეები უმეტესად "უენონი" და მორიდებულნი არიან. "Open Space"- ში კარგად არის გამოყენებული ადამიანების სწორედ ეს თვითორგანიზება და მონაწილეებს შორის გამართული გაცხოველებული დისკუსიის დინამიკა. მასში 20-დან 200-მდე ადამიანმა შეიძლება მიიღოს მონაწილეობა: ისინი ამ შეკრებას თავად უწევენ ორგანიზებას.

"Open Space"-ის მახასიათებლები

ამ პროცედურაში:

- ***არ არსებობს*** **წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგი:** მას მუშაობის დაწყებისას მონაწილეებთან ერთად შეიმუშავებენ.
- ***არ არსებობს*** **მოდერაცია:** მონაწილეები თავად ირჩევენ და ამუშავებენ თემებს და წარმართავენ მუშაობას (არსებობს მხოლოდ პროცესის ორგანიზატორი).
- ***არ არსებობს*** **წინასწარი გეგმა მუშა-ჯგუფებისთვის:** მუშა-ჯგუფების სიდიდეს, მუშაობის ხანგრძლივობას და მეთოდურ ხერხებს მონაწილეები თავად განსაზღვრავენ.

"Open Space"-პროცედურის მიზნისა და სამიზნე ჯგუფის შერჩევა

„Open Space"-პროცედურა შეიძლება გამოყენებული იქნეს ადგილობრივი მნიშვნელობის ნებისმიერი საკითხის განსახილველად, მაგ.,

- ქალაქის ან სოფლის უბნებისა და სტრუქტურების დაგეგმვა,
- მუნიციპალური დაწესებულებების რეაბილტაცია-მოდერნიზება (მაგ., სკოლა, საბავშვო ბაღი),
- საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება-დანერგვა.
- "Open Space"-პროცედურა ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ისეთი კრიტიკული თემების განსახილველად, როგორიცაა, მაგ.რომელიმე სამეწარმეო ობიექტის ან ადგილის დახურვა,
- მასშტაბური, საკამათო სამშენებლო ობიექტების პროექტები, კონცეფციები.

"Open Space"-პროცედურაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ასაკის მოქალაქეს. ამ თვალსაზრისით რაიმე შეზღუდვა არ არსებობს.

"Open Space"-პროცედურის წინაპირობები:

ფრიად მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმას, რომ:

- **თემა იყოს *აუცილებელი და საჭირო*,** (ანუ თემა, რომელიც „გულზე აწევთ" მონაწილეებს, მათ შეეხებათ, აღელვებთ; როცა ამ თემასთან დაკავშირებით ქალაქში, სოფელში დიდია მოქმედებისა და ცვლილებების მოხდენის სურვილი);
- **თემა იყოს *საზოგადოებისთვის ჯერ-ჯერობით ღია, დაუმუშავებელი,*** ანუ მასზე ჯერ არ არსებობდეს მზა პროექტი ან გადაწყვეტილება და შესაძლებელი იყოს ახალი და კრეატიული იდეების შეთავაზება და გათვალისწინება;
- **თემა იყოს *კომპლექსური,*** ანუ არ უნდა არსებობდეს მისი მარტივი გადაწყვეტის გზები და შესაძლებელი იყოს, რომ ის არა მარტო ერთმა ადამიანმა, არამედ ასევე ადამიანთა ჯგუფმა ან საზოგადოებრივმა გაერთიანებამ გადაწყვიტოს;
- **თემა იყოს *მნიშვნელოვანი,*** ანუ ჰქონდეს ფუნდამენტალური მნიშვნელობა მუნიციპალიტეტისთვის, ქალაქისთვის, სოფლისთვის.

"Open Space"-პროცედურის მომზადება და მიმდინარეობა

1-3 დღიანი ღონისძიებების მიმდინარეობის სანიმუშო სქემა

1. **ღონისძიების დაწყების, "გახსნის" ფაზა:** პროცედურის ორგანიზატორი მიესალმება დამსწრეთ, გააცნობს მათ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის თემას, ისაუბრებს თავის მოლოდინზე და სიტყვას გადასცემს თანამონაწილეობის კოორდინატორს.
2. **ინფორმაცია პროცედურის შესახებ:** თანამონაწილეობის კოორდინატორი მონაწილეებს მიაწვდის ინფორმაციას პროცედურის პრინციპებისა და წესების შესახებ.

3. **დღის წესრიგის განსაზღვრა:** მონაწილეები თავიანთ მოსაზრებებს გამოთქვამენ იმ პრიორიტეტული თემების ("ინტერესი") ირგვლივ, რომელიც მათ განსაკუთრებით "აწევთ გულზე" და "გამოაქვეყნებენ" მათ "ბაზარზე" ("ინტერესების დაფა" დროისა და ადგილის მატრიქსით).
4. **"ბაზარი":** ინტერესები ჩამოიწერება DinA3-პლაკატებზე (დროისა და ადგილის გათვალისწინებით): "ბაზრის" ფაზაში ხდება სასურველი თემების ("ინტერესი") შერჩევა, სამუშაო დროისა და ადგილის განსაზღვრა და მონაწილეთა გადანაწილება სამუშაო ჯგუფებში "ინტერესების" მიხედვით.
5. **მუშაობის ფაზა:** ამ დროს მონაწილეები ახდენენ თვითორგანიზებას, ეყრდნობიან რა პროცედურის ძირითად წესებს და ე.წ. "2 ფეხის" პრინციპს. ჯგუფში მუშაობის ფაზის დროს ხდება მუშაობის შედეგების დოკუმენტირება "ჯგუფის ხელმძღვანელის" მიერ.
6. **"დოკუმენტაციის" დაფა:** შედეგებს თვალსაჩინოდ გამოაკრავენ "დოკუმენტაციის" დაფაზე, რომელთან მისვლა და წაკითხვა ნებისმიერ მონაწილის შეუძლია.
7. **წაკითხვის ფაზა:** მონაწილეებს ეძლევათ დრო "დოკუმენტაციის" დაფაზე განთავსებული შედეგების წაკითხვისთვის.
8. **სამოქმედო გეგმის შედგენა:** ყველა პროექტის თავმოყრის შემდეგ დაიგეგმება და შეთანხმდება ცალკეული პროექტები და მათი რეალიზაციისთვის საჭირო შემდგომი სამოქმედო ნაბიჯები.
9. **დასასრული:** ღონისძიების დასრულება და პროცედურის "დახურვა".

ღონისძიების გამართვის ადგილი (დარბაზი)

სამუშაო დარბაზი ან ოთახი მონაწილეების რაოდენობის შესაბამისად იმ სიდიდის უნდა იყოს, რომ წრეში განლაგებულ სკამებზე ადგილის დაკავება ყველას ერთად შეეძლოს (მაგ., 50 მონაწილის შემთხვევაში ოპტიმალური იქნებოდა 150-200m^2 ფართის მქონე დარბაზი). ყველა შემთხვევაში მონაწილეები დიდ წრეში უნდა ისხდნენ (სკამები წრიულად ან შესაბამისად ნახევარწრეებზე უნდა იყოს განლაგებული). ჯგუფური მუშაობა შეიძლება მიმდინარეობდეს დიდ დარბაზში ან უფრო მომცრო ოთახებში. "ინტერესების დაფა" დროისა და ადგილის მატრიქსით დიდ დარბაზში უნდა დაიდგას, "დოკუმენტაციის დაფა" კი - ბართან ახლოს (მონაწილეებს შეეძლებათ შესვენებისას აქ გაეცნონ მუშაობის შედეგებს).

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის გახსნის ფაზა და დღის წესრიგის განსაზღვრა

ღონისძიების დასაწყისში ორგანიზატორი (ან თანამონაწილეობის კოორდინატორი) დამსწრეთ მიესალმება და წარადგენს განსახილველ თემას (საკითხს), ისაუბრებს იმაზე, თუ რას ელის მონაწილეებისგან.

შემდეგ მიაწვდის ინფორმაციას "Open Space"-პროცედურის პრინციპებისა და წესების შესახებ. არ არსებობს წინასწარ მომზადებული დღის წესრიგი; დღის წესრიგის განსაზღვრა ხდება მონაწილეების მიერ ვორკ-შოპის მიმდინარეობის პირველი საათის განმავლობაში. მონაწილეები დაასახელებენ და შეარჩევენ იმ თემებს, რომლებიც მათ განსაკუთრებით აწუხებთ ("გულზე აწევთ") და რომელთა განხილვაც ამ ღონისძიებაზე აუცილებლად სურთ. ამასთან, მონაწილეები ამ საკითხების (თემების) ექსპერტების როლშიც არიან. მუშაობის მიმდინარეობის კონტროლზეც ისინი თავად არიან პასუხისმგებელნი (სხვები არ ერევიან).

მუშაობის ფაზა: "ბაზარი"
(პატარა ჯგუფებში მუშაობის ფაზა)

მონაწილეები ფურცლებზე (DinA4) ყველასთვის თვალსაჩინოდ ჩამოწერენ თემებს ("ინტერესი") და ფურცლებს მიაკრავენ "ინტერესების დაფაზე" (დრო-სივრცის მატრიქსი). მონაწილეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ იმ თემებთან ("ინტერესი") დაკავშირებით, რომელთა დამუშავებაშიც მათ მონაწილეობის მიღება სურთ. ამ პროცედურაში სწორედ ეს ფაზა შეესაბამება "ბაზარს", სადაც სხვადასხვა თემების შეთავაზება და არჩევა ხდება. ამის შემდეგ იწყება დამოუკიდებელი მუშაობა ჯგუფებში. მონაწილეები თვითონ არეგულირებენ თავიანთ სამუშაო დროს (განსაზღვრულია მხოლოდ პროცედურის საერთო ხანგრძლივობა).

წაკითხვისა და დასრულების ფაზა,
სამოქმედო გეგმის შედგენა

სამუშაო ჯგუფებში შედეგების განხილვისა და დაფიქსირების შემდეგ ხდება მათი „გამოქვეყნება" „დოკუმენტაციის დაფაზე". ამას მოჰყვება შედეგების წარდგენა. შემდეგ მონაწილეები დაგეგმავენ იმ პროექტების პრაქტიკულ სამოქმედო ნაბიჯებს, რომელთა განხორციელებაც მათ სურთ (სამოქმედო გეგმის შედგენა), და ერთმანეთს შეუთანხმებენ მათ. დასასრულს ერთმანეთს დაემშვიდობებიან და ღონისძიებაც დამთავრდება.

შედეგების დოკუმენტირება და
შემდგომი სამოქმედო ნაბიჯების დაგეგმვა

შედეგების დოკუმენტირება "დოკუმენტაციის დაფაზე" ხდება, ხოლო შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა "მომდევნო ნაბიჯების" დაფაზე. ამისათვის წინასწარ ამზადებენ ანკეტებს, რომლებიც სამუშაო ჯგუფებს შესავსებად ურიგდება:

ანკეტა "დოკუმენტაციის" დაფისთვის (DinA4-ფურცელზე):

• **განსახილველი საკითხი (თემა):**
• **რა მოხდა, რა ხდებოდა?** (გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ *წინა* და *აქტუალური* ვითარება საკითხთან, თემასთან დაკავშირებით).

ვინ მოიწვია მოქალაქეები, ეს შეკრება (ვინ არის ორგანიზატორი):

ანკეტა "შემდეგი ნაბიჯების" დაფისთვის (DinA4-ფურცელზე):

• **პროექტის დასახელება:**
• **ვინ მონაწილეობს** (სახელი, გვარი):
• **საკონტაქტო პირი:**
• **ვინ, რას, როდემდე, სად და როგორ გააკეთებს**
(დაფა ოთხ მონაკვეთად არის გაყოფილი):

ვინ	რა	როდის და სად	როგორ

დაფინანსება

„Open space"-პროცედურა შედარებით მრავალფეროვანი მასალით ტარდება: სამუშაო ჯგუფებში თითო მონაწილის რამდენიმე DinA3/4 ფურცელი, ხოლო თანამონაწილეობის პროცედურის კოორდინატორს ღონისძიების დასაწყისში რამდენიმე პლაკატი დასჭირდება „ბაზრისთვის" და პროცედურის პრინციპების ვიზუალიზებისთვის; საჭიროა დიდი დარბაზი და შეძლებიდაგვარად რამდენიმე პატარა ოთახიც; მნიშვნელოვანი თანხა სჭირდება პროცედურის ოქმს, რომელიც მინიმუმ 40 ფურცელს მაინც მოიცავს და რომელიც შემდეგ მონაწილეებს უნდა დაურიგდეს (ხშირად მონაწილეების რიცხვი 80-ს აჭარბებს); პროცედურას წარმართავს და შემდეგაც უწევს თანხლებას თანამონაწილეობის კოორდინატორი, რომელსაც ჰონორარს უხდიან, თუმცა მცირე ბიუჯეტის შემთხვევაში იმპროვიზებაც არის შესაძლებელი (ასევეა შესაძლებელი ფურცლების მომჭირნედ მოხმარება და მონაწილეებისთვის პროცედურის ოქმის ელექტრონული ფოსტით გადაგზავნა).

„Open Space"-პროცედურის პრინციპები[9]

"Open Space"-ის მონაწილეებს ყურადღებას უმახვილებენ შემდეგ პრინციპებზე, რომელთა დაცვაც ხელს უწყობს მათ თვითორგანიზებას თანამონაწილეობის პროცედურის მსვლელობისას:

[9] (*Harrison Owen "Open Space" Technology-A User's Guide-ის მიხედვით, 1997*).

1) ვინც მონაწილეობს, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს (*"Whoever comes is the right people."*)

მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ მონაწილეობს პროცედურაში. ნებისმიერი ადამიანი სასურველია და ყველა, ვინც მოვა, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს (20-200 ან მეტი მონაწილე). მნიშვნელოვანია, რომ მათ მოცემული თემა აღელვებდეთ და ამას პროცედურაში მონაწილეობის დროსაც ამჟღავნებდნენ. აქედან გამომდინარე, უნდა ვენდოთ მოსულ ადამიანებს, მათთან ერთად ვიმსჯელოთ და ვიმუშაოთ და არ უნდა ვიფიქროთ იმაზე, თუ კიდევ ვინ შეიძლებოდა მოსულიყო.

2) რაც არ უნდა მოხდეს, ეს არის სწორედ ის ერთადერთი, რაც უნდა მომხდარიყო („Whatever happens is the only thing that could have.")

*ეს წესი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მონაწილეები კონცენტრირებული იყვნენ იმაზე, რომ ისინი **აქ** და **ახლა** არიან (ამით თავიდან ავიცილებთ ფიქრს იმაზე, "რა იქნებოდა, რომ...", "შეიძლებოდა, რომ..."). მონაწილე უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ ის **ახლა აქ** არის და პროცედურაში მონაწილეობს. ამგვარი მიდგომა აძლიერებს მონაწილეთა კრეატიულობას და ფაქტიურად არსებული რესურსების წარმოჩენასა და გამოყენებას.*

3) იწყება მხოლოდ და სწორედ მაშინ, როცა საამისო დრო მოვა („Whenever it starts is the right time.")

დისკუსიები იწყება და მთავრდება. კრეატიულობა და საკითხის გადაწყვეტა ერთბაშად არ მოდის: ეს პროცესი თანდათან უნდა მომწიფდეს. აქედან გამომდინარე, მოთმინება გვმართებს: უნდა დაველოდოთ, თუ როდის მომწიფდება იდეები და არ უნდა გვქონდეს საკითხის მყისიერი გადაწყვეტის მოლოდინი.

4) რაც უკვე დამთავრდა, დამთავრდა; რაც არ დამთავრდა, ე.ი. არ უნდა დამთავრებულიყო („When it's over it's over.")

დისკუსიების დამთავრების შემდეგ მონაწილეები ჯგუფს ტოვებენ და მერე ისევ იკრიბებიან სხვა ჯგუფში ახალი თემის განსახილველად. ეს ცვლა ყოველ 20-90 წუთში ხდება. ისინი არ აქცევენ ყურადღებას იმას, დამთავრდა თუ არა გამოყოფილი დრო: მათ ჯგუფში დისკუსიის დამთავრებისთანავე შეუძლიათ ახალი ჯგუფის მოძებნა ანდაც შესვენების გაკეთება. ხდება ხოლმე პირიქითაც, როცა დისკუსიის დამთავრების შემდეგ სადისკუსიო განწყობა არ ნელდება და კამათის დინამიკა შენარჩუნებულია. ასეთ შემთხვევაში ახალი დისკუსია იგეგმება და საამისო დროის შეთანხმება ხდება.

ამას ემატება ე.წ. "ორი ფეხის" პრინციპი („Law of Two Feet"), რომელიც ხელს უწყობს პასუხისმგებლობისა და თავისუფლების ხარისხის ამაღლებას:

"... if at any time you find yourself in any situation where you are neither learning nor contributing – use you two feet and move to some place more to you liking. Such a place might be another group, or even outside into the sunshine. No matter what, don't sit there feeling miserable. (Harrison Owen „Open Space Technology-A User's Guide", 1997)

"როგორც კი დაინახავთ, რომ დისკუსია მოსაწყენი გახდა და ამ სიტუაციაში ის ახალს არაფერს იძლევა და შედეგიც არა აქვს, ჯგუფი ან დარბაზი უნდა დატოვოთ და გადაწყვიტოთ, შემდეგ როგორ მოიქცეთ".

ამ პრინციპის შედეგია ის, რომ პროცედურის მსვლელობისას ჩნდებიან ე.წ. "პეპლები" და "ფუტკრები", რომლებიც ხან ერთ ჯგუფს უერთდებიან, ხან კი მეორეს. "ფუტკრებს" ჯგუფიდან ჯგუფში "ყვავილის მტვერი" (შინაარსები) გადააქვთ და მათ იდეებით ამდიდრებენ (ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა), ხოლო "პეპლები" ჯგუფებში მხოლოდ მიმდინარე დისკუსიებსა და განსახილველ თემებს აკვირდებიან, შემდეგ გზას აგრძელებენ და იმ ჯგუფს უერთდებიან, სადაც ჯერ არაფერი არ გადაუწყვეტიათ ან არ დაუგეგმავთ და სადაც, აქედან გამომდინარე, ჯერ კიდევ არსებობს ახალი იდეების მიწოდებისა და გეგმების გამომჟღავნების საშუალება.

1-დღიანი „Open Space"- ღონისძიების სანიმუშო დღის წესრიგი

დრო	ღონისძიება
9:30-10:00	რეგისტრაცია
10:00-10:10	მისალმება, ღონისძიების გახსნა
10:05-1:30	შესავალი: • "Open Space"-ის ძირითადი წესები და პრინციპები • "ინტერესების დაფის" შევსება • "ბაზრის" გახსნა
11:30-12:25	1. მუშაობა ჯგუფში
12:45-14:00	2. მუშაობა ჯგუფში (შესვენება ნებისმიერ სასურველ დროს)
14:00-15:15	3. მუშაობა ჯგუფში
15:15-15:30	"დოკუმენტაციის დაფაზე" განთავსებული შედეგების წაკითხვა
15:30-16:30	სამოქმედო გეგმის შედგენა • პროექტის წარდგენა • პროექტის განხილვა, დამუშავება • მომდევნო ნაბიჯების დაგეგმვა
16:30:17:00	შემაჯამებელი საუბარი
17:00	ღონისძიების დასასრული



"Open Space"-პროცედურის პრაქტიკული მაგალითები ურბანული და რეგიონული განვითარების სფეროდან იხ.:

- http://www.boscop.de/event/tagged/Stadt-+und+Regionalplanung)
- What shall we do in Kalnciema Street? Riga, 2004
- "ბავშვები და ახალგაზრდები – ჩვენი რეგიონის მომავალი", პარხიმის რაიონი, გერმანია, 2000
- "პარკი პაველთან- ორანიენბურგის საუკეთესო უბანი", ქ. ორანიენ-ბურგი, 2003
- How to clean up your city, improve recreation and attract tourists? Beloozersk, Belarus 2007
- "Open Space"-პროცედურა ერევანში (სომხეთი) თემაზე „How can credits be more accessible...", მოდერატორი ჯო ტიოპფერი (oscop in cooperative eg Berlin" (**http://www.boscop.org/page/show/100).**

8.1.2 "World Café" – გარემო კრეატიული საუბრებისთვის

"World Café" – ს პროცედურა

"World Café" "Open Space" –ის მსგავსად ასევე თანამონაწილეობის ღია პროცედურას წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს მონაწილეების თვითორგანიზებას და ღია დისკუსიების გამართვას. მონაწილეები, რომლებიც პატარა მრგვალ მაგიდებს უსხედან (5-5 მონაწილე), განიხილავენ საკითხს (თემას) და აფიქსირებენ (წერენ) დისკუსიის შედეგებს მაგიდის ქაღალდის გადასაფარებელზე. დაახლოებით 25 წუთის შემდეგ მონაწილეები იცვლიან მაგიდებს, თან მიაქვთ თავიანთი იდეები და უზიარებენ მათ სხვა მაგიდასთან მსხდომთ. ერთი მონაწილე, მაგიდის "მასპინძელი", თავის მაგიდას არ ტოვებს და ახალ მონაწილეებს ღებულობს ახალი დისკუსიის დასაწყებად. მონაწილეთა მიერ მაგიდების ასეთი ცვლის მიზანია თემებისა და იდეების ურთიერთგაზიარება და, საბოლოო ჯამში, იდეების გარკვეული "ქსელის" გაბმა. ასე გამოიკვეთება ახალი პერსპექტივები სხვადასხვა მაგიდებზე დაფიქსირებული იდეების გაცვლა-გამოცვლის გზით. დასასრულს, ყველა ერთად იკრიბება და მაგიდების "მასპინძლები" წარმოადგენენ შედეგებს, რომელთა განხილვაც კიდევ ერთხელ არის შესაძლებელი მთლიანი ჯგუფის გაერთიანებულ სხდომაზე.

"World Café" – ს მახასიათებლები

- "კაფეში" თითო მაგიდას უზის და თემას განიხილავს 5-6 მონაწილე.
- 20-30 წუთის შემდეგ მონაწილეები მაგიდებს იცვლიან, „მასპინძელი" კი თავის მაგიდასთან რჩება და ესალმება (ღებულობს) „მოგზაურ" მონაწილეებს.
- „მასპინძელი" მათ წარუდგენს წინა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ყველაზე მნიშვნელოვან იდეებსა და ინფორმაციას.
- „მოგზაურებს" თან მოაქვთ თავიანთ მაგიდებთან დაფიქსირებული ძირითადი იდეები, თემები და საკითხები.
- შემდეგი 20-30 წუთის განმავლობაში კვლავ ხდება მაგიდების გამოცვლა. „მოგზაურ" მონაწილეებს შეუძლიათ თავიანთ მაგიდებს დაუბრუნდნენ, „მასპინძელი" კი კვლავაც თავის საკუთარ მაგიდასთან რჩება.
- დაბოლოს, ან ახალი საუბრების, ანდაც ჩაღრმავებული შეკითხვების დასმის შემდეგ მონანილეები კვლავ ერთ დიდ ჯგუფად ერთიანდებიან. „მასპინძლები" ნარმოადგენენ დაფიქსირებულ ინფორმაციას, რომელსაც ჯგუფი ერთად განიხილავს.

სამიზნე ჯგუფი

„World Café“ თანამონაწილეობის ძალიან მოქნილი პროცედურაა და მასში ყოველგვარი გართულების გარეშე შეიძლება 20-დან 200-მდე მონაწილის (და მეტიც) ჩართვა. ის ხელს უწყობს კოოპერაციულ დიალოგს და აღვივებს მოქალაქეების ენთუზიაზმს მონაწილთა შორის გამართული დამოუკიდებელი დისკუსიის მეშვეობით. განსაკუთრებით კარგია მისი გამოყენება მაშინ, როცა თანამონაწილეობის პროცედურა მოქალაქეთა დიდი ჯგუფის ჩართვას ითვალისწინებს (მაგ., მთელი სოფლის ან სკოლის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის და ა.შ.). სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში არ არსებობს არავითარი ასაკობრივი შეზღუდვა. პროცედურაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მოზარდებს, ახალგაზრდებს, სასკოლო ასაკის ნებისმიერ ბავშვს, ასაკოვან მოქალაქეებს. როცა პროცედურაში განსხვავებული ასაკის ადამიანები მონაწილეობენ, მაშინ რეკომენდებულია მათი დაყოფა ბავშვების და მოზრდილების ასაკობრივ ჯგუფებად.

„World Café“ –პროცედურის მომზადება

- ღონისძიების ჩატარების წინ ძირითადი აქცენტი შეკითხვების ფორმულირებაზე კეთდება. ასევე მნიშვნელოვანია შესაბამისი დარბაზის შერჩევა და იქ კაფეს ატმოსფეროს შექმნა.
- მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეებს “World Café”–ს პროცედურის დასაწყისშივე განუმარტონ მისი ჩატარების მიზანი.

შეკითხვების მომზადება

“World Café” –ს პროცედურისთვის განმსაზღვრელია შეკითხვების ნუსხა. უნდა დაისვას ღია კითხვები, რომლებიც ხელს უწყობენ დისკუსიის დაწყებას. შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე შეკითხვის ერთდროულად ან ერთმანეთის მიყოლებით დასმა. მნიშვნელოვანია, რომ შეკითხვები

იყოს მონაწილეებისთვის მნიშვნელოვანი (რელევანტური);
- იყოს ღია (ანუ არა ისეთი შეკითხვები, რომლებზეც ერთმნიშვნელოვნად “დიახ”- ან “არა”-თი პასუხობენ), გასაგები, მარტივი და პროვოკაციულად ფორმულირებული;
  იყოს ისე შედგენილი, რომ დისკუსია გამოინვიოს, ახალი პერსპექტივები წარმოაჩინოს და არა მხოლოდ მზამზარეული პასუხები გაეცეს;
- იყოს კონცენტრირებული პროექტზე და მის ირგვლივ შექმნილ ვითარებაზე;
- იყოს ისე ფორმულირებული, რომ გამოააშკარაოს მიჩქმალული, არა თვალში საცემი ტენდენციები.

კაფეს მოწყობა, ორგანიზება

"World Café"–ს იდეა უკავშირდება კაფეში შექმნილ ძალდაუტანებელ, თავისუფალ ატმოსფეროს. ამ პროცედურის ჩატარებისას სწორედ ასეთი გარემოს შექმნაა მნიშვნელოვანი:

- პატარა მრგვალი მაგიდების (დაახლოებით 1 მ დიამეტრით) დადგმა ისე, როგორც ეს კაფეებშია,
- თითოეულ მაგიდასთან 5-6 სკამი,
- მაგიდებზე ფერადი გადასაფარებლების გადაფარება,
- გადასაფარებლების ზემოდან 2-3 ფლიპ-ჩარტის ან სხვა სახის ქაღალდის (DinA0) დაფენა,
- მაგიდის შუაგულში ჭიქაში ჩაწყობილი ფერადი ფლომასტერები, მარკერები,
- მაგიდაზე ყვავილებიანი ჭიქა ან სხვა რამ, რაც თემას უკავშირდება, კედელთან მაგიდა წყლით, ნვენებით და ნამცხვრით,
- კედელზე დაახლოებით 4მ მანძილის თავისუფლად დატოვება ან თოკების გაჭიმვა ფურცლების გამოსაკიდად, რომლებზეც პროცედურის შედეგები იქნება დაფიქსირებული.

დაფინანსება

„World Café"–ს პროცედურის საერთო ხარჯები ყველა ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულია. ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული სამუშაო მასალის ხარჯები (მარკერები, ქაღალდი DinA0, თითო მაგიდაზე 2 ცალი). მცირე ბიუჯეტის შემთხვევაში სასმელისა და ყავის/ჩაის ხარჯები მონაწილეებმა თვითონ შეიძლება გადაინაწილონ ან მასალები და საკვები სახლიდან მოიტანონ. ეს პროცედურა იმითაც არის კარგი, რომ მისი ჩატარება სკოლის ეზოში, სოფლის მოედანზე ან შენობის გარეთ ნებიმიერ ადგილზეც შეიძლება.

"მასპინძლის" როლი

"მასპინძელი":
მაგიდასთან რჩება და ღებულობს "მოგზაურ" მონაწილეებს სხვა მაგიდებიდან,
შემომატებულ "მოგზაურებს" გააცნობს მის მაგიდასთან წინა საუბრის დროს დაფიქსირებულ ინფორმაციას, მოსულინ "სტუმრები" კი თავიანთ იდეებს გამოთქვამენ,
ეხმარება (აგულიანებს) მოსულებს იდეებისა და პერსპექტივების დაფიქსირებაში, თუმცა ყველას აქვს უფლება, მაგიდასთან მხოლოდ იჯდეს და უსმინოს.

"World Cafe"–ს ეთიკეტი

- **გაამახვილეთ ყურადღება მხოლოდ იმაზე, რაც თქვენთვის მნიშვნელოვანია.**
- **გააცანით თქვენი მოსაზრებები და იდეები სხვა მონაწილეებს.**
- **ისაუბრეთ და უსმინეთ მთელი გულისყურით; ეცადეთ, ჩაწვდეთ მოსმენილს.**
- **დაუკავშირეთ ერთმანეთს თქვენი მაგიდისა და სხვა მაგიდებიდან შემომატებული მონაწილეების იდეები.**
- **იყავით გახსნილი ახალი ინფორმაციის მიმართ და თავს ნუ აარიდებთ საკითხებში ჩაღრმავებას.**
- **წერეთ, ხატეთ, ხაზეთ მაგიდის გადასაფარებელ ქაღალდზე!**
- **გააკეთეთ ეს ხალისით და სიამოვნებით!**

შემაჯამებელი სხდომა

მაგიდების 2-3-ჯერ შეცვლის შემდეგ საკმაოდ ბევრი იდეა გროვდება და დარბაზში "იდეების ქსელიც" იბმება. მონაწილეები ერთად იყრიან თავს დარბაზში და განიხილავენ მაგიდებთან გამართული საუბრების შედეგებს. შედეგებს ანუ "მაგიდის გადასაფარებლებზე" ნაწერს, ნახაზს და ნახატს კედელზე გამოაკრავენ ან სამაგრებით თოკებზე ჩამოკიდებენ. ყველაზე მოხერხებულია დისკუსიის გამართვა მაშინ, როცა "მასპინძლები" შედეგებს მთელი ჯგუფის წინაშე წარადგენენ.

1-დღიანი ღონისძიების სანიმუშო დღის წესრიგი

დრო	ღონისძიება
10:00	მონაწილეების შეკრება, რეგისტრაცია
10:15-10:30	ღონისძიების გახსნა - მისალმება და "World Café"-პროცედურის პრინციპების წარდგენა (მოდერატორი) მოკლე მოხსენება თემასთან დაკავშირებით (მოდერატორი ან ქალაქის, მუნიციპალიტეტის, სოფლის თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელი)
10:30-11:30	1. დისკუსია საკითხის ირგვლივ
11:00-11:30	2. დისკუსია საკითხის ირგვლივ ან საკითხის გაღრმავების მიზნით
11:30-12:00	3. დისკუსია საკითხის ირგვლივ ან საკითხის გაღრმავების მიზნით
12:00-12:30	4. დისკუსია საკითხის ირგვლივ ან საკითხის გაღრმავების მიზნით
12:30-13:30	შესვენება და წაკითხვის ფაზა
13:30-14:30	შედეგების წარდგენა (წარადგენენ მაგიდების „მასპინძლები")
14:30-15:30	საჭიროების შემთხვევაში მუშაობა პატარა ჯგუფებში და შემდგომი სამოქმედო ნაბიჯების დაგეგმვა
15:30:16:00	შემაჯამებელი საუბარი
16:00	ღონისძიების დასასრული





World Café Europe, das 2. World Café European Gathering in Bilbao
Reprinted by permission from The World Café Community Foundation at http://www.theworldcafe.com/

„World Café"–პროცედურის პრაქტიკული მაგალითები

- „ბავშვები ანვითარებენ თავიანთ ქალაქს 2015 წლისთვის"; თანამშრომლობა ქ. ლუცერნის ბავშვთა პარლამენტთან; შვეიცარია, 2008
City-Net-World-Cafe: პატარა რაიონული ცენტრების ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა ავსტრია-უნგრეთის სასაზღვრო რეგიონში
- Euregio Maas-Rhein: კოოპერაცია სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში მაას- რაინის სასაზღვრო რეგიონში, 2007
- იხ: http://www.theworldcafe.com/
- World Café Europe, das 2. World Café uropean Gathering in Bilbao (5. – 7. Juni 2008). ძირითადი თემა: „დაპროექტება ახალი ხედვით - The Bilbao Experience"

8.2 "მომავლის სახელოსნო"

"მხოლოდ მას უნდა ჰქონდეს მომავალში რაიმეს დადებითად შეცვლის იმედი, ვინც ამ მომავალს წინასწარ განჭვრეტს", (რობერტ იუნგკი)

"მომავლის სახელოსნოს" იდეა

"მომავლის სახელოსნო" (Future Workshop) ეფუძნება ადამიანების კრეატიულობასა და ფანტაზიის უნარს, მათ სურვილს, შეცვალონ საკუთარი საცხოვრებელი გარემო.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის ეს პროცედურა რობერტ იუნგკმა 1964 წელს დაამუშავა და იმისთვის, რომ ადამიანებს თავიანთი ფანტაზიის სრულფასოვანი გამომჟღავნება შეძლებოდათ, პროცედურა სამ ძირითად ფაზად დაჰყო:

- **კრიტიკის ფაზა**
- **ფანტაზიის ფაზა**
- **რეალიზაციის ანუ განხორციელების ფაზა.**

სამივე ფაზას ერთნაირად მნიშვნელოვანი შინაარსობრივი და დინამიური დატვირთვა აქვს: თავდაპირველად, **კრიტიკის ფაზაში** ხდება პრობლემების დაფიქსირება: ამ დროს შესაძლებელია კრიტიკა და დაჩივლება (ჩართულია ისეთი კრეატული ელემენტები, როგორიცაა სკეტჩი, ლექსი, ნახატი ან კოლაჟი). კრიტიკის ფაზაში ადამიანები თავისუფლდებიან ისეთი განცდებისგან, როგორიცაა გაღიზიანება და იმედგაცრუება და გამოთქვამენ ახალ იდეებს, კონსტრუქციულ წინადადებებს და სურვილებს, რომელთა დაფიქსირებაც მომდევნო, **ფანტაზიის ფაზაში** ხდება. ფანტაზიის ფაზაში მონაწილეები პატარა ჯგუფებში მუშაობენ: ეს არის მუშაობა არა კონკრეტულ ღონისძიებებზე, არამედ სიტუაციის აღწერა ემოციებისა და უტოპიის დონეზე და იმის განხილვა, თუ რა არის შესაცვლელი. ამ დროს ადამიანები თავს სხვა დროით და სივრცით განზომილებაში წარმოიდგენენ (მაგ.: ""მეფე რომ ვიყო...") და

თავიანთ სამომავლო ოცნებებზე საუბრობენ; ისინი რეალობას შეგნებულად დროებით წყდებიან და მას მხოლოდ **რეალიზაციის ფაზაში** უბრუნდებიან. რეალიზაციის ფაზაში ხდება გამოთქმული იდეებისა და სურვილების გადამოწმება და მათი რეალურად განხორციელების გზების მოძიება, რაც შემდეგ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში გადაიზრდება.

"მომავლის სახელოსნოს" მოდიფიკაცია და მისადაგება

უკანასკნელ წლებში, განსახილველი თემისა და მონაწილე სამიზნე ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოხდა "მომავლის სახელოსნოს" პროცედურის მნიშვნელოვნად შეცვლა და მოდიფიცირება. მოდიფიცირებული პროცედურის კრიტიკის ფაზაში, მაგალითად, რეკომენდებულია მოსაზრების გამოთქმა შექმნილი ვითარების არა მხოლოდ უარყოფით, არამედ ასევე დადებით მხარეებზეც. მოდიფიცირებულ "მომავლის სახელოსნოს" პროცედურას ასევე დაემატა ე.წ. "ძაბრის პრინციპი", რომელიც გულისხმობს კრიტიკის ფაზაში (პირველი ფაზა) უფრო ფართო სპექტრის თემატიკის ჩართვას და ფანტაზიისა და რეალიზაციის ფაზაში (მეორე ფაზა) მის უფრო დეტალურ განხილვას. ამ პროცედურის სწორედ ეს ვარიანტი იყო გამოყენებული საქართველოში სოფელ საზანოში ჩატარებული ღონისძიების დროს, როცა განხილული იყო არა მარტო სპორტული მოედნის მოწყობის, არამედ აგრეთვე ახალგაზრდების თავისუფალი დროის დაგეგმვის თემები.

პროცედურა და სამიზნე ჯგუფი

„მომავლის სახელოსნოს" პროცედურა შეიძლება ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თემების დასამუშავებლად იქნეს გამოყენებული:

- მას ხშირად იყენებენ ადგილობივი თვითმმართველობის დონეზე განვითარების პერსპექტიული გეგმების (მიზნების) შემუშავებისას.
- ამ პროცედურის გამოყენება რეკომენდებულია მაშინაც, როცა საჭირო ხდება ახალგაზრდების ჩართვა თანამონაწილეობის პროცესში, მაგალითად, სკოლის მშენებლობის ან სპორტულ-გამაჯანსაღებელი და გასართობი მოედნის დაგეგმვისას.
- მოქალაქეების განხილვის თემები ასევე შეიძლება იყოს საცხოვრებელი პირობებისა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესება; ქალაქის, სოფლის რომელიმე უბნის განვითარება და ა.შ.:
- ეს შეიძლება იყოს ტექნიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი თემატიკა ან არქიტექტურასა და დაპროექტებასთან დაკავშირებული საკითხები.

ეს პროცედურა აღვივებს მონაწილეების ენთუზიაზმს და იმის სურვილს, რომ პროცედურის დამთავრების შემდეგაც გააგრძელონ თანამშრომლობა პროექტთან (მაგალითად, სოფელ საზანოს ახალგაზრდებმა პროცედურის დასასრულს გადაწყვიტეს ახალგაზრდული ორგანიზაციის დაარსება რეაბილიტირებული სპორტული მოედნის შემდგომი მოვლა-პატრონობის და იქ სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებულად მოწყობის მიზნით).

მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ პროცედურის სამიზნე ჯგუფად კრეატიულობის ფაზის გათვალისწინებით უფრო ბავშვები და ახალგაზრდები მოიაზრებიან. „მომავლის სახელოსნოს" სამიზნე ჯგუფი ნებისმიერი ჩვეულებრივი მოქალაქეც შეიძლება იყოს; ეს მისაღებია განსაკუთრებით მაშინ, როცა განსახილველ თემას მოქალაქეში გარკვეული იმედგაცრუება და გაღიზიანება უკავშირდება. ამასთან, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება იმას, რომ დაცული იქნეს გოგონებისა და ვაჟების, ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა (გენდერული ბალანსი) როგორც მონაწილეების შერჩევისას, ასევე დისკუსიის პროცესში მათი ჩართვისას და მათი სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებისას.

ამ ფაზაში გამოიყენება პანტომიმის, ლექსების შეთხზვის, კოლაჟების შედგენის ან ხატვის მეთოდები.

„მომავლის სახელოსნოს" პროცედურა რაც შეიძლება ადრეულად უნდა იქნეს ჩართული მუნიციპალური პროექტების დაგეგმვის პროცესში. უმჯობესი იქნება ამის გაკეთება მუნიციპალური დაგეგმვის პროცესის დაწყების წინ (ან მუნიციპალური საბიუჯეტო პროცესის დაწყების წინ) სურვილებისა და საჭიროებების უკეთ გათვალისწინების მიზნით. ფანტაზიის ფაზა მით უფრო კრეატიული იქნება, რაც უფრო ნაკლები იქნება შეზღუდვები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან.

"მომავლის სახელოსნოს" 1-(2)-დღიანი პროცედურის სანიმუშო თანმიმდევრობა:

1. **პროცედურის გახსნის ფაზა:** რეგისტრაცია, მისალმება; მოდერატორი წარადგენს პროცედურას, განსახილველ საკითხს, პროცედურის მიზნებსა და დღის წესრიგს და ჯგუფთან შეათანხმებს თანამშრომლობის წესებს.
2. **კრიტიკის ფაზა (პროცედურის დაწყების და პრობლემის დასახელების ფაზა) 2-კაციან ან პატარა ჯგუფებში:** თემის, სამუშაო ჯგუფისა და მეთოდის განსაზღვრა; თემასთან დაკავშირებით არსებული ვითარების აღწერა (ფაქტიური მდგომარეობა): რა მდგომარეობა გვაქვს და რატომ არის ასე?
3. **ფანტაზიის ფაზა (ოცნების ფაზა):** "მეფე რომ იყო და ძალაუფლებაც გქონდეს და ფულიც, ...": რის გაკეთებას ვაპირებთ? როგორ უნდა მოხდეს ეს?
4. **რეალიზაციის ფაზა (განხორციელების ფაზა):** უნდა შემოწმდეს: რის მიღწევას ვაპირებთ ერთად? რაში ვეთანხმებით ერთმანეთს? ღონისძიებების დაგეგმვა პატარა ჯგუფებში ან დიდ ჯგუფში: რისი რეალიზება გვსურს? ვინ, რას, როდემდე და როგორ გააკეთებს?
5. **განხილვა ჯგუფში:** შეჯამება, შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა, პერსპექტივების განჭვრეტა, ღონისძიების დასასრული, დამშვიდობება.

„მომავლის სახელოსნოს“ პროცედურის მომზადება

„მომავლის სახელოსნოს“ პროცედურის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს რამდენიმე საათი, ერთი ან სულაც სამი დღე ან ერთი კვირა. ხანგრძლივობის თვალსაზრისით ის ძალიან მოქნილი პროცედურაა; მისი ხანგრძლივობა თემის კომპლექსურობასა და სამიზნე ჯგუფის შემადგენლობაზეა დამოკიდებული. უმეტესწილად ის გრძელდება ერთი დღე 15-25 მოქალაქის მონაწილეობით. თუმცა ასევე შესაძლებელია "მომავლის სახელოსნოს" პროცედურის ჩატარება რემდენიმე ასეული ადამიანის მონაწილეობით (ეს, რასაკვირველია, უფრო რთულია, ვინაიდან ძნელია ყველას მოსმენა). სასურველია, რომ სხდომის დარბაზში სკამები ერთ ადგილზე არ იყოს დამაგრებული და მათი გადაადგილება შეიძლებოდეს. ამ პროცედურას უმეტეს შემთხვევაში ერთი ან ორი მოდერატორი წარმართავს.

დაფინანსება

მონაწილეთა სიმცირის გამო (უმეტესწილად 20-25 მონაწილე) "მომავლის სახელოსნოს" პროცედურის ხარჯები საკმაოდ დაბალია. სამუშაო მასალად გამოიყენება DinA0 და DinA4 ფერადი ფურცლები, პასტელის საღებავები, ფერადი ფლომასტერები და ფანქრები. პროცედურა შეიძლება ჩატარდეს სკოლაში, საბავშვო ბაღში, ქალაქის ადმინისტრაციულ შენობაში, სასემინარო დარბაზში და ა.შ. მონაწილეებისთვის გათვალისწინებულია სადილი და სასმელი (ხილის წვენი, წყალი).

"მომავლის სახელოსნოს" პროცედურის სანიმუშო დღის წესრიგი[10]

09.30	**მონაწილეთა შეკრება**
10.00	**მისალმება – *პროგრამისა და შეკრების მიზნის გაცნობა,*** მეთოდის განმარტება
10.15	**კრიტიკის ფაზა:** *მოსაზრებების დაფიქსირება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ("არ მომწონს,..... არ არსებობს...")* მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში
11.15	**შესვენება**
11.30	**ჯგუფების მუშაობის შედეგების წარდგენა**
11.45	**ფანტაზიის/უტოპიის ფაზა ("მე რომ ყველაფერი შემეძლოს ..")** მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში
13.00	**სადილი**

[10] (ჩატარდა ბავშვებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით სოფელ საზანოში, თერჯოლის მუნიციპალიტეტი, საქართველო), დაწვრილებით იხ. დანართი 2.

14.00	**რეალიზაციის, განხორციელების ფაზა:** **"ამის შემდეგ რას ვაკეთებთ...?"** - **ჯგუფებში მუშაობის შედეგების პრეზენტაცია** (პლაკატების წარდგენა) - **შემდეგი ნაბიჯები: პროექტის განხორციელების დაგეგმვა** (ვინ, როდის, რას ... გააკეთებს? –მუშაობა პლაკატზე): - **შეჯამება**, სურვილების გათვალისწინება, დაგეგმვა . ჯგუფური მუშაობა
15.30	**შეჯამება, მიღწეული შედეგის დაფიქსირება** - შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება (პასუხისმგებელი პირების დასახელებით)
16.00	**ღონისძიების დასასრული**

"მომავლის სახელოსნოს" თამაშის წესები

მუშაობის ფაზები მიმდინარეობს მონაცვლეობით ხან პატარა ჯგუფებში, ხან კი დიდ ჯგუფში. მნიშვნელოვანია მუშაობის შედეგების ვიზუალიზება ისე, რომ ყველა დამსწრეს შეეძლოს მათი გაცნობა, განხილვა და, შესაბამისად, დისკუსიის გამართვა. წარმოდგენილი იდეების პრიორიზირების მიზნით დისკუსიის დროს შესაძლებელია შეფასების მეთოდების ჩართვაც (განსაკუთრებით მაშინ, როცა მონაწილეებს ერთმანეთისგან განსხვავებული იდეები აქვთ და პრიორიტეტების დადგენა საჭირო ხდება კონსენსუსის მისაღწევად). საზანოში ჩატარებული ღონისძიების შემთხვევაში პრიორიტეტების დასადგენად შეფასების მეთოდის გამოყენება საჭირო არ გახდა, ვინაიდან კონსენსუსის მიღწევა ჯგუფში ადვილად მოხერხდა.

"მომავლის სახელოსნოს" პროცედურის ჩატარების შემთხვევაში უნდა შეთანხმდეს კომუნიკაციის წესები, რომელთა დაცვასაც მოდერატორები აქცევენ ყურადღებას:

- ნებისმიერი სახის მონაწილეობა თანაბრად მნიშვნელოვანია. ნებისმიერი იდეა მნიშვნელოვანია და ითვლება.
- გადაწყვეტილებებს ყველა ერთად ღებულობს.
- ფანტაზიის ფაზაში ნებადართულია ნებისმიერი აზრის გამოთქმა, ყველაფერი შესაძლებელია.
- ხდება იდეების დაფიქსირება და განვრცობა.

"მომავლის სახელოსნოს" პრაქტიკული მაგალითები:

- „მომავლის სახელოსნოს" მოდიფიცირებული პროცედურა ახალგაზრდებისა და ბავშვების მონაწილეობით; საზანო (თერჯოლა); საქართველო, 2008

• „მომავლის სახელოსნო“ – ეკოლოგიური ქალაქი ჰერნე (იდეები ქალაქის ეკოლოგიური განვითარებისთვის); გერმანია, 2003
• „მომავლის სახელსნო“ – „ბავშვები უბანში“ (კონფერენცია ბავშვების მონაწილეობით კროიცბერგში: მოქალაქეები და უბნის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მსჯელობენ ბავშვების თავისუფალი დროის გამოყენებაზე სკოლასა და უბანში); ბერლინი (გერმანია), 2001.

8.3 დაგეგმვის დიალოგები

8.3.1 „მგეგმავი უჯრედი“ და „მოქალაქეთა ფორუმი“

"მგეგმავი უჯრედის" და "მოქალაქეთა ფორუმის" იდეა

"მგეგმავი უჯრედის" (peoples planning ან citizen jury) და "მოქალაქეთა ფორუმის" იდეა ეფუძნება სამოქალაქო ან ნაფიც მსაჯულთა იდეას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქეები თემას ან საკითხს ეცნობიან და შემდეგ იძლევიან პრობლემების გადაწყვეტის რეკომენდაციებს ან იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს. "მგეგმავი უჯრედის" იდეა გასული საუკუნის 70-იან წლებში პროფესორმა პეტერ დინელმა დაამუშავა: შემთხვევით შერჩეული მოქალაქეები იკრიბებიან და 3-5 დღიანი პროცედურის ფარგლებში შეიმუშავებენ წინადადებებსა და რეკომენდაციებს კონკრეტული პრობლემის ან პროექტის, გეგმის თაობაზე (საბოლოო დოკუმენტს ეწოდება "მოქალაქის საექსპერტო დასკვნა"/„მოქალაქის რეკომენდაცია". ამ პროცედურის დაწყებამდე და მიმდინარეობის პროცესშიც სპეციალისტები, იურისტები, არქიტექტორები მონაწილეებს აწვდიან კვალიფიციურ ინფორმაციას განსახილველი საკითხების ან თემების ირგვლივ; მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოქალაქეები განსახილველი საკითხის ერთგვარ "ექსპერტებად" იქცევიან და შესაბამის რეკომენდაციებს აძლევენ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს (საკრებულოს).

„მგეგმავი უჯრედისგან“ განსხვავებით „მოქალაქეთა ფორუმში“ მოქალაქეები უფრო ხანგრძლივი დროით იკრიბებიან: კვირაში ერთხელ ერთი დღით ან თვეში ერთხელ. უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის ეს პროცედურა საკმაოდ ძვირია.

კლასიკური "მგეგმავი უჯრედის" და "მოქალაქეთა ფორუმის" მახასიათებლები:

• **რეპრეზენტანტულობა:** ტარდება მინიმუმ სამი პარალელური "მგეგმავი უჯრედი" (თითო თემის განხილვაში ჩართულია 20-25 მონაწილე შედეგების წარმომადგენლობითობის/რეპრეზენტანტულობის გაზრდის მიზნით);

• **მონაწილეების შემთხვევითი შერჩევის პრინციპი და მათთვის ხარჯების ანაზღაურება:** მონაწილეებს იწვევენ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იმ მიზნით, რომ მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურაში შეძლებისდაგვარად მოსახლეობის ყველა ფენა და ყველა ინტერეს-ჯგუფი იყოს ჩართული ("მდუმარე უმრავლესობის" ჩათვლით, გენდერული და ასაკობრივი ბალანსის დაცვით); მონაწილეებს უნაზღაურდებათ გაწეული ხარჯები;
• **ჯგუფური მუშაობის პროცესი:** მუშაობა მიმდინარეობს ძირითადად 5-კაციან პატარა ჯგუფებში მოდერაციის გარეშე; ყველა ჯერზე იცვლება ჯგუფის შემადგენლობა იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს გამოთქმული აზრების მრავალფეროვანება;
• **მოქალაქეების ინფორმირებულობა**: თემასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ მონაწილეები სპეციალისტებს უსვამენ შეკითხვებს და იღებენ პასუხებს; საკამათო საკითხებზე ხდება შესაბამისი სპეციალისტების აზრის მოსმენა; ხდება დასაგეგმი ადგილის დათვალიერება;
• **მოდერაცია:** პროცედურის მოდერირებას და დოკუმენტირებას ახდენს ნეიტრალური მოდერატორი ან თანამონანილეობის კოორდინატორი (პროცესის თანმხლები პირი);
• **"მოქალაქის საექსპერტო დასკვნა"**: შემუშავებული რეკომენდაციები გაფორმდება "მოქალაქის საექსპერტო დასკვნის"/„მოქალაქის რეკომენდაციის სახით და გადეცემა შესაბამის საკრებულოს (ადმინისტრაციას) განსახილველად. .

პროცედურა და სამიზნე ჯგუფი

„მგეგმავი უჯრედი" და "მოქალაქეთა ფორუმი" როგორც კლასიკური, ასევე მოდიფიცირებული ფორმით შეიძლება გამოყენებული იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) დონეზე ისეთი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული თემების დასამუშავებლად, როგორიცაა, მაგალითად:

- საკამათო პროექტები და გეგმები (მაგ.: ნარჩენების გატანის პრობლემატიკა),
- საამშენებლო პროექტები (მაგ.: ქალაქის, სოფლის მოედნის მოწყობა ან ქუჩების დაგეგმვა),
- საქალაქო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის და მარშრუტის რეგულირება.
- რაც უფრო კომპლექსურია თემა, მით უფრო ხანგრძლივი იქნება პროცედუ (ბუნებრივია, ნარჩენების გატანის პრობლემატიკის განხილვას ერთი დღე არ ეყოფა, მოედნის დაგეგმვისათვის კი ეს სრულიად საკმარისი იქნება).

„მოქალაქეთა ფორუმის" პროცედურის მომზადება

- პროცესის თანხლება და ექსპერტები

რეკომენდებულია „მოქალაქეთა ფორუმის" პროცედურის წარმართვა დამოუკიდებელი მოდერატორის მიერ. მონაწილეებს დამატებით შეუძლიათ

თვითონ მოიწვიონ ექსპერტები და გაესაუბრონ მათ თემასთან დაკავშირებით. ექსპერტებს არა აქვთ "მოქალაქის საექსპერტო დასკვნის" ფორმულირებაში ჩარევის უფლება. მოქალაქეები თავად განსაზღვრავენ, თუ რა უნდა შეიტანონ "დასკვნაში" ექსპერტების ნათქვამიდან.

- **მონაწილეების შერჩევა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და მათი ხარჯების ანაზღაურება**

„მოქალაქეთა ფორუმის" პროცედურის ერთ-ერთი თავისებურებაა მონაწილეების რეპრეზენტატული შერჩევა. კლასიკურ პროცედურაში მონაწილეებს საჯარო რეესტრიდან შეარჩევენ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მოსახლეობის ყველა ფენის, ყველა ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობა და გენდერული ბალანსის დაცვა. დასაქმებული მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად განსაზღვრულია მათთვის სამსახურში გაცდენილი დროის ანაზღაურება (მაგალითად, მოქალაქე იღებს შვებულებას, დამსაქმებელს უხდიან გაცდენილი დროის შესაბამის თანხას და მოქალაქე ჩვეულებრივად იღებს თავის ხელფასს ან უნაზღაურდება ხარჯები). როცა პროცედურა მოკლეა, მაშინ შესაძლებელია, მოქალაქეებმა უარი თქვან ხარჯების ანაზღაურებაზე.

მცირე დაფინანსების შემთხვევაში ადამიანების შერჩევა მათდამი გამიზნულად მიმართვითაც შეიძლება ისე, რომ მიახლოებით მაინც იყოს მიღწეული მოსახლეობის ყველა ფენისა და ასაკობრივი თუ სქესობრივი ჯგუფის რეპრეზენტატულობა. აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება გენდერული ბალანსისა (ქალებისა და მამაკაცების თანაფარდობა) და ასაკობრივი თანაფარდობის დაცვას მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებაში.

იმ შემთხვევაში, როცა განსახილველი თემა გარკვეულია, მაშინ საჭირო არ არის მონაწილეების რეპრეზენტატული შერჩევა, ვინაიდან შესაძლებელია პროცედურაზე მონაწილეების გამიზნულად მოწვევა (მაგ., ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ჰერეთისკარში ჩატარებული პროცედურის შემთხვევაში გამიზნულად იყვნენ მოწვეული საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლები, რადგან საქმე ეხებოდა უშუალოდ ბაღის შენობის გარემონტებასა და მოდერნიზებას).

დაფინანსება

როცა „მოქალაქეთა ფორუმის" პროცედურა კლასიკური ფორმით ტარდება, მაშინ პროცედურის მომზადების, ექსპერტების მოწვევის, მონაწილეებისთვის ხარჯების ანაზღაურებისა და პროცედურის ხანგრძლივობის გამო ის საკმაოდ ძვირი ჯდება. მაღალი დანახარჯების გამო „მოქალაქეთა ფორუმისა" და "დაგეგმვის უჯრედის" პროცედურებს მათი კლასიკური ფორმით მხოლოდ დიდი პროექტების დაგეგმვისას ან კომპლექსური და საკამათო თემების განხილვისთვის მიმართავენ. ამ პროცედურების მოკლე ვარიანტები, რომლებიც მონაწილეთა ხარჯების ანაზღაურების გარეშე ტარდება, თითქმის იგივე ჯდება, რაც "მომავლის სახელოსნო". ზოგჯერ ექსპერტების რამდენიმე საათით უფასოდ მოწვევაც კი ხერხდება ხოლმე.

პროცედურის ჩატარების სხვა წესები

- **კონსენსუსის მიღწევა**

"მოქალაქის საექსპერტო დასკვნის"/„მოქალაქის რეკომენდაციის" საბოლოო ფორმულირებისას საჭირო ხდება კონსენსუსის მიღწევა მონაწილეებს შორის. თემის კომპლექსურობის შესაბამისად კონსენსუსის მიღწევის მიზნით გამოყენებული უნდა იქნეს ე.წ. **"გადაწყვეტილების მიგნების"** პროცედურა. ყველაზე მარტივ შემთხვევაში ამ მიზნით ხდება ყველა არგუმენტის დაფიქსირება და მონაწილეები თანხმდებიან იმაზე, რომ ჩატარდეს მოდერირებული არგუმენტირების პროცესი. ასევეა შესაძლებელი **არგუმენტების პრიორიზების მეთოდის** გამოყენება პროცედურის დასასრულს (შეფასების პუნქტების მინიჭებით). თუკი კომპლექსური თემების შემთხვევაში ეს ვერ ხერხდება, მაშინ შეიმუშავებენ **შეფასების კრიტერიუმებს** და აფასებენ მათი გამოყენებით, შეფასების შედეგები კი შემდეგ "საექსპერტო დასკვნის"/„მოქალაქის რეკომენდაციის" საბოლოო ფორმულირებას დაედება საფუძვლად.

„მგეგმავი უჯრედის" და „მოქალაქეთა ფორუმის" პროცედურის სანიმუშო დღის ნესრიგი[11]:

9.30	**მონაწილეთა შეკრება**
10.00	**მისალმება, მეთოდის განმარტება**
10.15	1. **ინფორმაციის ფაზა** . მონაწილეობს ყველა ჯგუფი
11.00	**იდეების შეკრების ფაზა** (ბრეინსტორმინგი) . მუშაობა პატარა და დიდ ჯგუფებში
12.00	**შესვენება**
12.15	**შედეგების შეფასების ფაზა** (პლაკატების წარდგენა)
12.30	**4. შეფასების, რეალიზაციის ფაზა** იდეების რეალიზაციის დაგეგმვა . ჯგუფური მუშაობა
13.30	**სადილი**
14.30	**5. სამოქმედო გეგმის განხორციელების ნაბიჯები** ჯგუფების მიერ შემუშავებული გეგმების წარდგენა
15.30	**მიღწეული შედეგის დაფიქსირება** - შემუშავებული რეკომენდაციების, შეთანხმებული სამოქმედო გეგმისა და დასახელებული პასუხისმგებელი პირების წარდგენა
16.00	**ღონისძიების დასასრული**

[11] (ჩატარდა სოფელ ჰერეთისკარში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, საქართველო), დაწვრილებით იხ. დანართი 1.

8.3.2 „დაგეგმვის სახელოსნო“ და „მოქალაქეების სახელოსნო“

ამ პროცედურების უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ხდება ე.წ. "მდუმარე უმრავლესობის" ჩართვა და მათი "ექსპერტებად" გადაქცევა, მაგრამ ეს პროცედურები იმავდროულად საკმაოდ რთული ჩასატარებელი და ძვირია განსაკუთრებით მაშინ, როცა საჭირო ხდება მოქალაქეების გამოთავისუფლება სამსახურიდან მთელი კვირით.

"დაგეგმვის სახელოსნო“ წარმოადგენს მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებულ პროცედურას, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში შეიმუშავეს. "დაგეგმვის სახელოსნოში“ გაერთიანებულია "მომავლის სახელოსნოსა“ და "მგეგმავი უჯრედის“ ელემენტები, ოღონდ აქ მონაწილეები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით კი არ შეირჩევა, არამედ თემის ადრესატებისადმი ან ინტერეს-ჯგუფებისადმი პირდაპირი მიმართვის წესით, ან ხდება მათი მოწვევა სოციალური სტრუქტურებიდან წინასწარ დადგენილი ქვოტების გათვალისწინებით.

პროცედურის სანიმუშო თანმიმდევრობა:

1. **ინფორმაციის ფაზა**: ინფორმირება არსებული სიტუაციის შესახებ, ექსპერტების გამოკითხვა და მოსმენა თემის ირგვლივ, ადგილის დათვალიერება
2. **იდეების შეკრების ფაზა**: იდეების შეკრება დიდ ჯგუფში ან პატარა ჯგუფებში
3. **შეფასების და მისადაგების ფაზა**:
   - იდეების განხილვა (დისკუსია) და შეფასება
   - იდეების მისადაგება სიტუაციასთან, დაგეგმვა
   - შერჩევა და კონსენსუსის მიღწევა ჯგუფში
4. **რეალიზაციის ფაზა** – შემდეგი ნაბიჯები: სამოქმედო გეგმა (ვინ, რას, როდემდე, რატომ, როგორ გააკეთებს).

მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებული პროცედურის "დაგეგმვის სახელოსნოს" / "მოქალაქეების სახელოსნოს" სანიმუშო დღის წესრიგი.[12]

საქართველოში ჩატარებული ამ მოდიფიცირებული პროცედურების ინფორმაციისა და დაგეგმვის ფაზები უფრო მოკლე იყო, ვიდრე ეს კლასიკურ პროცედურაშია გათვალისწინებული და მოიცავდა „მგეგმავი უჯრედის“ და "მოქალაქეთა ფორუმის“ კლასიკურ ელემენტებს (პრობლემის დაფიქსირება, რეფლექსია და დაგეგმვა შეკრებილი იდეების საფუძველზე; შეფასება და არსებულ სიტუაციასთან მისადაგება). ქ. სიღნაღში ჩატარებული პროცედურის შემთხვევაში ინფორმაციის ფაზა მნიშვნელოვნად შემოკლდა იმის გამოც, რომ მოქალაქეები კარგად იცნობდნენ საკუთარ ქალაქს და მოცემული თემის „ექსპერტებს“ ფაქტიურად თვითონ წარმოადგენდნენ.

[12] (ჩატარდა ქ. სიღნაღში, საქართველო), დაწვრილებით იხ. დანართი 3.

9.30 10.00	**მონაწილეთა შეკრება** **მისალმება, მუშაობის მეთოდის განმარტება**
10.15	1. **ინფორმაციის ფაზა:** ადგილის დათვალიერება, ინფორმაციის შეკრება. მონაწილეობს ყველა ჯგუფი
11.15	**შესვენება**
11.30	2. **ინფორმაციის დამუშავების ფაზა:** იდეების გენერირება . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში . დისკუსია დიდ ჯგუფში
13.00	**სადილი**
14.00	3. **შეფასებისა და შეთანხმების ფაზა:** იდეების პრეზენტაცია, დაგეგმვის სხვადასხვა შესაძლებლობების შეფასება და პრიორიზება . დისკუსია ჯგუფებში, ინდივიდუალური შეფასებები და . კონსენსუსის მიღწევა მთელ ჯგუფში
16.00	**მიღწეული შედეგის დაფიქსირება:** შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა, შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვა
17.00	**ღონისძიების დასასრული**

დაგეგმვის დიალოგების პრაქტიკული მაგალითები

„მოქალაქეთა ფორუმისა“ და “დაგეგმვის უჯრედის” პროცედურები გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დაახლოებით 30-მდე სხვადასხვა თემისა და ადგილობრივი თუ რეგიონული მნიშვნელობის პროექტების შემუშავებისას იქნა გამოყენებული. ქვემოთ იხ. რამდენიმე მაგალითი:

- **“ნარჩენების განთავსების ადგილის შერჩევა ჩრდილოეთ შვარცვალდის რეგიონში".**
  მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა: **„მოქალაქეთა ფორუმი“**, გერმანია, 1994-1998
- **“ჰანოვერის სატრანსპორტო კონცერნი" ჰანოვერის საქალაქო სატრანსპორტო ფირმებთან ერთად".**
  მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა: 12 **„მგეგმავი უჯრედი“**, გერმანია,1996
- **“ჰააგენ-ჰასპეს ქალაქის ცენტრის რეაბილიტაცია”**. გერმანია, 1975

- **"რეგენსბურგის პერსპექტივები"**. გერმანია, 2001
- **„გასართობ-დასასვენებელი ცენტრი ბერენლოხი"**. ქ. ზოლინგენი, გერმანია, 1978
- **„მერიის წინ მდებარე მოედნის მონყობა ქ. მაინინგენში"**. გერმანია, 1997
- **"სოფელ ჰერეთისკარის (ლაგოდეხი) საბავშვო ბაღის გარემონტება და მოდერნიზება"**.
  მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებული პროცედურა: **"მოქალაქის გეგმა"**. საქართველო, 2008
- **"გასართობ-დასასვენებელი მოდნის დაგეგმვა ქ. სიღნაღის ცენტრში"**.
  მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებული პროცედურა: **"მოქალაქეების სახელოსნო" /"დაგეგმვის სახელოსნო"**. საქართველო, 2008

9. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურებისა და მასთან დაკავშირებული საინფორმაციო ღონისძიებების ჩატარების პრინციპები

9.1 თანამონაწილეობის პროცესის დაგეგმვა

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის და **მისი თანმდევი საინფორმაციო ღონისძიებების** წარმატებით ჩატარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესატყვისი **სამოქმედო გეგმის** შემუშავება. ასეთი გეგმა შეიცავს იმ საკითხებისა და ღონისძიებების ჩამონათვალს, რაც აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ აქციების ჩატარებისას; გეგმა გაწერილია დროში და კონკრეტულ პასუხისმგებელ პირებზე და წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს როგორც თვითმმართველობის ადმინისტრაციაში ინტეგრირებული თანამონაწილეობის კოორდინატორისთვის, ასევე თანამონაწილეობის პროცედურის მოდერატორისთვის.

ქვემოთ მოყვანილია პროცედურული **სამუშაო ჩარჩო-გეგმის მაგალითი**, რომელიც არ წარმოადგენს ტრაფარეტს და საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ფორმით შეიძლება იქნეს მოდიფიცირებული:

- **აქციები თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარებამდე:** შეთანხმება პროექტზე, მიზნის გამოკვეთა, თანამონაწილეობის პროცედურის ფორმის შერჩევა, მისი ლეგიტიმაცია საკრებულოს გადაწყვეტილებით, პიარ-აქციები.
- **თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარება:** საინფორმაციო მუშაობა და პრესასთან ურთიერთობის დაწყება, თანამონაწილეობის პროცესის მონაწილეების ინფორმირება და შერჩევა, მონაწილეებისთვის თამაშის წესების/როლების დადგენა, თანამონაწილეობის პროცესის მართვა და განხორციელება.
- **უკუკავშირი:** მონაწილეთა პერმანენტული ინფორმირება პროექტის აქტუალური მდგომარეობის შესახებ, საინფორმაციო მუშაობა და ურთიერთობა მედია-საშუალებებთან, პროექტის შეფასება მონაწილეებთან ერთად (გამოკითხვის გზით).

თანამონაწილეობის პროცესის პრაქტიკული დაგეგმვა იწყება მხოლოდ მიზნის დადგენისა (ვითარების ანალიზი) და მიზნის შესაბამისი თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევის შემდეგ (1. ნაბიჯი). თავად **თანამონაწილეობის პროცედურა** მოიცავს პროცედურის დაგეგმვის (2. ნაბიჯი), პროცედურის ჩატარების (3. ნაბიჯი) და პროექტის რეალიზაციისა და შეფასების (4. ნაბიჯი) ფაზებს, რომლებიც მეტნაკლებად განსხვავებული მოცულობისა და ხანგრძლივობისაა:



9.2 მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევის, დაგეგმვის, ჩატარებისა და პროექტის შეფასება-რეალიზაციის პრინციპები

ქვემოთ მოყვანილი პრინციპები შეეხება მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის თანმიმდევრობას, ანუ იმ ცალკეულ ნაბიჯებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს პროცედურის შერჩევისას, დაგეგმვისას, ჩატარებისა და პროექტის რალიზაცია-შეფასებისას. საერთო ჯამში ეს არის დაგეგმვის 20 ფაქტორი, რომლებსაც თანამონაწილეობის პროცესი ეფუძნება. ეს არის სწორედ ის ინსტრუმენტი, რომელიც, ერთი მხრივ, მუნიციპალურ დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებებისა თუ ცალკეული პროექტების სწორად დაგეგმვაში და, მეორე მხრივ, შესაბამისი თანამონაწილეობის პროცესისა და პროცედურის სწორად შერჩევასა და ჩატარებაში გვეხმარება. დასახელებული პრინციპები არ წარმოადგენენ განსაზღვრულ სტატიკურ ინსტრუმენტს: მათი შერჩევა, მისადაგება და გამოყენება ხდება ყოველი მოცემული კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით:

1. **მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევა და დამტკიცება**
   1.1. მიზნისა და ინტერესის ანალიზი
   1.2. სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა
   1.3. თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევა და დამტკიცება
   1.4. პროექტის ეფექტურობის განსჯა (შეფასება)

2. **მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის დაგეგმვა და მომზადება**
   2.1. ადგილისა და დროის დადგენა
   2.2. პროექტის დაგეგმვა და მართვა
   2.3. თანამონაწილეობის პროცედურის დეტალური გეგმის მონახაზი
   2.4. თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარების წესებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის აღწერა
   2.5. თანამონაწილეობის პროცედურის მოდერატორის შერჩევა
   2.6. ლეგიტიმურობის (მანდატის) გარკვევა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (საკრებულოსა და გამგეობასთან)
   2.7. პროცედურის მონაწილეების შერჩევა და შეთანხმება
   2.8. საზოგადოებასთან მუშაობის (პიარ-კამპანიის) დაგეგმვა

3. **მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარება**
   3.1. თანამონაწილეობის პროცესის მოდერაცია
   3.2. თამაშის წესების დადგენა მონაწილეებთან ერთად
   3.3. შედეგების დოკუმენტირება
   3.4. თანამონაწილეობის პროცედურის შეჯამება

4. **პროექტის შეფასება და რეალიზაცია**
   4.1. თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის
   4.2. მონაწილეების ინფორმირება პროექტის აქტუალური მდგომარეობის შესახებ
   4.3. საზოგადოებრიობის ინფორმირება
   4.4. საკრებულოს გადაწყვეტილება და პროექტის რეალიზაციის დაგეგმვა.

ქვემოთ მოცემულია ზემოთ დასახელებული პრინციპების დეტალური აღწერა:

1. თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევა და დამტკიცება

1.1. მიზნისა და ინტერესის ანალიზი

- თემის განსაზღვრა: რა იქნება თანამონაწილეობის პროცედურის შინაარსი, თემა?
- მიზნის დადგენა: რატომ, რა მიზნით უნდა ჩატარდეს შერჩეული პროცედურა? (მაგ., საზოგადოებრივი აზრის გარკვევა, ტენდენციების დადგენა, შესაძლო ვარიანტების გამოკითხვა, სცენარის აღწერა თუ რეკომენდაციების შემუშავება და ა.შ.)?

- ინტერვიუ, გასაუბრება, ხანმოკლე ვორკშოპი

- მიზნისა და პროცედურის სახეობის დადგენის მიზნით პროცედურის ჩატარებამდე რეკომენდებულია ხანმოკლე ვორკშოპის ან გასაუბრების მოწყობა;
- ასევე მონაწილეების, ადრესატების (ისინი, ვისაც ეს საკითხი ან თემა უშუალოდ ეხება) გამოკითხვა ან მათგან ინტერვიუს აღება.

1.2. სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა

- მონაწილეების განსაზღვრა: ვინ უნდა იყოს ან ვინ არ უნდა იყოს მონაწილე (ვინ უნდა „გამოირიცხოს"): ფართო საზოგადოებრიობის, „მდუმარე" საზოგადოებრიობის, ადრესატების, განსაზღვრული ასაკობრივი და სქესობრივი ჯგუფების, განსაზღვრული პროფესიული ან რელიგიური ჯგუფების და ა.შ. მონაწილეობა.

1.3. თანამონაწილეობის პროცედურის შერჩევა და დამტკიცება

- **თანამონაწილეობის საფეხურის განსაზღვრა**: მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის რომელი საფეხურიდან ვიწყებთ: ინფორმირების, (თანა-)მონაწილეობის თუ კოოპერაციის საფეხურიდან?:
    - თუკი ინფორმირების საფეხურიდან დაიწყება, მაშინ უნდა დაიგეგმოს „საინფორმაციო ღონისძიება";
    - თუკი იდეები უნდა შეგროვდეს ან აზრის გამოკითხვა უნდა მოხდეს, მაშინ უნდა დაიგეგმოს „იდეების მიგნების" ან „აზრის გამოკითხვის" ღონისძიება;
    - თუკი უნდა მოხდეს უკვე მიღწეული შედეგების რეალიზება, ვინაიდან უკვე არსებობს პრაქტიკული მოქმედების საშუალება და ინტერესების შეჯერებაღაა საჭირო, მაშინ შერჩეულ უნდა იქნეს „(თანა-)მონაწილეობის" საფეხური;
    - თუკი საქმე ეხება დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებთან სავალდებულო კოოპერაციას და მისაღებია ერთობლივად შეჯერებული გადაწყვეტილებები, მაშინ რეკომენდებულია „კოოპერაციის" საფეხურის შერჩევა;
    - თუკი დაგეგმვის პროცედურის ჩატარებისას კონფლიქტი იჩენს თავს, მაშინ რეკომენდებულია "მედიაციის" პროცედურა.

- **თანამონაწილეობის პროცედურის სახეობის გარკვევა**: რომელი პროცედურა მიესადაგება ყველაზე მეტად (შდრ. ცხრილი 2. და 3.): რას ვესწრაფვით: უნდა მოხდეს არსებითი საკითხის ირგვლივ შექმნილი ვითარების გარკვევა (ცოდნის დისკურსი), არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების ინტერპრეტაცია (რეფლექსიის დისკურსი) თუ სამოქმედო შესაძლებლობების შეფასება (დაგეგმვის და შეთანხმების დისკურსი)?
- როგორ შეიძლება "მდუმარე" საზოგადოებრიობის დაინტერესება და ჩართვა?
- როგორ შეიძლება ადრესატების (ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება თემა, საკითხი ან დასაგეგმი მუნიციპალური პროექტი) ინტეგრირება თანამონაწილეობით პროცედურაში?
- რა უფრო უკეთესი იქნება: ორსაფეხურიანი თუ მრავალსაფეხურიანი პროცედურის ჩატარება (იდეების შეკრებიდან და დაფიქსირებიდან ვიდრე თვით პროექტის დეტალურ დაგეგმვამდე)?

1.4. პროექტის ეფექტურობის განსჯა და შეფასება

- თანამონაწილეობითი პროცესის შანსებისა და მის მიერ გამოწვეული მოსალოდნელი ცვლილებების (ზემოქმედებების, შედეგების) შეფასება;
- შეფასება იმისა, თუ როგორი რეაქცია ექნება შესაბამისად მუნიციპალიტეტის, ქალაქის, სოფლის, უბნის მოსახლეობას მოცემული პროცედურის ჩატარებაზე;
- როგორი რეაქცია ან დაინტერესებაა მოსალოდნელი პროცედურის მიმართ მედია-საშუალებების მხრიდან?
- შეიძლება თუ არა იმთავითვე დასახელდეს მოსალოდნელი რეაქცია ან კონფლიქტი შერჩეულ თემასთან, პროცედურასთან მიმართებაში?
- იქნება ეს კანონით გათვალისწინებული (ფორმალური) თუ ნებაყოფილობითი (არაფორმალური) თანამონაწილეობა?

2. თანამონაწილეობის პროცედურის დაგეგმვა და მომზადება

2.1. ადგილისა და დროის დადგენა

- რომელ დონეზე უნდა ჩატარდეს თანამონაწილეობის პროცედურა: ვერტიკალურ (ქვეყნის), თუ ჰორიზონტალურ (რეგიონულ, მუნიციპალურ) დონეზე, თუ პროცედურაში ორივე დონე უნდა იყოს ინტეგრირებული?
- სად უნდა ჩატარდეს თანამონაწილეობის პროცედურა? (ჩატარების ადგილი უნდა შეირჩეს ისე, რომ ის ახლოს იყოს პოტენციური მონაწილეების საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილთან სატრანსპორტო და სხვა ხარჯების დაზოგვის მიზნით);
- პროცედურის ჩატარების დროისა და ხანგრძლივობის დადგენა (პერიოდი, როცა შეიძლება თავისუფალი იყოს შერჩეული დარბაზი და მონაწილეებსაც ეცალოთ);
- დროის დაგეგმვა: როდის უნდა ჩატარდეს პროცედურა და რამდენ ხანს გაგრძელდებ ის?
- იქნება თუ არა პროცედურის ჩატარების დროისთვის ცნობილი, თუ რა რეაქციები არსებობს თემასთან დაკავშირებით და უკვე გაშუქდა თუ არა ის მედია-საშუალებების მიერ (ამის გარკვევა ძალიან მნიშვნელოვანია იმ პიარ-კამპანიის სწორი წარმართვისთვის, რომელიც თან ახლავს პროცედურას).

2.2. პროექტის დაგეგმვა და მართვა

- იმ პირის დასახელება, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მოქალაქეების თანამონაწილეობის პროცესს (**პროექტის კოორდინატორი ან თა-**

ნამონაწილეობის ინტეგრირებული კოორდინატორი: ეს შეიძლება იყოს როგორც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ადმინისტრაციაში ინტეგრირებული თანამონაწილეობაზე პასუხისმგებელი პირი ან ადმინისტრაციაში ინტეგრირებული თანამონაწილეობის ჯგუფის წევრი), ასევე ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი პირი);

- საკონტაქტო პირის დასახელება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში საავალდებულო წესით იმ შემთხვევაში, თუკი პროექტს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი (ინტეგრირებული პირი) არ ხელმძღვანელობს;
- გარკვევა იმისა, თუ რა შეხების და გადაკვეთის წერტილები ექნებათ პროცედურას, საკრებულოს, გამგეობას და ა.შ.
- პროექტის ან თანამონაწილეობის კოორდინატორის, მოქალაქეების, ადმინისტრაციის, საკრებულოსა და მოდერატორების როლისა და უფლებამოვალეობების დასახელება და მათი ინტერესების დაზუსტება (ვის რა ინტერესი გააჩნია);
- დაგეგმვის პროცესში ყველა მნიშვნელოვანი (რელევანტური) საზოგადოებრივი ჯგუფის ჩართვა;
- თანამონაწილეობის პროცედურის დოკუმენტირება და დოკუმენტირებული მასალის („მოქალაქეთა რეკომენდაციის" ან „მოქალაქის საექსპერტო დასკვნის") საკრებულოსა და ადმინისტრაციისთვის მინოდება (პროექტის ან თანამონაწილეობის კოორდინატორის მიერ).

2.3. თანამონაწილეობის პროცედურის დეტალური გეგმის მონახაზი

- თანამონაწილეობის პროცედურის დეტალური დაგეგმვა, მისი მიმდინარეობის სქემის შედგენა;
- გეგმაში საჭირო დროის, ხარჯებისა და დაფინანსების ასახვა (პროექტის მენეჯმენტი).

2.4.თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარების წესებისა და გადაწყვეტილების მიგნების პროცესის აღწერა

- თანამონაწილეობის პროცედურის არგუმენტირების წესები: დამაჯერებლობის, არგუმენტაციის რა წესები უნდა იქნეს დაცული? როდის არის მოყვანილი არგუმენტი დამაჯერებელი ჯგუფისთვის? როგორ ხდება ფაქტების გადამონმება? კანონის ან მორალის რომელი წესები გამოიყენება?
- გადაწყვეტილების არჩევის წესი: როგორ უნდა მივიდეთ გადაწყვეტილებამდე, გადაწყვეტილების შერჩევის რომელი წესი გამოგვადგება? საჭირო გახდება თუ არა კონსენსუსის მიღწევა, თუ მხოლოდ გადაწყვეტილების შერჩევა იკმარებს? და ბოლოს, როგორ მოხდება შეთანხმება ან კენჭისყრა, თუკი კონსენსუსი ვერ იქნება მიღწეული?

2.5. თანამონაწილეობის პროცედურის მოდერატორის შერჩევა

- პროექტის ან თანამონაწილეობის მოდერატორი წარმოადგენს პროცედურის თანმხლებ პირს და გეგმავს, წარმართავს და მოდერაციას უწევს თანამონაწილეობის პროცესს;
- თანამონაწილეობის პროცედურის მოდერატორის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როცა პროცედურაში მრავალი მონაწილეა ჩართული ან როცა საჭირო ხდება კონფლიქტის განმუხტვა.

2.6. თანამონაწილეობის პროცესის ლეგიტიმურობის (მანდატის) გარკვევა ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) წარმომადგენლებთან

- გარკვევა იმისა, თუ როგორია თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარების ჩარჩოები: რაზე შეუძლიათ იქონიონ გავლენა ან რისი შეცვლა შეუძლიათ მოქალაქეებს; რისი შეცვლა არ შეიძლება (ჩარჩო-პირობებიდან გამომდინარე) და ა.შ.
- თანამონაწილეობის პროცედურისთვის სამართლებრივი გარანტიის შექმნა საკრებულოს და ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საშუალებით, სადაც დაფიქსირებული იქნება თანამონაწილეობის პროცედურის მიზნები, მონაწილე მხარეების ვალდებულებები, ბიუჯეტი (თუკი პროცედურის ჩატარებას ის აფინანსებს) და მონაწილეთა როლები;
- მონაწილეთა ინფორმირება თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარების თაობაზე მიღწეული შეთანხმებების შესახებ;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ასახელებს თავის მოლოდინსა და მიზნებს თანამონაწილეობის პროცედურასთან მიმართებაში.

2.7. თანამონაწილეობის პროცედურის მონაწილეების შერჩევა და შეთანხმება

- წინასწარი გასაუბრებები მოქალაქეთა განსაზღვრულ ჯგუფებთან ან ინტერეს-ჯგუფების წარმომადგენლებთან;
- ყველა შესაძლო დაინტერესებული ჯგუფის ნუსხის შედგენა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
    - ვის შეეხება მუნიციპალური (ან სხვა სახის) დაგეგმვა (პირდაპირ გეოგრაფიულად ან შინაარსობრივად)?
    - ვის შეუძლია მუნიციპალურ (ან სხვა სახის) დაგეგმვაზე ზეგავლენის მოხდენა, ვის ხელშია ძალაუფლება?
    - ვინ გამოთქვა საჯაროდ ამის თაობაზე უკვე თავისი მოსაზრება, ვინ დგას ამ თემის უკან, ვინ არის მოწადინებული თემის გარკვევით?
    - ვის შეუძლის დაგეგმვის პროცესზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა?

- მონაწილეთა მონაცემების დადგენა თანამონაწილეობის პროცედურის დაწყებამდე;
- მონაწილეების წერილობითი მოწვევა;
- კარგი იქნება: კიდევ ერთხელ გასაუბრება მნიშვნელოვან მონაწილეებთან და ჯგუფებთან;
- გენდერული და ასაკობრივი ბალანსის გათვალისწინება;
- პირველი ინფორმაციის დაგზავნა პირველი ღონისძიების ჩატარებამდე მინიმუმ 6 კვირით ადრე;
- სავალდებულო შეთანხმება როლების განაწილების შესახებ;
- შერჩეული მონაწილეებისთვის იმის განმარტება, რომ მონაწილეობა სავალდებულოა და რომ ასევე ვალდებულნი არიან მკაფიოდ დაასახელონ თავიანთი ინტერესები;

მონაწილეების შერჩევის წესი:

- **გამიზნული ან შემთხვევითი შერჩევა:** მონაწილეები შერჩევა სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებიდან ან საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან (ინტერესებისა და მოსაზრებების ფართო სპექტრის, პლურალიზმის უზრუნველსაყოფად; განსხვავებული სუბიექტური და საერთო-საზოგადოებრივი ინტერესების ერთმანეთთან შეჯერების მიზნით);
- **საჯარო გასაუბრებები, მოწოდებები:** გამიზნული მიმართვა იმ პირებისადმი, რომლებსაც ან რომელთა გარემოსაც მოცემული თემა უშუალოდ შეეხება ან რომლებიც ამ თემით განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი:
- მიმართვა ხდება საჯარო მოწოდებებით (მაგ., პრესაში გამოქვეყნებული განცხადებებით, საინფორმაციო ღონისძიებით, პატარა ვორკშოპით ან საინფორმაციო ფურცლის მეშვეობით);
- **მონაწილეების დასახელება შერჩეულ პირებთან გასაუბრების დროს:** უნდა მოხდეს გასაუბრება და ყველა იმ ჯგუფის ჩართვა, რომლებიც მნიშვნელოვანია (რელევანტურია) პროცედურისთვის. თანამონაწილეობითი პროცედურის ჩატარების დროს ამ გზით მიიღწევა პლურალიზმი და განსხვავებული სამოქალაქო აზრის დაფიქსირება.

2.8. საზოგადოებასთან მუშაობის (პიარ-კამპანიის) დაგეგმვა

- პრესის წარმომადგენლის, გამგეობის შესაბამისი განყოფილების და პროცედურის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირის დასახელება;
- საინფორმაციო მუშაობის დაწყება: სასურველია, რომ პირველი ინფორმაცია პრესაში (პრესკონფერენცია ან განცხადება) თანამონაწილეობის პროცედურის დაწყებამდე 6-8 კვირით ადრე განთავსდეს;

- საზოგადოებრიობისთვის თავდაპირველი ინფორმაციის მიწოდება პროცედურისა და მისი ჩატარების გეგმის შესახებ;
- იმის გარკვევა, თუ როგორ შეიძლება ინტერნეტის გამოყენება (E-Mail, Chatroom, ინფორმაციის განთავსება, დოკუმენტირება);
- პიარ-ღონისძიებების დაგეგმვა და დაწყება: განცხადებები პრესაში, გამოფენები, მედია-საშუალებების ჩართვა და ა.შ.

3. თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარება

3.1. თანამონაწილეობის პროცესის მოდერაცია

- თანამონაწილეობის პროცედურის მიზნისა და სახეობის დადგენა და მათი მონაწილეებთან შეთანხმება;
- თანამონაწილეობის ფარგლებისა და წესების წარდგენა და დამტკიცება;
- მონაწილეების, მოდერაციის, პროექტის მართვისა და ადმინისტრაციის გარკვევა;
- თანამონაწილეობის პროცედურის თანმიმდევრობის წარდგენა და შეთანხმება;
- შედეგების დოკუმენტირება და რეაგირებისთვის გადაცემა;
- სპიკერის შერჩევა მონაწილეთა რიგებიდან.

3.2. თამაშის წესების დადგენა მონაწილეებთან ერთად

- თანამონაწილეობის პროცედურის დასახელება და შეთანხმება მონაწილეებთან იმის თაობაზე, რომ პროცედურას შემდგომში ამ სახელით მოიხსენიებენ;
- შეთანხმება საუბრის წესებზე (ერთმანეთის მოსმენა, ნებისმიერი მონაწილის აზრის მოსმენა და პატივისცემა, არ შეურაცხყოფა და ა.შ.)
- შეთანხმება იმაზე, თუ როგორ უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება: კონსენსუსით, ხმათა უმრავლესობით, უმცირესობის ვოტუმით და ა.შ.;
- პირობის დასმა მონაწილეებისთვის იმის თაობაზე, რომ ერთობლივად შემუშავებულ და შეთანხმებულ რეკომენდაციებსა და შედეგებს საზოგადოებრიობასა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას გააცნობენ და დაიცავენ;
- მონაწილეებს ეძლევათ საჭირო ინფორმაციის პროცედურის დაწყებამდე გაცნობის და ამის თაობაზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბების საშუალება.

3.3 შედეგების დოკუმენტირება

- მოდერატორი პროცედურის მსვლელობისას ახდენს მისი შედეგების დოკუმენტირებას;
- პროცედურის დამთავრების შემდეგ მოდერატორი ახდენს შედეგების დამუშავებას და კიდევ ერთხელ გადაამოწმებს მათ მონაწილეებთან და პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორთან; თუკი აღმოჩნდება, რომ ფაქტები არასწორია, მაშინ ისინი მაშინვე უნდა ჩასწორდეს;
- პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი შედეგებზე დაყრდნობით შეადგენს პროცედურის დოკუმენტაციას (ოქმი და სარეკომენდაციო წერილი) და მიაწვდის მას მონაწილეებსა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას.

3.4 პროცედურის შეჯამება

- თანამონაწილეობის პროცედურის დამთავრებისას მონაწილეებს შეუძლიათ შეაფასონ პროცედურის მიმდინარეობა და მისი შედეგები;
- პროცედურას ასევე შეაფასებენ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია, მოდერატორი და პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი.

4. პროექტის რეალიზაცია და შეფასება

4.1 თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების მიწოდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის.

- პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი და/ან შერჩეული სპიკერი უკვე შეჯერებულ და შეთანხმებულ დოკუმენტაციას (ოქმი და სარეკომენდაციო წერილი) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციას მიაწვდის;
- პროცედურის შედეგების შესახებ ადმინისტრაცია შეიმუშავებს ადმინისტრაციულ დოკუმენტს და შეიტანს მას განსახილველად საკრებულოში;
- პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი ან პროცედურის სპიკერი შეიძლება მიწვეულ იქნან საკრებულოს სხდომაზე საკითხის მოსმენისას "ექსპერტების" რანგში.

4.2 მონაწილეების ინფორმირება პროექტის აქტუალური მდგომარეობის შესახებ

- პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორი ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია პერმანენტულად აკეთებენ იხფორმაციას პროექტის მდგომარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ:

- საკრებულოს სხდომაზე პროცედურის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების განხილვის თარიღი,
- საკრებულოს გადაწყვეტილება და მომდევნო ნაბიჯები,
- დამტკიცებული დოკუმენტის (მაგალითად, საკრებულოს გადაწ-ყვეტილება) გადაცემა მონაწილეებისთვის (ინტერნეტით ან ქსერო-ასლებით);
- მითითება პროექტთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტებზე;
- ხელშეწყობის გაგრძელება ან პროექტის მსვლელობაში ჩართვა.

- მოქალაქეებს დასაბუთებულად უნდა ეცნობოს, თუკი დაგეგმვა რაიმე მი-ზეზის გამო ფერხდება;
- შეკითხვებისა და წინადადებების არსებობისას მოქალაქეები პროექტის თანამონაწილეობის კოორდინატორსა და მუნიციპალიტეტის ადმინი-სტრაციას მიმართავენ.

4.3 საზოგადოებრიობის ინფორმირება

- საინფორმაციო მუშაობის გაგრძელება (პრესითა და მედია-საშუალებებით):

  - საინფორმაციო ცირკულარი, ქალაქის გაზეთი ან მუნიციპალიტეტის გაზეთი;
  - განცხადება პრესაში, პრესკონფერენცია და ანგარიშები, ან სტა-ტიები ადგილობრივ და/ან რეგიონულ გაზეთებში;
  - მნიშვნელოვანი, რელევანტური დოკუმენტების დაგზავნა;
  - მომდევნო შეხვედრების ჩატარება;
  - მოქალაქეებისთვის თანამონაწილეობის პროცედურის შესახებ სა-ინფორმაციო ფურცლების დაგზავნა სახლებში;
  - პროექტის განხორციელების დაწყებისას პრესაში ინფორმაციის განთავსება, ფოტოსესიების მონყობა და ა.შ.;
  - ქალაქის, მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდის გამოყენება პროცე-დურის შედეგების გაცნობა ფართო საზოგადოებრიობისთვის;

- პროცედურასთან დაკავშირებით მოქალაქეებისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში საინფორმაციო კუთხის შერჩევა (მაგ, მოქალაქეთა მომსახურების ბიუროში);
- პროცედურის მიმდინარეობის ტრანსპარენტულობის უზრუნველყოფა ადმინისტრაციაში.

4.4 საკრებულოს გადაწყვეტილება და პროექტის რეალიზაციის დაგეგმვა

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია პროცედურის მონაწილეებსა და საზოგადოებრიობას გადაუგზავნის (აცნობებს) საკრებულოს გადაწ-

ყვეტილებას; თუკი საკრებულო პროცედურის შედეგებთან მიმართებაში უარყოფით გადაწყვეტილებას გამოიტანს, მაშინ ის ამის დასაბუთებულ მიზეზებსაც დაასახელებს;

- თუკი გადაწყდება პროცედურის შედეგების რეალიზება, მაშინ განხორციელების პროცესის ყველა ეტაპზე უნდა ხდებოდეს პროექტის იგივე დასახელების, პლაკატების და ა.შ. დაფიქსირება (იდენტურობის უზრუნველსაყოფად);
- სასურველია, საკრებულოს მიერ თანამონაწილეობითი პროცედურის ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღებისთანავე დაიწყოს პრაქტიკული სამუშაოები (პროექტის განხორციელება); უნდა შედგეს კონკრეტული ოპერატიული გეგმა (პროექტი და დროში გაწერილი სამუშაოები).

დანართები

2008 წლის ზაფხულში საქართველოში აპრობაციის მიზნით ჩატარებულ მოქალაქეთა თანამონაწილეობის სამივე პროცედურას, რომელთა ოქმები და მოქალაქეთა სარეკომენდაციო წერილები წიგნს თან ერთვის, ჰქონდა ვორკშოპის (სახელოსნოს) ხასიათი და გამოყენებული იყო დიალოგის ღია ინსტრუმენტებს (მიმოხილვა იხ. ქვემოთ: დანართები 1-3): ეს იყო ერთდღიანი ვორკშოპები ჰერეთისკარში (ლაგოდეხი), ქ. სიღნაღში და საზანოში (თერჯოლა)[1]:

- სოფ. საზანოში დაიგეგმა არსებული სპორტული მოედნის მოწყობა და რეაბილიტაცია („მომავლის სახელოსნოს" მოდიფიცირებული პროცედურა);
- სოფ. ჰერეთისკარში დაიგეგმა საბავშვო ბაღის შენობის გარემონტება და მოდერნიზება („მგეგმავი უჯრედის" მოდიფიცირებული პროცედურა "მოქალაქის გეგმა");
- ქ. სიღნაღში დაიგეგმა მოქალაქეებისთვის ქალაქის ცენტრში გასართობ-დასასვენებელი მოედნის მოწყობა (მოდიფიცირებული პროცედურა „დაგეგმვის სახელოსნო").

ამ პროცედურების კონცეფციები შეიმუშავა წინამდებარე წიგნის თანაავტორმა, ქრისტინა ბენიგჰაუსმა და პროექტის თანამშრომლებთან ერთად მანვე გასწია მათი მოდერაცია:

პროცედურა	მონაწილე სამიზნე ჯგუფი	თემა	მუნიციპალიტეტი	მონაწილეთა რიცხვი
"მოქალაქის გეგმა"	საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და მათი მშობლები, საბავშვო ბაღის გამგე, სოფლის რწმუნებული და მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი	საბავშვო ბაღის გარემონტება და მოდერნიზება	სოფ. ჰერეთისკარი (ლაგოდეხი)	49
"დაგეგმვის სახელოსნო"	ქ. სიღნაღის მოქალაქეები, ბავშვები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქ. სიღნაღის ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრესის ნარმომადგენლები	გასართობ-დასასვენებელი სივრცის დაგეგმვა ქ. სიღნაღის ცენტრში	ქ. სიღნაღი	32
"მომავლის სახელოსნო"	ბავშვები, ახალგაზრდები, ასაკოვანი თანასოფლელები, სკოლის მასწავლებლები, სოფ. საზანოს ტერიტორიული ერთეულის რწმუნებული, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ნარმომადგენლები	სპორტული მოედნის დაგეგმვა	საზანო (თერჯოლა)	56

[1] პროცედურების ხანგრძლივობა განზრახ შეიზღუდა, რასაც, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი მხარე აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში მხოლოდ პრიორიტეტული საკითხის დამუშავება ხერხდება.

დანართი 1

„სოფელ ჰერეთისკარის საბავშვო ბაღის გარემონტება და მოდერნიზება “

მოქალაქეების თანამონაწილეობის პროცედურა:
“მოქალაქის გეგმა“
(საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან და მათ მშობლებთან ერთად)

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი

დრო:	**2008 წლის 30 ივლისი, 10.00–17.00 სთ**
ადგილი:	**სოფელ ჰერეთისკარის საბავშვო ბაღი**

დღის წესრიგი

9.30	**მონაწილეთა შეკრება**
10.00	**მისალმება – პროგრამისა და შეკრების მიზნის გაცნობა**
10.15	**1. ინფორმაციის ფაზა:** - პროექტის წარდგენა, ინფორმაციის შეგროვება, ადგილის დათვალიერება საბავშვო ბაღის გამგესთან და მუნიციპალიტეტის საამშენებლო განყოფილების თანამშრომელთან ერთად . ჩართულია ყველა ჯგუფი
11.00	**2. იდეების შეკრების ფაზა** (ბრეინსტორმინგი) - პატარა და მოზრდილი ბავშვების ჯგუფი: საკუთარი სოფლისა და საბავშვო ბაღის დახატვა, დახაზვა, აღწერა . მუშაობა პატარა ჯგუფებში. მოდერაცია - ახალგაზრდებისა და უფროსების ჯგუფი: ბრეინსტორმინგი საბავშვო ბაღის შენობის გადაკეთებასთან დაკავშირებით . მუშაობა ჯგუფში. მოდერაცია
12.00	**შესვენება** (ჩაი, ყავა, ნამცხვარი)
12.15	**3. შედეგების შეფასების ფაზა** - ჯგუფების ნამუშევრის წარდგენა (პლაკატები, ნახატები, ნახაზები)
12.30	**4. დაგეგმვის ფაზა** იდეების განხორციელების გეგმა (სამოქმედო გეგმა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებისთვის) - ახალგაზრდების ჯგუფი: საბავშვო ბაღის განახლების გეგმის დახატვა, საჭირო სამუშაოების დასახელება - უფროსების ჯგუფი: საბავშვო ბაღის განახლების გეგმის დახატვა, სამუშაოების დასახელება . მუშაობა ჯგუფში. მოდერაცია
13.30	**სადილი**
14.30	**5. სამოქმედო გეგმის განხორციელება** ჯგუფების მიერ შემუშავებული გეგმების წარდგენა: - ცალკეული სამშენებლო ღონისძიებების აღწერა, შემდგომი სამოქმედო გეგმა, საბავშვო ბაღის გამგისა და ინჟინრის, როგორც ექსპერტების, ჩართვა, პასუხისმგებელი პირების დასახელება.
15.30	**6. მიღწეული შედეგის დაფიქსირება** - შემუშავებული რეკომენდაციების, შეთანხმებული სამოქმედო გეგმისა და დასახელებული პასუხისმგებელი პირების წარდგენა
16.00	**ღონისძიების დასასრული**

პროცედურის მონაწილეები

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურაში მონაწილეობა მიიღეს ჰერეთისკარის მაცხოვრებლებმა (ძირითადად საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა ან მომავალ აღსაზრდელთა მშობლებმა), საბავშვო ბაღის გამგემ და თანამშრომლებმა, სოფლის რწმუნებულმა, ლაგოდეხის გამგეობის ინჟინერმა, ახალგაზრდა წყვილებმა, სოფლის ახალგაზრდებმა, ბავშვებმა. საერთო ჯამში პროცედურის მონაწილეები იყვნენ დაახლოებით 33 უფროსი და 16 პატარა და მოზარდი ბავშვი.

მანდატი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეც და გამგებელიც ეთანხმებიან ამ საკითხთან დაკავშირებით სოფელჰერეთისკარში მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარებას და მზად არიან გაითვალისწინონ მოქალაქეების, ახალგაზრდების, ბავშვებისა და ექსპერტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები შესაბამის გადაწყვეტილებებში.

თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარების მიზანი

სამომავლო სტრატეგია

- მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ საბავშვო ბაღი სოფლის ერთ-ერთი მთავარი დაწესებულებაა. მათ მონაწილეობა მიიღეს ბაღის შენობის განახლებისდაგეგმვაში.
- მოქალაქეები თავისად მიიჩნევენ საბავშვო ბაღს და მონაწილეობენ მის მოვლა-პატრონობაში.
- მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ სანიმუშო მაგალითმა მოსახლეობას გაუჩინა სურვილი, სხვა შემთხვევაშიც გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში.

ოპერატიული გეგმა

- მოქალაქეებმა გამოხატეს თავინთი მოსაზრებები საბავშვო ბაღის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით.
- მოქალაქეებმა მოახდინეს შეკრებილი მოსაზრებებისა და იდეების პრიორიზება.
- მოქალაქეებმა მონაწილეობას მიიღებენ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებში, და ამით თანხის გარკვეულ ნაწილს დაზოგავენ (ანუ, გათვალისწინებული თანხით უფრო მეტი სამუშაოების შესრულება გახდება შესაძლებელი).

- მოქალაქეებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები („მოქალაქის დასკვნა") ლაგოდეხის საკრებულოსა და გამგეობისთვის, რომელთა გათვალისწინებაც მათ შეუძლიათ საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში.

1. ინფორმაციის ფაზა

საბავშვო ბაღის გამგემ პროცედურის მონაწილეებს დაათვალერებინა საბავშვო ბაღის შენობა და მიმდებარე ეზო და გააცნო მათ ის მძიმე პირობები, რომელშიც უწევთ მუშაობა. სოფლის რწმუნებულმა სოფლის მცხოვრებლებთან ერთად ასევე დაათვალიერა შენობა და ეზო და გააცნო მათ ის გეგმები, რაც შენობის გარემონტებას უკავშირდება. შემდეგ ყველამ ერთად მოიყარა თავი და კიდევ ერთხელ ისაუბრეს საბავშვო ბაღის მომავალზე.

შუადღისას შეკრებილებს შემოუერთდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სამშენებლო განყოფილების ინჟინერი, რომელმაც შეაფასა შენობის ტექნიკური მდგომარეობა და ისაუბრა რემონტისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯებზე.

სოფლის რწმუნებულისა და ინჟინრის ინფორმაცია: – ობიექტი და მისი მდგომარეობა

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჰერეთისკარში იგეგმება საბავშვო ბაღის გარემონტება (გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ბი-

უჯეტით). ამჟამად საბავშვო ბაღში 45 ბავშვი დადის (9-იდან 18 სთ-მდე). არსებობს მოთხოვნილება დაახლოებით 60 ბავშვზე, მაგრამ ყველას დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ. საბავშვო ბაღის შენობად გამოყენებულია ეკომიგრანტებისთვის აშენებული ტიპიური სახლი, რომელიც სოფელმა შეიყიდა და შესაბამისად მოაწყო. შენობა საჭიროებს გაფართოებას, განახლებას და მოდერნიზებას.

სოფელი ჰერეთისკარი აჭარიდან ჩამოსახლებული ეკომიგრანტებით არის დასახლებული. სოფელს ეკონომიკურად უჭირს, ოჯახების შემოსავალი მწირია, მოსახლეობა სოფლის მეურნეობით ირჩენს თავს. აქ ძირითადად ახალგაზრდა ოჯახებია. ბავშვების რაოდენობაც შესაბამისად დიდია (2-8 შვილიანი ოჯახები), ისე რომ საბავშვო ბაღის გარემონტება გადაუდებელ საქმედ არის მიჩნეული.

ამ მიზნით ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სულ 15.000 ლარია გათვალისწინებული; ამას კიდევ 5.000 ლარი შეიძლება დაემატოს. შენობის ძირითადი კედლების გარდა პრაქტიკულად ყველაფერი (იატაკებისა და სახურავის ჩათვლით) თავიდან არის გასაკეთებელი: შენობას არ აქვს სანიტარული კვანძი, გათბობის სისტემა და წყალგაყვანილობა. ზამთარში შენობას შეშის პატარა ღუმელებით ათბობენ.

რადგანაც არსებული ოთახები საკმარისი არ არის, სამზარეულოსა და სასადილო ოთახის მონყობა ნახევარსარდაფში არსებულ სივრცეში იგეგმება (საამისოდ ზემო სართულიდან ქვემოთ ჩასასვლელი კიბის შემინვაა საჭირო). ინჟინრის აზრით სახლის კედლები კარგ მდგომარეობაშია, სხვა ყველაფერი კი შესაცვლელია.

სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს, რათა შესაძლებელი გახდეს შემოდგომაზე ბავშვების გარემონტებულ და განახლებულ შენობაში მიღება.

რადგანაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა დაგეგმილი სამუშაოებისთვის მთლიანად არ იკმარებს, საჭირო გახდება გარკვეული თანხის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინება და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ეტაპობრივად ჩატარება.

საბავშვო ბაღის გამგის ინფორმაცია:

- **პედაგოგიური კონცეფცია: უფრო დიდი სათამაშო სივრცე და ასაკობრივად გაყოფილი ჯგუფები**

საბავშვო ბაღის გამგეს თავისი მოსაზრებები აქვს ამ დაწესებულების სამუშაო განრიგის ოპტიმიზაციის შესახებ. უწ.ყ. მას სურს, რომ გაფართოვდეს ის სივრცე, სადაც ბავშვები თამაშობენ: ცალკ-ცალკე უნდა არსებობდეს ოთახები, სადაც ერთმანეთისგან განცალკევებულად ითამაშებენ პატარა და უფრო მოზრდილი ბავშვები და მათთან შესაბამისად იმუშავებენ აღმზრდელები. შენობის შუა ნაწილში მდებარე ფართო შესასვლელი შეიძლება გამოყენებულ იქნას სათამაშო სივრცედ და გარდერობად. არსებული სამზარეულო დიდ ოთახთან შეიძლება გაერ-

თიანდეს და გაფართოვდეს. საძინებელ ოთახს პატარა ბავშვებისთვის გამოიყენებენ.

სასადილო

ნახევარსარდაფში იგეგმება სამზარეულოსა და სასადილო ოთახის მოწყობა. იქ შესასვლელად გამოყენებული იქნება ამჟამად არსებული გარე კიბე, რომელიც უნდა შეიმინოს.

2. იდეების შეკრების ფაზა (ბრეინსტორმინგი)

იდეების შეკრების ფაზაში მოდერატორებმა მონაწილეები სამ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს (ბავშვები, ახალგაზრდები, უფროსები). მათ იმუშავეს შემდეგ კითხვებზე (მუშაობდნენ პლაკატებით და ბარათებით):

2. **როგორ უნდა მოეწყოს საბავშვო ბაღი (შიგნით და გარეთ)?**
3. **როგორ უნდა გამოიყურებოდეს შენობა და ეზო? რა იდეები გაგაჩნიათ ამასთან დაკავშირებით?**

3. შედეგების შეფასების ფაზა

მოხდა იდეების შეკრების ფაზის შედეგების შეფასება. შედეგები წარმოადგინეს პლაკატებით.

ახალგაზრდებმა შემდეგი მოსაზრებები დააფიქსირეს:

• ***ეზო, სათამაშო მოედანი და სათამაშოები:*** კარგად მოწყობილი ეზო, სათამაშო მოედანი, ეზო ლამაზი სათამაშოებით, ეზოს ახლებური მოწყობა, სათამაშოების დადგმა (საქანელა, აიწონა-დაიწონა და ა.შ.), ეზოში პატარა საცურაო აუზის დადგმა, ატრაქციონები, სათამაშო ინვენტარი, ეზოში კარუსელი და სათამაშო მოედანი.

• ***სანიტარული ბლოკი:*** ახალი ტუალეტის აშენება (ან მიშენება?), წყალმომარაგება, კანალიზაცია.

• ***სივრცითი გეგმარება:*** ახალი საბავშვო ბაღის აშენება, ოთახების კეთილმოწყობა, კარგი სამზარეულო, კარგად მოწყობილი საძინებელი ოთახი, შენობის გარემონტება და კეთილმოწყობა, კედლებისა და ჰოლის გალამაზება, ბავშვებისა და აღმზრდელებისთვის კომფორტის შექმნა.

• ***სხვა ღონისძიებები:*** საბავშვო ბაღის აღმზრდელების კვალიფიცირება.

უფროსების ჯგუფმა ამას შემდეგი იდეები დაუმატა:

• ***შენობის მოწყობა, აღჭურვა:*** ოთახების უკეთ აღჭურვა, თანამედროვე საბავშვო ავეჯის დადგმა, ოთახების განლაგებისა და ფუნქციური დატვირთვის ოპტიმირება, აღმზრდელების კვალიფიცირება, ამბულატორიის მოწყობა, ახალი სამზარეულოს მოწყობა, შენობის გარემონტება, მოდერნიზება და კეთილმოწყობა, საბავშვო საძინებელი ოთახის მოწყობა.

• ***სანიტარული ბლოკი:*** წყლის შეყვანა, ტუალეტის მიშენება.

• ***ეზო:*** სათამაშო მოედნის მოწყობა, ეზოს გამწვანება, კარგად მოწყობილი ეზო, საქანელა, კარუსელები.



ბავშვების ჯგუფი განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს საბავშვო ბაღის აღჭურვას სათამაშოებით (საქანელა, "აიწონა-დაიწონა", კარუსელი ან საცურაო აუზი). მათ ნახატებში ასახვა ჰპოვა შემდეგმა იდეებმა:

4. დაგეგმვის ფაზა

დაგეგმვის ფაზაში ახალგაზრდებმა და უფროსებმა იმსჯელეს იმის თაობაზე, თუ როგორ იქნება შესაძლებელი შიდა სამუშაოებისა და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულება. მათ დაწვრილებით განიხილეს ოთახების განლაგება და დანიშნულება და დეტალებში შეადგინეს სამოქმედო გეგმა (მუშაობდნენ პლაკატებით).

5. სამოქმედო გეგმის განხორციელება

საბოლოოდ მონაწილეებმა კიდევ ერთხელ განიხილეს ყველა გამოთქმული იდეა და მოსაზრება და მოახდინეს მათი პრიორიზება.



ზაფხულის ცხელი დღეების გათვალისწინებით ასევე კარგი იქნება პატარა რეზინის საცურაო აუზის მოწყობა, რაც საბავშვო ბაღს ზაფხულის პერიოდში მუშაობის საშუალებასაც მისცემს. სამომავლოდ ეზოში ნამდვილი საცურაო აუზის მოწყობაც იქნება შესაძლებელი, სადაც ბავშვები იჭყუმპალებენ და გაგრილდებიან.

შიდა სამუშაოები

სოფლის მცხოვრებლები მზად არიან, მონაწილეობა მიიღონ საბავშვო ბაღის შიდასარემონტო სამუშაოებში (დახმარება ფიზიკური შრომით). ყველაზე მარტივად ამის მოგვარება შეიძლება მშენებელი ორგანიზაციის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე სნორედ სოფლის მცხოვრებლების დასაქმებით.

სასურველია არსებული სამზარეულო და სათამაშო ოთახების გაერთიანება, სამზარეულო და სასადილო ოთახების ნახევარსარდაფში განთავსება, სახურავის შეკეთება, კარ-ფანჯრის გამოცვლა და შენობაში წყლის შეყვანა (სამზარეულოსა და ტუალეტების მოსაწყობად). იატაკზე დაგებული ფიცრები შეიძლება გაირანდოს და ნაწილობრივ ისევ იატაკების განახლებას მოხმარდეს. საჭირო იქნება დაბზარული კედლების გამაგრება, ახალი შპალერის გაკვრა და ჭერის გამოცვლა.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მონაწილეები შეთანხმდნენ შენობის შემდეგი სახით დაგეგმვაზე:

. ოთახი მოზრდილი ბავშვებისთვის
. ოთახი პატარა ბავშვებისთვის
. საძინებელი ოთახი
. შენობის შუა ნაწილი გამოყენება სათამაშოდ და გარდერობისთვის
. გარე კიბე, მისი შემინვა
. ვერანდაზე თანამშრომლებისთვის პატარა ბიუროს მოწყობა
. სანიტარული ოთახი ხელსაბანებით, ტუალეტებითა და დუშით
. ამბულატორია.



შენობის გარემონტების შემდეგ ასევე მნიშვნელოვანი იქნება საბავშვო ბაღის აღჭურვა საბავშვო ავეჯითა და პედაგოგიური მასალებით, სათამაშოებით, საბავშვო ლიტერატურით, რადგანაც ამ დანესებულებას ამჟამად სანოლებისა და პატარა ტაბურეტების გარდა თითქმის არაფერი არ გააჩნია. ასევე საშურია აღმზრდელების კვალიფიცირება.

სამოქმედო გეგმა

თანამონაწილეობის პროცედურა დასრულდა სამოქმედო გეგმის შედგენით, რომელიც მონაწილეებმა ერთმანეთთან შეათანხმეს და საბოლოო სახეც მისცეს (მოხდა შესასრულებელი სამუშაოების პრიორიზება):

რა უნდა გაკეთდეს	**ვინ არის პასუხისმგებელი**	**როდის უნდა გაკეთდეს**
საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა		
. ხეხილის ჩაყრა შენობის უკანა ეზოში (ყურძენი, ვაშლი, მსხალი და ა.შ.) . სოფლის მცხოვრებლებს მოაქვთ ნერგები	სოფლის რწმუნებული ჯემალ აბაშიძე, სოფლის მცხოვრებლები და მებაღე მინდია დუმბაძე	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
ხეებისა და ყვავილების დარგვა შენობის ირგვლივ	ჯემალ აბაშიძე, საბავშვო ბაღის გამგე მზია სურმანიძე	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
მრავალწლიანი ხეების დარგვა შენობის წინ (ჩრდილისთვის, სოფლის შემოწირულობა)	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე, სოფლის მცხოვრებლები	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
შენობის წინა და გვერდით მხარეს ბავშვების შემეცნებითი-გასართობი ადგილის მოწყობა	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე, სოფლის მაცხოვრებლები	ეზოს მოწყობა-გადაკეთების შემდეგ
ღობის განახლება	ჯემალ აბაშიძე	სამშენებლო სამუშაოებთან ერთად
რეზინის საცურაო აუზის მოწყობა (ზაფხულის სიცხიან პერიოდში საბავშვო ბაღის სამუშაო საათების გახანგრძლივების მიზნით), მისი დაფინანსების საკითხის გარკვევა	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	დაფინანსების საკითხის გადაწყვეტის მიხედვით
ფარდულის მოწყობა შენობის უკან (შეშისთვის, ხელსაწყოების შესანახად)	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	შეძლებისდაგვარად სამშენებლო სამუშაოებთან ერთად ან მას შემდეგ (მე-2 პრიორიტეტი)
საქანელასა და სათამაშო ქვიშის ყუთის მოწყობა	ბატონი თენგიზი	რემონტის დამთავრების შემდეგ, ეზოს მოწყობის პროცესში

სათამაშო ინვენტარის შეკეთება	სულიკო ხოზრევანიძე და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მშობლები	სარემონტო სამუშაოების კვალდაკვალ
პატარა წყლის აუზის აგება	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	მე-3 პრიორიტეტი
ეზოს, ბაღის მოვლა	მინდია დუმბაძე	რემონტის შემდეგ მუდმივად
შენობის წინ გამავალი არხის განმენდა	მზია სურმანიძე	მუდმივად
შიდასარემონტო სამუშაოები		
ლაგოდეხის გამგეობისა და საკრებულოსთვის შიდასარემონტო სამუშაოების შეთანხმებული პროექტის წარდგენა	ჯემალ აბაშიძე	2008 წლის აგვისტო
ბავშვებისთვის ტაბურეტების გაკეთება	სულიკო ხოზრევანიძე და მზია სურმანიძე	საბავშვო ბაღის შენობის შეკეთების შემდეგ
შენობის შიდამონყობა	მზია სურმანიძე, ჯემალ აბაშიძე	რემონტის დამთავრების შემდეგ
საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების მეთვალყურეობა	ჯემალ აბაშიძე	2008 წლის შემოდგომიდან

დოკუმენტაცია

თანამონაწილეობის პროცედურის დამთავრების შემდეგ შედგა შედეგების ოქმი სადაც დაფიქსირებულია პროექტის პარტნიორები და სამშენებლო სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირები. ოქმს თან ახლავს მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილი (იხ. ქვემოთ).

მოქალაქეების ამ სარეკომენდაციო წერილს განიხილავს და მასზე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.



მოქალაქეთა სარეკომენდაციო წერილი

სოფ. ჰერეთისკარის საბავშვო ბაღის გარემონტებასა და მოდერნიზებასთან დაკავშირებით
(მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი თან ერთვის).

საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მონაწილეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, რომ საბავშვო ბაღის ეზოს ძირითადად საკუთარი ძალებით კეთილმოაწყობენ (იგულისხმება დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული სათამაშოების, სათამაშო ინვენტარის: საქანელების, კარუსელების, სკამების, ქვიშიანი ყუთის და ა.შ. შეკეთება, შენობის უკანა ნაწილში ხეხილის ბაღისა და ვაზის ხეივნის გაშენება, შენობის წინ ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეებისა და დეკორატიული მცენარეების დარგვა, ეზოს გამწვანება).ეზოში ბავშვებისთვის გამოიყოფა "შემეცნებით-გასართობი" ადგილი. ეზოს მოვლა-პატრონობისთვის საჭირო იქნება მებაღე, რომელიც იქ დასარგავ მცენარეებს შეარჩევს.

გამოსაცვლელია ღობე შენობის წინ, რომლის ხარჯებიც, სასურველია, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა აიღოს თავის თავზე.

ზაფხულის ცხელი დღეების გათვალისწინებით ასევე კარგი იქნება პატარა რეზინის საცურაო აუზის მოწყობა, რაც საბავშვო ბაღს ზაფხულის პერიოდში მუშაობის საშუალებასაც მისცემს.

შიდასარემონტო სამუშაოები

სასურველია არსებული სამზარეულო და სათამაშო ოთახების გაერთიანება, სამზარეულო და სასადილო ოთახების ნახევარსარდაფში განთავსება, სახურავის შეკეთება, კარ-ფანჯრის გამოცვლა და შენობაში წყლის შეყვანა სამზარეულოსა და ტუალეტების მოსაწყობად, იატაკების განახლება. საჭირო იქნება დაბზარული კედლების გამაგრება, ახალი შპალერის გაკვრა და ჭერის გამოცვლა.

სოფლის მცხოვრებლები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ საბავშვო ბაღის შიდა- და გარესარემონტო სამუშაოებში (დახმარება ფიზიკური შრომით). ყველაზე მარტივად ამის მოგვარება შეიძლება მშენებელი ორგანიზაციის მიერ სოფლის მცხოვრებლების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე დასაქმების გზით.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მონაწილეები შეთანხმდნენ შენობის შემდეგი სახით დაგეგმვაზე:

. ოთახი მოზრდილი ბავშვებისთვის
. ოთახი პატარა ბავშვებისთვის
. საძინებელი ოთახი
. შენობის შუა ნაწილის გამოყენება სათამაშოდ და გარდერობისთვის
. გარე კიბის შეკეთება, მისი შემინვა
. არსებულ აივანზე თანამშრომლებისთვის პატარა სამუშაო ოთახის მოწყობა

. სანიტარული კვანძის მოწყობა ხელსაბანებით, ტუალეტებითა და დუშით
. ამბულატორია.

შენობის გარემონტების შემდეგ ფრიად მნიშვნელოვანი იქნება საბავშვო ბაღის აღჭურვა საბავშვო ავეჯითა და პედაგოგიური მასალებით, სათამაშოებით, საბავშვო ლიტერატურით. ასევე საშურია აღმზრდელების კვალიფიცირება.

სამოქმედო გეგმა

რა უნდა გაკეთდეს	ვინ არის პასუხისმგებელი	როდის უნდა გაკეთდეს
სარეკომენდაციო წერილის გადაეცემა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის	ჯემალ აბაშიძე, სოფლის რწმუნებული	ორი კვირა
შაკრებულოს მიერ სარეკომენდაციო წერილის განხილვის მიერ მისი გადაცემა გამგეობისთვის, რომელიც თავის მხრივ არქიტექტორს დაავალებს საბავშვო ბაღის განახლების დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენას	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ჯემალ აბაშიძე	შემოდგომა, 2008
საბავშვო ბაღის ეზოს მოწყობა		
ხეხილის ჩაყრა შენობის უკანა ეზოში.	ჯემალ აბაშიძე, სოფლის მაცხოვრებლები და მებაღე მინდია დუმბაძე	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
ხეებისა და ყვავილების დარგვა შენობის ირგვლივ	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
მრავალწლიანი ხეების დარგვა შენობის წინ	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე, სოფლის მცხოვრებლები	2008 წლის შემოდგომა, 2009 წლის გაზაფხული
შენობის წინა და გვერდით მხარეს ბავშვების შემეცნებით-გასართობი ადგილის მოწყობა	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე, სოფლის მცხოვრებლები	ეზოს მოწყობა-გადაკეთების შემდეგ
ღობის განახლება	ჯემალ აბაშიძე	სამშენებლო სამუშაოებთან ერთად

რეზინის საცურაო აუზის მოწყობა, მისი დაფინანსების საკითხის გარკვევა	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	დაფინანსების საკითხის გადაწყვეტის მიხედვით
ფარდულის მოწყობა შენობის უკან	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	შეძლებისდაგვარად სამშენებლო სამუშაოებთან ერთად ან მას შემდეგ (მე-2 პრიორიტეტი)
საქანელას, „აიწონა-დაიწონას", კარუსელის და სათამაშო ქვიშის ყუთის მოწყობა	ბატონი თენგიზი	რემონტის დამთავრების შემდეგ, ეზოს მოწყობის პროცესში
სათამაშო მოწყობილობების შეკეთება	სულიკო ხოზრევანიძე და მშობლები	სარემონტო სამუშაოების კვალდაკვალ
პატარა წყლის აუზის აგება	ჯემალ აბაშიძე, მზია სურმანიძე	მე-3 პრიორიტეტი
ეზოს, ბაღის მოვლა	მინდია დუმბაძე	რემონტის შემდეგ, მუდმივად
შენობის წინ გამავალი არხის გაწმენდა	მზია სურმანიძე	მუდმივად
შიდა სამუშაოები		
შაკრებულოსა და გამგეობისთვის შიდა სამუშაოების შეთანხმებული პროექტის წარდგენა	ჯემალ აბაშიძე	2008 წლის აგვისტო
ბავშვებისთვის პატარა სკამების (ტაბურეტების) გაკეთება	სულიკო ხოზრევანიძე და მზია სურმანიძე	საბავშვო ბაღის შენობის შეკეთების შემდეგ
შენობის შიდამოწყობა	მზია სურმანიძე, ჯემალ აბაშიძე	რემონტის დამთავრების შემდეგ
საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოების მეთვალყურეობა	ჯემალ აბაშიძე	2008 წლის შემოდგომიდან

სოფელ ჰერეთისკარის მცხოვრებლების და
ბავშვების სახელით:

ჯემალ აბაშიძე,
სოფელ ჰერეთისკარის
ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული

დანართი 2

„სპორტული მოედნის დაგეგმვა სოფელ საზანოში“

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა:
“მომავლის სახელოსნო“
(ახალგაზრდებთან და ბავშვებთან ერთად)





მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი

დრო:	2008 წლის 28 ივლისი, 10.00–16.30 სთ
ადგილი:	სოფელ საზანოს სკოლა

დღის წესრიგი

9.30-10.00	მონაწილეთა შეკრება მისალმება – პროგრამისა და შეკრების მიზნის გაცნობა, მეთოდის განმარტება
10.15	1. **კრიტიკის ფაზა ("არ მომწონს,..... არ არსებობს...")** - ბავშვების ჯგუფი: სოფელ საზანოში თავისუფალი დროის გატარების შესაძლებლობების დახატვა, დახაზვა, აღწერა. . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია - ახალგაზრდების ჯგუფი: იდეების შეგროვება: უარყოფითი გამოცდილების, იმედგაცრუების აღწერა თავისუფალი დროის გატარებასთან დაკავშირებით, სურვილების გამოთქმა . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია - ექსპერტების ჯგუფი: სოფლის რწმუნებული, არქიტექტორი, მასწავლებლები, ხნიერი ადამიანები სოფლიდან. მათი თვალსაზრისი სოფლის ახალგაზრდების თავისუფალი დროის დაგეგმვასთან დაკავშირებით . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია
11.15	**შესვენება** (ყავა, ჩაი, ნამცხვარი)
11.30	**ბავშვების ჯგუფის ნამუშევრების წარდგენა**
11.45	2. **ფანტაზიის/უტოპიის ფაზა ("შენი სოფლის მეფე რომ იყო...?"):** - ბავშვების ჯგუფი: სოფელ საზანოში ფეხბურთის ახალი მოედნის დახატვა, დახაზვა, აღწერა . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია - ახალგაზრდების ჯგუფი: ახალგაზრდებისათვის სპორტული მოედნის დაგეგმვა . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია - ექსპერტების ჯგუფი: სპორტული მოედნის დაგეგმვა სოფელ საზანოში ბავშვებისა და ახალგაზრდების სურვილების და იდებისგათვალისწინებით . მუშაობა მცირერიცხოვან ჯგუფებში. მოდერაცია
13.00	**სადილი**
14.00	3. **გეგმის პრაქტიკულად განხორციელების ფაზა ("ამის შემდეგ რას ვაკეთებთ...?")** • **ჯგუფებში მუშაობის შედეგების პრეზენტაცია:** - ბავშვების პლაკატების წარდგენა - ახალგაზრდების პლაკატების წარდგენა - ექსპერტების პლაკატების წარდგენა (სადაც ინტეგრირებულია ბავშვებისა და ახალგაზრდების წარმოდგენები ფეხბურთის ახალი მოედნის შესახებ) • **შემდეგი ნაბიჯები / პრაქტიკული განხორციელების დაგეგმვა** (ვინ, როდის, რას... გააკეთებს?): - შეჯამება, სურვილების გათვალისწინება, დაგეგმვა . ჯგუფური მუშაობა
15.30	4. **შეჯამება, მიღწეული შედეგის დაფიქსირება** - შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა და სამოქმედო გეგმის შეთანხმება პასუხისმგებელი პირების დასახელებით
16.30	**ღონისძიების დასასრული**

არსებული მდგომარეობა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. საზანოში იგეგმება სპორტული მოედნის კეთილმოეწყობა, რომელიც ტყით დაფარული ბექობის შუაგულში მდებარეობს. ახლო-მახლო არ არსებობს სხვა გასართობი ან სათამაშო მოედანი ახალგაზრდებისა და ბავშვებისთვის, ისე რომ ეს მოედანი მათთვის თავშეყრისა და გართობის, თავისუფალი დროის საინტერესოდ გატარების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად შეიძლება იქცეს. იქვე მდებარეობს საზანოს 9-კლასიანი სკოლა, სადაც 90 მოწაფე სწავლობს და ეს მოედანი სკოლასაც შეეძლო გამოეყენებინა ფიზკულტურის გაკვეთილების ჩასატარებლად და სავარჯიშოდ.

გარდა ამისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფლები ყოველწლიურად მართავენ საფეხბურთო ტურნირს. მომავალ წელს ამ ტურნირის ჩატარება საზანოში ამ სტადიონზეა დაგეგმილი.

სოფლის ახალგაზრდები ახალგაზრდული გაერთიანების დაფუძნებასაც გეგმავენ, რათა შესაძლებელი გახდეს განახლებული მოედნის მოვლა-პატრონობაში ასევე მეზობელი დასახლებების ახალგაზრდობის ჩაბმა (პროექტის მდგრადობა).

მოედანზე ხისგან გაკეთებული ფეხბურთის ორი კარი დგას. მოედანი ქარიან ადგილას მდებარეობს, ამიტომ მის ირგვლივ ქარისგან დაცვის მიზნით ხეების დარგვაც იგეგმება. ადგილზე არ არის ტუალეტი და ტანსაცმლის გამოსაცვლელი კაბინა, საშხაპე. საჭირო იქნება მოედნის შემოღობვა ცხოველებისგან მისი დაცვის მიზნით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფულადი სახსრები სპორტული მოედნის მოსაწყობად. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს ფული მოედნის ჯეროვანი მოწყობისთვის არ იკმარებს, შეიძლებოდა მოედნის მოწყობა ეტაპებად განხორციელებულიყო და ამ მიზნით შემდეგ წელსაც გამოყოფილიყო ფული მოედნის დასრულებისთვის.

მანდატი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეც და გამგებელიც ეთანხმებიან ამ საკითხთან დაკავშირებით სოფელ საზანოში მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის ჩატარებას და მზად არიან გაითვალისწინონ ახალგაზრდების, ბავშვებისა და ექსპერტების მიერ მოწოდებული რეკომენდაციები შესაბამის გადაწყვეტილებებში.

შერჩეული პროცედურის მონაწილეები, სტრუქტურა და მეთოდები

- მოქალაქეთა თანამონაწილეობით პროცედურაში სოფელ საზანოს ახალგაზრდების ჩართვის მიზნით შემუშავდა საქართველოში არსებულ ჩარჩო-პირობებთან მისადაგებული პროცედურის მოდელი.
- რადგანაც ჯგუფში ძირითადად ახალგაზრდები იყვნენ, გადაწყდა **"მომავლის სახელოსნოს"** მოდიფიცირებული მეთოდის გამოყენება, რომელიც

თანამონაწილეობის შედარებით მარტივი მეთოდია და **ახალგაზრდებში ფანტაზიის უნარის გაღვივებას უწყობს ხელს.**

- სამიზნე ჯგუფს ძირითადად წარმოადგენდა სოფელ საზანოსა და მიმდებარე დასახლებების ახალგაზრდობა (11 წლის ზემოთ) და ბავშვები (5-10 წლის ასაკის), რომლებიც მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურაში იყვნენ ჩართულნი. მოწვეული იყო ყველა, ვისაც კი შეეძლო მოსვლა; მოვიდა საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა. ამას დაემატა ექსპერტების ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ სოფლის რწმუნებული, არქიტექტორი, მასწავლებლები, სოფლის ხნიერი მაცხოვრებლები. პროცედურაში სულ **მონაწილეობდა 56 ადამიანი.**
- მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა ჩატარდა ერთ დღეში, რადგანაც განსახილველი საკითხი კონკრეტული და გარკვეული იყო.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მიზანი

- *სამომავლო სტრატეგია*

- ახალგაზრდები თავისად მიიჩნევენ სპორტულ მოედანს და მონაწილეობენ მის მოწყობაში, მოვლა-პატრონობასა და შენარჩუნებაში.
- მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ სანიმუშო მაგალითმა მოსახლეობას გაუჩინა სურვილი, სხვა შემთხვევაშიც გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში.

ოპერატიული გეგმა

- ახალგაზრდებმა შეაგროვეს იდეები "სპორტული მოედნის" მოწყობა-აღჭურვისა და აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- ახალგაზრდებმა პრიორიზება გაუკეთეს "სპორტული მოედნის" მოწყობა-აღჭურვისა და აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებით შეგროვებულ იდეებს.
- ახალგაზრებმა თერჯოლის საკრებულოში შესატანად შეიმუშავეს სარეკომენდაციო წერილი, რომლის გათვალისწინებითაც საკრებულოს და გამგეობას შეუძლია დაამტკიცოს სპორტული მოედნის დაზუსტებული გეგმა.

1. კრიტიკის ფაზა („არ მომწონს.. .", „არ არსებობს .. .")

ახალგაზრდების მიერ დაფიქსირებული იდეები და მოსაზრებები

ბავშვებმა და ახალგაზრდებმა იმუშავეს ასაკობრივად განსხვავებულ ჯგუფებში, შეაგროვეს იდეები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება უკეთ დაიგეგმოს მათი თავისუფალი დრო სოფელში (მუშაობდნენ პლაკატებზე და ბარათებით). ფიქრი დაიწყეს იმით, თუ რა აკლია სოფელს საამისოდ, რა არ მოსწონთ და სად არის „ჩავარდნები". ამის საფუძველზე გამოხატეს თავიანთი სურვილები და წარმოადგინეს კიდეც ისინი იდე-

ების სახით. 10 წლის ასაკამდე ბავშვებმა თავიანთი იდეები ნახატებში ასახეს და აღწერეს; ახალგაზრდებმა კი 2-3-კაციან ჯგუფებში იმუშავეს და თავიანთი იდეები ბარათებზე დააფიქსირეს, შემდეგ ისინი დამსწრეთ წარუდგინეს.



ახალგაზრდებმა საკმაოდ რეალისტური სურვილები წარმოადგინეს იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება საზანოსა და მის მიმდებარე დასახლებებში. მათთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა სპორტული კომპლექსის მოწყობა, რომელსაც ექნება საფეხბურთო მოედანი და ასევე ფრენბურთისა და კალათბურთის პატარა მოედნები. სპორტული მოედანი უნდა იყოს შემოღობილი და ასევე უნდა ჰქონდეს გასახდელი კაბინა, საშხაპე და ტუალეტი. შესაძლებელია მისი ნაწილობრივ გადახურვაც და პატარა სცენის მოწყობა (დისკოთეკისთვის).

აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჰქონდეთ თავშეყრის ადგილი, სადაც მათ საინტერესოდ შეეძლებათ დროის ერთად გატარება. კარგი იქნება, თუკი საამისოდ სოფელში რაიმე კლუბისმაგვარი შენობა გამოინახება იქ სხვადასხვა ღონისძიებების მოსაწყობად, კინოფილმების საჩვენებლად, დისკოთეკის გასამართად.

ბავშვებმაც და ახალგაზრდებმაც არაერთხელ ახსენეს სკოლის შენობის გარემონტება და კეთილმოწყობა. ასევე ისურვეს ბიბლიოთეკის განახლება და სოფელში ინტერნეტ-კაფეს ამოქმედება.

ახალგაზრდების მიერ შეკრებილი იდეების ჩამონათვალი ასე გამოიყურება:

- ***ბავშვებისა და ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი:*** თავშეყრის ადგილი თავისუფალი დროის საინტერესოდ გასატარებლად, თავშეყრის ადგილი სპორტული დარბაზით, ახალგაზრდული კლუბი სხვადასხვა ღონისძიებებისთვის, პატარა პარკი, საზაფხულო ბანაკი.
- ***სპორტული მოედანი:*** სტადიონი, სპორტული დარბაზი სხვადასხვა შეჯიბრებებისთვის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, ფეხბურთის მოედანი, ტენისის მოედანი, გასახდელი კაბინა, სპორტული მოედნის განათება, მოედნის შემოღობვა, გოგონების გუნდის ჩამოყალიბება.
- ***სკოლა:*** სკოლის გარემონტება, ახალი, ლამაზი სკოლა, ახალი სკოლა სპორტული დარბაზით.
- ***ტრანსპორტი:*** ეფექტური საზოგადოებრივი ტრანსპორტი.
- ***სხვა სურვილები:*** გარემონტებული ბიბლიოთეკა, კინო-თეატრი, ინტერნეტ-კაფე, ცეკვის წრე, ლამაზი სკვერი, სასმელი წყლის ფანტანი სათამაშო მოედანზე.

ბავშვების მიერ დაფიქსირებული იდეები და მოსაზრებები (10 წლამდე ასაკის ბავშვები):



სოფელში თავისუფალი დროის გატარებასთან დაკავშირებით ბავშვების ჯგუფმაც თითქმის იგივე იდეები ასახა პლაკატებზე, რაც ახალგაზრდებმა. შესვენების შემდეგ ბავშვებმა თავიანთი ნახატები წარმოადგინეს:

ბავშვებმა ისურვეს სათამაშო მოედანი, სადაც განლაგებული იქნება სხვადასხვა სათამაშო ინვენტარი: კარუსელები, საქანელები, ქვიშიანი ყუთი პატარებისთვის და ა.შ., სპორტული მოედნის ირგვლივ სკამები (ტრიბუნები) და ასევე გასახდელი კაბინები. მათ სურთ, სკოლა კეთილმოეწყოს, ეზოში ფეხბურთისა, კალათბურთის მოედანი და სარბენი ბილიკი გაკეთდეს, სპორტულ მოედანთან სკამები (ტრიბუნები) და გასახდელი კაბინები დაიდგას. ასევე ისურვეს სოფლის ცენტრალური გზის შეკეთება, სკოლის ეზოში ვაზის ხეივნის გაშენება, საცურაო აუზის მოწყობა და სანაყინეს ორგანიზება:





ექსპერტების მიერ დაფიქსირებული იდეები და მოსაზრებები:

სოფელში ახალგაზრდებისა და ბავშვების თავისუფალი დროის გატარების პრობლემატიკაზე ასევე იმუშავა „ექსპერტების" ჯგუფმა; ამის შემდეგ თავიანთი იდეები მათ მონაწილეებს წარუდგინეს. ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ ისინი ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ შემოთავაზებულ ყველა იდეას უჭერენ მხარს: ეს არის სპორტული კომპლექსი ფეხბურთის მოედნითა და ფრენბურთისა და კალათბურთის პატარა მოედნებით, საშხაპით, გასახდელი კაბინით და ტუალეტით; სოფლის გზის გადასახვევიდან სპორტულ მოედნამდე გასაყვანია დამატებითი გზა, მოედანი საჭიროებს შემოღობვას, ქარიან მხარეს ხეებია დასარგავი. ამავე მხარეს უნდა აიგოს ტრიბუნები დაახლოებით 200-300 მაყურებლისთვის. პატარა ბავშვებისთვის მოსაწყობია სათამაშო მოედანი სათამაშო ინვენტარით. ზოგიერთი მონაწილეს აზრით ურიგო არ იქნებოდა ასევე პატარა საცურაო აუზის მოწყობაც.

ექსპერტების ჯგუფს მიაჩნია, რომ სოფელში საჭიროა ახალგაზრდებისთვის თავშეყრის ადგილის ორგანიზება. ეს ადგილი შეიძლება მოეწყოს სპორტულ მოედანთან, ანდაც შეიქმნას ახალგაზრდული ცენტრი სოფელში. თავშეყრის ადგილზე უნდა არსებობდეს ინტერნეტ-კაფე, სადაც ახალგაზრდებს კომპიუტერთან მუშაობის საშუალება ექნებათ.

ახალგაზრდებისგან განსხვავებით ეს ჯგუფი განსაკუთრებით არის დაინტერესებული მუნიციპალიტეტის ცენტრიდან სოფლამდე და სოფლებს შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამართულად მუშაობით. ასევე გასაუმჯობესებელია გზა სოფელ საზანომდე და სპორტულ მოედნამდე მისასვლელი გზები და ქუჩები. დაფიქსირებული იდეები ასე გამოიყურება:

სპორტული კომპლექსის მოწყობა: სპორტული მოედანი ახალგაზრდებისთვის, სპორტული კომპლექსი, ფეხბურთის მოედანი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ტენისის მომცრო მოედნები, სათამაშო მოედანი პატარებისთვის, საცურაო აუზი.

სპორტული მოედნის მოწყობა: მოედანს ესაჭიროება ღობე, მცირე გადახურული მოედანი, გასახდელი კაბინა შხაპითა და ტუალეტით, წყალი.

- ***ტრანსპორტი და განათება:*** სოფლის ცენტრის განათება, სოფლის გზის შეკეთება, სპორტულ მოედნამდე მისასვლელი გზის შეკეთება.
- ***ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი:*** ახალგაზრდების თავშეყრის ადგილი, დისკოთეკა სპორტულ მოედანზე, ახალგაზრდული ცენტრის აგება სოფლის ცენტრში, ახალგაზრდული კლუბი ბიმერითა და კომპიუტერებით, ინტერნეტი.

სხვა ღონისძიებები: სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა.

ექსპერტების ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობდა არქიტექტორი, რომელმაც მასშტაბში შეასრულა მოედნის გეგმა. გეგმა გულისხმობს სპორტული კომპლექსის ეტაპობრივად მოწყობას:



ექსპერტების ჯგუფმა ნაყოფიერად მიიჩნია და დადებითად შეაფასა საკითხის განხილვის ეს მეთოდი („მომავლის სახელოსნო") და აღნიშნა, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების კომუნალური დაგეგმვის პროცესებში ჩართვა ერთობ სასარგებლო და ეფექტური მიდგომაა. მათ მონაწილეებს კიდევ ერთხელ დაუდასტურეს, რომ მხარს დაუჭერენ და ყველაფერს გააკეთებენ გამოთქმული იდეების რეალურად განხორციელებისთვის.

3. გეგმის განხორციელების ფაზა ("ამის შემდეგ რას ვაკეთებთ...?")

გეგმის განხორციელების ფაზაში ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯგუფებმა ექსპერტების ჯგუფთან ერთად შეადგინეს სამოქმედო გეგმა. ამ გეგმას საფუძვლად დაედო ექსპერტების მიერ შესრულებული ნახაზი, სადაც გათვალისწინებული იყო ბავშვებისა და ახალგაზრდების იდეები. ამის შემდეგ მოხდა გეგმაში ასახული საკითხების პრიორიზება (შეფასება):

I. ეტაპი: მოედნის მოსწორება, ფეხბურთი კარების მოწყობა, გვერდითი ხაზების გაკეთება, ხეების დარგვა, მოედნის შემოღობვა.

II. ეტაპი: სკამების, ტრიბუნების მოწყობა, ტუალეტის, საშხაპესა და გასახდელი კაბინის აგება.

III. ეტაპი: სამომავლოდ გადაიდო მცირეწლოვანი ბავშვების სათამაშო მოედნის, ტენისის მოედნის, საცურაო აუზის მოწყობა.

მონაწილეებმა გამოხატეს მზადყოფნა იმის თაობაზე, რომ სპორტული მოედნის კეთილმოწყობაზე თავად იმუშავებენ (**მონაწილეობა ფიზიკური შრომით**).

ახალგაზრდებმა გამოთქვეს **ახალგაზრდული გაერთიანების დაფუძნების** სურვილი, რომლის წევრებიც მოედანს მოასწორებენ, ღობეს გაჭიმავენ და ხეებს დარგავენ. თერჯოლის მუნიციპალიტეტი კი გამოჰყოფს ფინანსურ სახსრებს, რომლითაც პირველი ეტაპის საამშენებლო ღონისძიებებს შეასრულებენ (იხ. პუნქტი I.). მეორე ეტაპზე უნდა აშენდეს ტუალეტი, საშხაპე და გასახდელი კაბინა, მოეწყოს ტრიბუნები და გაფართოვდეს სპორტული მოედანი ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით. ბავშვების სათამაშო მოედანს პრიორიტეტულად ნაკლები ქულები მიანიჭეს; იგივე ითქმის ტენისის მოედანსა და საცურაო აუზზე.

მწვანე საფარისა და მთლიანად სპორტული მოედნის მოვლა-პარტონობას ახლად დაფუძნებული ახალგაზრდული გაერთიანება აიღებს თავის თავზე.

მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ სამუშაოები შემდეგი თანმიმდევრობით ჩატარდება:

რა	**ვინ**	**როდის**
„მომავლის სახელოსნოში“ შემუშავებული მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილი გადაეცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.	გურამ კუპატაძე, სოფლის რწმუნებული	ორი კვირა
საკრებულო განიხილავს მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილს და მიღებულ გადაწყვეტილება გადაუგზავნის გამგეობას. არქიტექტორს დაევალება სპორტული მოედნის დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა მოქალაქეების რეკომენდაციების გათვალისწინებით.	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ჭანტურიძე ცეზარი	შემოდგომა, 2008
სპორტული მოედნის მოსწორება, ფეხბურთის კარების მოწყობა, გვერდითი ხაზების გაკეთება, ხეების დარგვა, მოედნის შემოღობვა (I.ფაზა).	ჭანტურიძე ცეზარი, ჭანტურიძე ბაქარი	გაზაფხული, 2009
ახალგაზრდული გაერთიანების დაფუძნება	კვანტიძე ზვიადი	გაზაფხული, 2009
სპორტული მოედნის მოვლა-პატრონობა	ახალგაზრდების გაერთიანება	მიმდინარე

დოკუმენტაცია

შედგა მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი, რომელიც საფუძვლად დაედო მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილს (წერილი ოქმს თან ახლავს).

მოქალაქეთა სარეკომენდაციო წერილი

სოფელ საზანოში სპორტული მოედნის დაგეგმვასთან დაკავშირებით

სოფელ საზანოს ახალგაზრდებისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა არსებული ფეხბურთის მოედნის ბაზაზე **სპორტული კომპლექსის** მოწყობა, რომელსაც ექნება საფეხბურთო მოედანი, და ასევე ფრენბურთისა და კალათბურთის პატარა მოედნები და რომელიც სავარაუდოდ ეტაპობრივად მოეწყობა (იხ. მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი).

სპორტული მოედანი უნდა იყოს შემოღობილი და ასევე უნდა ჰქონდეს გასახდელი კაბინა, საშხაპე და ტუალეტი. შესაძლებელია მისი ნაწილობრივ გადახურვაც და პატარა სცენის მოწყობა (დისკოთეკისთვის).

ახალგაზრდებისთვის ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ **თავშეყრის ადგილი**, სადაც მათ საინტერესოდ შეეძლებათ დროის გატარება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა, კინოფილმების ჩვენება, კონცერტების გამართვა და დისკოთეკების მოწყობა. თავდაპირველად ასეთ თავშეყრის ადგილად ნაწილობრივ ზემოთ ხსენებული განახლებული და კეთილმოწყობილი სპორტული მოედანიც გამოდგება.

ბავშვებისა და ახალგაზრდების ჯგუფებმა ექსპერტების ჯგუფთან ერთად შეადგინეს **სპორტული მოედნის კეთილმოწყობის სამოქმედო გეგმა,** რომელიც სამუშაოების ეტაპობრივად განხორციელებას ითვალისწინებს:

I. ეტაპი: მოედნის მოსწორება, ფეხბურთი კარების მოწყობა, გვერდითი ხაზების გაკეთება, ხეების დარგვა, მოედნის შემოღობვა.
II. ეტაპი: სკამების, ტრიბუნების მოწყობა, ტუალეტის, საშხაპესა და გასახდელი კაბინის აგება.
III. ეტაპი: სათამაშო მოედანი პატარებისთვის, ტენისის მოედანი, საცურაო აუზი.

პროცედურის მონაწილეებმა გამოხატეს მზადყოფნა იმის თაობაზე, რომ სპორტული მოედნის კეთილმოწყობაზე თავად იმუშავებენ (მონაწილეობა ფიზიკური შრომით). მათ სურთ დააფუძნონ **ახალგაზრდული გაერთიანება**, რომლის წევრებიც თავდაპირველად მოედნის კეთილმოწყობაში მიიღებენ მონაწილეობას, მომავალში კი მოედანს უპატრონებენ, მწვანე საფარს მოუვლიან და იქ სხვადასხვა ღონისძიებებს გაუკეთებენ ორგანიზებას. მოქალაქეები თერჯოლის მუნიციპალიტეტს ამჯერად სთხოვენ სამშენებლო ღონისძიებების შესრულებისას მოქალაქეთა სურვილების გათვალისწინებას (იხ. პუნქტი I.).

კარგი იქნება, თუ სოფლის გზის გადასახვევიდან სპორტულ მოედნამდე გათვალისწინებული იქნება დამატებითი გზის გაყვანა.

მეორე ეტაპზე სასურველია აშენდეს ტუალეტი, საშხაპე და გასახდელი კაბინა, მოეწყოს ტრიბუნები და გაფართოვდეს სპორტული მოედანი ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებით. მომავალში ამას მოჰყვება ტენისის მოედნისა და საცურაო აუზის მოწყობა.

სამოქმედო გეგმა

რა უნდა გაკეთდეს	ვინ არის პასუხისმგებელი	როდის უნდა გაკეთდეს
მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილი გადაცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის და გამგეობისთვის	გურამ კუპატაძე, სოფლის რწმუნებული	ორი კვირა
საკრებულოს მიერ მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილის განხილვა და მიღებული გადაწყვეტილების გამგეობისთვის გადაცემა. არქიტექტორს დაევალება სპორტული მოედნის დეტალური პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა მოქალაქეების რეკომენდაციების გათვალისწინებით.	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ჭანტურიძე ცეზარი	შემოდგომა, 2008
I. ფაზა: სპორტული მოედნის მოსწორება, ფეხბურთი კარების მოწყობა, გვერდითი ხაზების გაკეთება, ხეების დარგვა, მოედნის შემოღობვა.	ჭანტურიძე ცეზარი, ჭანტურიძე ბაქარი	გაზაფხული, 2009
ახალგაზრდული გაერთიანების დაფუძნება	კვანტიძე ზვიადი	გაზაფხული, 2009
სპორტული მოედნის მოვლა-პატრონობა	ახალგაზრდების გაერთიანება	მიმდინარე

სოფელ საზანოს ახალგაზრდებისა და
ბავშვების სახელით:

გურამ კუპატაძე
სოფელ საზანოს
ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული

დანართი 3

„დასვენებისა და გასართობი სივრცის დაგეგმვა ქ. სიღნაღის ცენტრში“

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა:
„დაგეგმვის სახელოსნო” – ”მოქალაქეების სახელოსნო”

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი

დრო:	2008 წლის 31 ივლისი, 10.00–16.30 სთ
ადგილი:	ქ. სიღნაღი

დღის წესრიგი

9.30	**მონაწილეთა შეკრება**
10.00	**მისალმება და პროგრამის გაცნობა**
10.15	**1. ინფორმაციის ფაზა:** ადგილის დათვალიერება ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად (მათი მოსაზრება ამ ადგილის არსებულ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმარებასთან დაკავშირებით) . მონაწილეობს ყველა ჯგუფი
11.15	**შესვენება** (ყავა, ჩაი, ნამცხვარი)
11.30	**2. ინფორმაციის დამუშავების ფაზა:** ინფორმაციის დამუშავება მოცემული ადგილის გასართობ და დასასვენებელ სივრცედ გადაქცევასთან დაკავშირებით მცირერიცხოვან ჯგუფებში; იდეების შეკრება (ბრეინსტორმინგი), დისკუსია, დაგეგმვა: - ბავშვების ჯგუფი: გასართობ-დასასვენებელი ადგილის დახატვა, დახაზვა, აღწერა . მუშაობა ბავშვების პატარა ჯგუფში. მოდერაცია - ახალგაზრდების, უფროსების, ოფიციალური პირების ჯგუფები: იდეების, მოსაზრებების შეკრება. მოდერაცია
13.00	**სადილი**
14.00	**3. შეფასებისა და შეთანხმების ფაზა** - მოცემული სივრცის დაგეგმვის სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ იდეების წარდგენა - მოცემული სივრცის დაგეგმვის სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ იდეების შეფასება და პრიორიზება . დისკუსია ჯგუფებში, ინდივიდუალური შეფასებები და კონსენსუსის მიღწევა მთელ ჯგუფში
16.00	**4. მიღწეული შედეგის დაფიქსირება** - შემუშავებული რეკომენდაციების წარდგენა, შემდეგი ნაბიჯების დაგეგმვა
17.00	**ღონისძიების დასასრული**

არსებული მდგომარეობა

ქ. სიღნაღი, სადაც შემორჩენილია მე-17- მე-19-ე საუკუნეების შენობები და 1722 წელს აშენებული 23-კოშკიანი ციხე-გალავანი, საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ტურისტურ ცენტრად ჩამოყალიბდა. საქართველოს მთავრობის დააფინანსებით 2007 წელს მოხდა მისი დიდი ნაწილის რეაბილიტაცია: განახლდა და მოიკირწყლა ქუჩები, აღდგა წყალგაყვანილობა, სატელეფონო და ელექტროკავშირი. ქალაქი საერთო ჯამში ძალზე კოპწიად და მოვლილად გამოიყურება; განახლდა ქალაქის ცენტრში მდებარე პარკი; ქალაქში რამდენიმე ადგილია, სადაც ტურისტებს შეუძლია შეისვენონ, აქვეა ერთი დიდი და რამდენიმე მომცრო სასტუმრო, ძვირი რესტორნები. მაგრამ აშკარად შეინიშნება პატარა მაღაზიების, კაფეების, კვების ობიექტების და დასასვენებელი ადგილების ნაკლებობა.

ქალაქის ქვემო ნაწილში, შესასვლელში, ქალაქის ადმინისტრაცია გეგმავს ავტობუსებისა და ავტომანქანების გასაჩერებელი ადგილის მოწყობ 'ს, სადაც ასევე განთავსდება პატარა ბაზარი, დასასვენებელი და კვების ობ. ექტების ნაგებობები ტურისტებისთვის.

ამ ადგილის გადაღმა პატარა ბექობია შექმნილი საშენი მასალების ნარ-ჩენებისა და ნაყარი მინისგან, რომელიც აქამდე არავის არ გამოუყენებია და სადაც კაპიტალური ან დიდი ნაგებობები ვერ აშენდება. მის გადაღმა ქვემოთ მდებარეობს მოვაკებული ადგილი, რომელსაც გვერდით ღელე ჩამოუდის და მწვანე მინდორი ემიჯნება. იქვე გადის გზა ორმილის უბნის მიმართულებით.

3000-იან ქალაქს პრაქტიკულად აკლია გასართობ-დასასვენებელი პარკი (გარდა მომცრო პარკისა გამგეობის შენობის წინ), რომლის საჭიროება რეალურად არსებობს. ქალაქის ადმინისტრაციას ამის თაობაზე, კონკრეტული გეგმა ჯერ არ შეუმუშავებია. ქალაქ სიღნაღის ბიუჯეტშიც არ არის გათვალისწინებული ფინანსური სახსრები ამ სახის სამშენებლო სამუშაოებისთვის; აქამდე ქალაქში ყველა სამშენებლო ღონისძიებას საქართველოს მთავრობა აფინანსებდა. ქალაქის ბუჯეტში შეიძლება გამოიძებნოს მხოლოდ მცირე სახსრები ამ ადგილის გასუფთავებისა და საამშენებლო მოედნის მომზადებისთვის. ამ ეტაპზე ისიც გასარკვევია, თუ საიდან იქნებოდა შესაძლებელი ამ სივრცის რეაბილიტაციისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვა.

მოქალაქეებიც და ოფიციალური სტრუქტურებიც იზიარებენ იმ აზრს, რომ აქ გასართობ-დასასვენებელი სივრცის დაგეგმვა და მშენებლობა რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაინყოს.

ქალაქის მაცხოვრებლები აქამდე ჩატარებულ ქალაქის სარეაბილიტაციო სამუშაოებში ჯეროვნად არ ყოფილან ჩართულნი. ამიტომაც მით უფრო მნიშვნელოვანია ამ თავისუფალი სივრცის საერთო-საზოგადოებრივი დასვენებისა და გართობის ადგილად დაგეგმვის პროცესში სწორედ იმ ხალხის ჩართვა, ვინც ამით მომავალში უნდა ისარგებლოს.

მანდატი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ თანახმობა განაცხადეს იმის თაობაზე, რომ ჩატარდეს მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა. შემდეგ ამ სივრცის განაშენიანების პროექტის შედგენისას ისინი შეეცდებიან მოქალაქეების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებას.

მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებული პროცედურის სტრუქტურა და მეთოდები

- ქ. სიღნაღის მოქალაქეები თემას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ვინაიდან ეს „მათ ეხებათ“.
- შეირჩა მოქალაქეთა თანამონაწილეობის მოდიფიცირებული პროცედურა: "დაგეგმვის სახელოსნო"-"მოქალაქეების სახელოსნო".
- მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურა ჩატარდა ერთ დღეში, ვინაიდან ამ მოედნის მშენებლობა და მოწყობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ

დგას;არ გამხდარა საჭირო კონსენსუსის ძიება მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, რადგანაც ამით ქალაქის ნებისმიერი მოქალაქეა დაინტერესებული. ამ პროცედურის ჩატარებისას პრიორიტეტული იყო იდეების წამოყენება-დაფიქსირება და მათი ურთიერთთან შეთანხმება.

- მონაწილეები შეირჩა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით.

შერჩეული პროცედურა მიმდინარეობდა სამ ფაზად (იგულისხმება მუშაობა მცირე და უფრო დიდ ჯგუფებში სამ ეტაპად):

- **ინფორმაციის ფაზა:** ინფორმაციის მოპოვება დასაგეგმი ადგილის დათვალიერებისას ქალაქის ადმინისტრაციის წარმომადგენლისგან, ექსპერტ-ინჟინრისგან და ა.შ.
- **ინფორმაციის დამუშავების ფაზა:** დასაგეგმავ სივრცესთან დაკავშირებით არსებული და ახლად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება მცირე ჯგუფებში, იდეების შეკრება, დისკუსია იდეებთან დაკავშირებით, მათი განხილვა მთელ ჯგუფში.
- **შეფასებისა და შეთანხმების ფაზა**: მოცემული სივრცის დაგეგმვის სხვადასხვა შესაძლებლობების შეფასება და პრიორიზება (დისკუსია ჯგუფებში, ინდივიდუალური შეფასებები და კონსენსუსის მიღწევა დიდ ჯგუფში).
- რადგანაც სამიზნე ჯგუფი შერეული იყო (პატარა ბავშვები, ახალგაზრდები, ცალკეული პიროვნებები და სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები), ამიტომ მუშაობა წარიმართა შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში (უფროსები, ახალგაზრდები, ბავშვები).

პროცედურის მონაწილეები

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ სიღნაღის მოქალაქეებმა. მონაწილეებს შორის ასევე იმყოფებოდა 5-10 წლის ასაკის ორი ბავშვი, ქალაქის რწმუნებული და სიღნაღის საკრებულოს წარმომადგენელი (**მონაწილეობა მიიღო სულ 32 ადამიანმა).**

მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის მიზანი

- ***სამომავლო სტრატეგია***

- მოსახლეობისთვის ეს სივრცე მათი დასვენებისა და გართობის მთავარ არეალად იქცევა.
- მოსახლეობამ მონაწილეობა მიიღო ამ სივრცის დაგეგმვასა და მონყობაში და მას თავისად მიიჩნევს.
- მოქალაქეთა თანამონაწილეობის ამ სანიმუშო მაგალითმა მოსახლეობას გაუჩინა სურვილი, სხვა შემთხვევაშიც გამოიჩინოს ინიციატივა და ჩაერთოს თვითმმართველობის საქმიანობაში.

- *ოპერატიული გეგმა*

- სიღნაღის მოსახლეობამ გამოხატა იდეები და სურვილები დასვენებისა და გასართობი სივრცის დაგეგმვასა და მოწყობასთან დაკავშირებით.
- მოსახლეობამ პრიორიზება გაუკეთა საკუთარ წინადადებებს და სასურველ ღონისძიებებს დასვენებისა და გასართობი სივრცის დაგეგმვა-მოწყობასთან დაკავშირებით.
- მოქალაქეებმა შეიმუშავეს "მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილი", რომელსაც სიღნაღის საკრებულო და გამგეობა განიხილავს და მას შეძლებიდაგვარად გაითვალისწინებს სამშენებლო პროექტის შედგენისას.

1. ინფორმაციის ფაზა

იმისათვის, რომ პროცედურის ყველა მონაწილეს დასაგეგმი სივრცის შესახებ ერთნაირი ინფორმაცია ჰქონოდა, დღის წესრიგისა და პროცედურის მეთოდის გაცნობის შემდეგ ყველა იმ ადგილის დასათვალიერებლად გაემართა, რომლის დაგეგმვასაც აპირებდნენ. სიღნაღის საკრებულოს წარმომადგენელმა ადგილზე გააცნო მონაწილეებს ის იდეები, რაც ქალაქის ხელმძღვანელობას ამასთან დაკავშირებით გააჩნია და გამოთქვა თავისი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რა მასშტაბის სამუშაოების ჩატარება იქნებოდა აქ შესაძლებელი.

2. ინფორმაციის დამუშავების ფაზა

ადგილის მონახულების შემდეგ მონაწილეები განაწილდნენ ჯგუფებში და დაიწყეს მუშაობა შეკრების მთავარ საკითხზე:

"როგორ უნდა გამოიყურებოდეს გართობისა და დასვენების ეს ადგილი? რა უნდა განთავსდეს იქ?"

ბავშვებმა ცალკე ჯგუფად იმუშავეს და ნახატებში წარმოადგინეს თავიანთი იდეები:





კარუსელებითა და საქანელებით მოწყობილი სათამაშო მოედნის გარდა მათ ასევე ისურვეს მწვანე გაზონის, კვადროციკლების ბილიკი და ღელეზე მოწყობილი პატარა წყალსატევი,სადაც გასაბერი ნავებით სეირნობა იქნება შესაძლებელი.

უფროსი მონაწილეები განაწილდნენ ოთხ ჯგუფში და იმუშავეს პლაკატებზე, რომლებიც შემდეგ მათმა ავტორებმა წარმოადგინეს:

I. **პროექტი: ა)** კორტები, ბილიკი ველოსიპედისთვის, კარუსელი, ბასეინი, ნავები, ეკოტუალეტი, სცენა + სკამები, სკვერი მოხუცებისთვის, ფანტანი, კაფე; **ბ)** ბილიკი კვადროციკლებისთვის, კომპიუტერული თამაშები, ავტოდრომი, ავტოსადგომი, გზა, ტირი.

II. **პროექტი:** მცირე ესტრადა (100-200 ადგილი), არსებული მინი-ფეხბურთის მოედნის გაუმჯობესება, მანქანების სადგომი, სკვერი + სკამები, საბავშვო ბაღი, ფანტანი, ფეხბურთის მოედანი, გზა ორმილის დასახლებისკენ, ატრაქციონები.

III. **პროექტი:** 100-მ-იანი მოედანი, საშხაპე, გასახდელი, შადრევანი, კორტები, კალათბურთი, მინი-ფეხბურთის მოედანი, ატრაქციონები.

IV. **პროექტი:** მინი-სტადიონი, სკვერი, ატრაქციონები, ორმილის გზა, სცენა, სარბენი ბილიკი, ტუალეტი, აუზი, კვადროციკლის ბილიკი.



3. შეფასებისა და შეთანხმების ფაზა

ჯგუფების მიერ მათი ნამუშევრების წარდგენის შემდეგ მოდერატორებმა მონაწილეებს დაუსვეს კითხვა იმის შესახებ, თუ რომელს თვლიან რეალურად განხორციელებად იდეად. ყველა ჯგუფი თავის იდეას და საკუთარ პროექტს იცავდა. მოდერატორებმა კიდევ ერთხელ მოუყარეს თავი შესაძლო წინადადებებსა და იდეებს და შეეცადნენ მონაწილეებთან ერთად მოეხდინათ მათი პრიორიზება მათი მნიშვნელობის მიხედვით. ცხადი გახდა, რომ იდეის მნიშვნელოვნება განხორციელებადობაზე იყო დამოკიდებული. პრიორიზების შემდეგ მონაწილეები შეაჯერეს ერთიანი გეგმა (პროექტი):

დასაგეგმი სივრცე არსებულ ავტოსადგომთან მიმართებაში		
მარცხენა მხარე	**მთელი ფართობი**	**მარჯვენა მხარე**
პარკი (განაშენიანება ხეებით) (I. პრიორიტეტი)	კვადროციკლის ბილიკი (I. პრიორიტეტი)	სცენა (წარმოდგენებისთვის, კონცერტებისთვის) (I. პრიორიტეტი)
სათამაშო ადგილი ფანტანებით (II. პრიორიტეტი)	სარბენი ბილიკი (I. პრიორიტეტი)	კაფე-სანაყინე (I. პრიორიტეტი)
სათამაშო ადგილები ბავშვებისთვის (I. პრიორიტეტი)	ეკო-ტუალეტები (I. პრიორიტეტი)	ინტერნეტ-კაფე (III. პრიორიტეტი)
ტირი (II. პრიორიტეტი)	გამწვანება, ყვავილები, ჩრდილი (I. პრიორიტრტი)	
ბასეინი (I. პრიორიტეტი)	ფანტანი (I. პრიორიტეტი)	აუზები, შადრევნები (II. პრიორიტეტი)
	გარე კედელი (1,20 მ სიმაღლის) (I. პრიორიტეტი)	
	ბავშვების სათამაშო ადგილები დაშორებული უნდა იყოს სკოლიდან, რათა მოსწავლეებს ხმაურმა არ შეუშალოს ხელი	
	ორმილის გზა დამთავრდება გარე კედელთან, შეიქმნება ფეხით მოსიარულეთა ზონა, განახლდება ორმილის დასახლებისა და ხევისკენ მიმავალი მეორე გზა (მარჯვნივ ზემოდან)	
	სანიაღვრეების მონყობა (I. პრიორიტეტი)	

მთლიანი ჯგუფის საერთო პლაკატი
ფეხბურთის მოედანი (I. პრიორიტეტი)
საცურაო აუზი (I. პრიორიტეტი)
სპორტული დარბაზი (III. პრიორიტეტი)
ქვიშის ყუთი ბავშვებისთვის, ფრენბურთის მოედანი (I. პრიორიტეტი)
ტენისის კორტები (I. პრიორიტეტი)
გასახდელი კაბინა, საშხაპეები (I. პრიორიტეტი)

მონაწილეთა ერთმა ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ დასასვენებელ და გასართობ პარკში შესვლა უფასო უნდა იყოს, ზოგიერთის აზრით კი ეს მხოლოდ ნაწილობრივ იქნება შესაძლებელი. საბოლოოდ ყველა შეთანხმდა, რომ პარკის ტერიტორიაზე იქნება ფასიანი და უფასო მონაკვეთები. დასასრულს, სიღნაღის საკრებულოს წევრი დამსწრეთ დაპირდა, რომ საკრებულოს წარუდგენდა მოქალაქეების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და შესაძლებლობის ფარგლებში იზრუნებდა იმაზე, რომ მიეღო თანხმობა მათ დაფინანსებაზე. პარკის შენება და მოწყობა სავარაუდოდ ეტაპობრივად განხორციელდება, ვინაიდან ამჟამინდელ პირობებში მთელი პროექტისთვის დაფინანსების მოძიება, ალბათ, არარეალური იქნება.

დოკუმენტაცია

შედგა მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი, რომელიც საფუძვლად დაედო მოქალაქეების სარეკომენდაციო წერილს (ოქმს თან ერთვის), რომელსაც სიღნაღის საკრებულო და გამგეობა განიხილავს და შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს შესაბამის გადაწყვეტილებაში.

მოქალაქეთა სარეკომენდაციო ნერილი

ქ. სიღნაღის ცენტრში დასვენებისა და გასართობი სივრცის დაგეგმვასთან დაკავშირებით

ქ. სიღნაღის მოქალაქეებმა დააფიქსირეს თავიანთი იდეები და სურვილები ქალაქის ცენტრში დასვენებისა და გასართობი სივრცის დაგეგმვასა და მოწყობასთან დაკავშირებით და **პრიორიზება** გაუკეთეს საკუთარ წინადადებებსა და ღონისძიებებს იმის მიხედვით, თუ რამდენად რეალურად ესახებათ მათი განხორციელება (მოქალაქეთა თანამონაწილეობის პროცედურის შედეგების ოქმი თან ახლავს). სამშენებლო ღონისძიებების ამგვარი პრიორიზება თავისთავად გულისხმობს პროექტის **ეტაპობრივ** შესრულებასაც:

გასართობ-დასასვენებელი პარკი ქ. სიღნაღის ცენტრში ავტომანქანების სადგომის მიმდებარე ტერიტორიის გვერდით და ქვევით მდებარე სივრცეში (სკოლისა და ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე):		
I. პრორიტეტი	II. პრიორიტეტი	III. პრიორიტეტი
• პარკი (გამწვანება, ყვავილები, ჩრდილი) • ბილიკი კვადროციკლის სატარებლად • სცენა (წარმოდგენებისთვის, კონცერტებისთვის, დისკოთეკისთვის) • სარბენი ბილიკი • კაფე-სანაყინე • სათამაშო ადგილები სხვადასხვა ასაკის ბავშვებისთვის • ეკო-ტუალეტები • გარე კედელი (1, 20 მ სიმაღლის) • საცურაო აუზი • სასმელი წყლის ფანტანები • სანიაღვრეები • ფეხბურთის, ფრენბურთის მოედნები, ქვიშის ყუთი, ტენისის კორტები • გასახდელი კაბინა, საშხაპე	• აუზები, შადრევნები • ტირი	• ინტერნეტი • სპორტული დარბაზი

შენიშვნა:

1. ბავშვების სათამაშო ადგილი დაშორებული უნდა იყოს სკოლის შენობისგან, რათა მოსწავლეებს ბავშვების ხმაურმა ხელი არ შეუშალოს.
2. სასურველია, ორმილის უბნის გზა დამთავრდეს პარკის გარე კედელთან და შეიქმნას ფეხით მოსიარულეთა ზონა, სადაც ტრანსპორტი არ იმოძრავებს.

ქ. სიღნაღის მოქალაქეთა სახელით:

გია ბეგაშვილი,
ქ. სიღნაღის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული